პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58, ღამის მორიგის 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34, ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დაწესებულებათათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებანი: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 18—80. ექსპედიციის 5—48.

დღიური

— გერმანიის მთავრობამ მოიწონა შტრეზემანის პოზიცია ერთა ლიგის სესიაზე.
— ჩინეთის დელეგატმა ერთა ლიგაში პროტესტი განაცხადა ინგლისელების წინააღმდეგ.
— ჟენევაში გაიხსნა პრესის საერთაშორისო კონგრესი.
— მემადაროები მოითხოვენ ვარლის გადადგომას.
— პორტუგალიაზე გადაიარა ციკლონა.

კვირა, 26 სექტემბერი 1926 წ. — ყოველდღიური გაზეთი — ფასი 5 კაპ. № 219 (1764)

„კომუნისტი"
მიიღება ხელისმოწერა ოქტომბრისათვის
კანტორა—რუსთაველის პროსპ. № 34, ტელეფ. № 10—49

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის მე-3 პლენუმი

29 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე, საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო-საკონტროლო კომისიის ბინაზე (რუსთაველის გამზირი, 24) მოწვეულია საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის **საოლქო-საკონტროლო კომისიის მე-3 პლენუმი.**

სავალდებულოა საკ. კ. პ. (ბ) ა-კ. საოლქო-საკონტრ. კომ. ყველა წევრთა დასწრება.

საკ. კ. პ. (ბ) ა-კ. ს. ს. კომ. თავმჯდომარე—**ნაზარეტიანი**

პოლონეთის მთავრობის გადადგომა

დღევანდელი ცნობების მიხედვით, პოლონეთის სეიმმა უნდობლობა გამოუცხადა ბარტელის მთავრობას და უკანასკნელი გადადგა. მთავრობა დამარცხდა ბიუჯეტის საკითხში. მას წლის მესამე კვარტალისათვის (მეოთხედისათვის) სეიმის მიერ დამტკიცებულ ბიუჯეტზე ზევით მარტო არმიაზე დაუხარჯავს 12 მილიონი ზლოტი. ეს კიდევ არაფერი. მეოთხე კვარტალისათვის ის მოითხოვდა სამხედრო ხარჯების გადიდებას 19 მილიონი ზლოტით. სეიმის საბიუჯეტო კომისიამ კი, პირიქით, დაადგინა უკანასკნელი კვარტალის ბიუჯეტის შემცირება 37 მილიონ ზლოტით, გარდა ამისა სამხედრო სამინისტროს ბიუჯეტი შეამცირა 12 მილიონი ზლოტით, რომელიც წინა კვარტალში, როგორც ვსთქვით, ხარჯთ-აღრიცხვის გარეშე და სეიმის დაუდასტურებლად იყო დახარჯული. სეიმის უმრავლესობა, როგორც ეტყობა, დაეთანხმა თავის საბიუჯეტო კომისიის თვალსაზრისს.

კიდევ ზედმეტჯერ მტკიცდება, რომ პილსუდსკის პოლონეთი გაძლიერებულ სამხედრო სამზადისს აწარმოებს, მიუხედავათ ამ ფაქტის ოფიციალურ უარყოფისა პოლონელ გარეშე საქმეთა მინისტრის, ზალესკის და სხვა „პატივცემულ" პირთა მიერ. პოლონეთს საფრანგეთის შემდეგ ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი ჯარი ჰყავს ევროპაში; მილიტარიზმის ტვირთი უმძიმეს ლოდათ აწევს სახალხო მეურნეობას და მშრომელ ხალხს. მაგრამ ეს კიდევ საკმარისად არ მიაჩნია პილსუდსკის და ის ახალი თანხების გაღებას მოითხოვს არმიისათვის.

პილსუდსკის მორჩილ სეიმის უმრავლესობის გალაშქრება თავის ბატონ-პატრონის წინააღმდეგ მეტად დამახასიათებელია პოლონეთის ეხლანდელ მდგომარეობისათვის და გამოხატავს ამ ქვეყნის ღრმა ეკონომიურ-ფინანსიურ კრიზისს. პილსუდსკიმ „რევოლიუცია" მოახდინა და ძალა-უფლება დაიპყრო პოლონეთის სამეურნეო ნგრევის პირობებში. ბევრი გულუბრყვილო მაშინ იმედოვნებდა, რომ ახლად მოვლენილი დიქტატორი მოახერხებდა მდგომარეობის გამოსწორებას. ეს გულუბრყვილობა იქამდი მივიდა, რომ მშრომელ მასსების საგრძნობ ნაწილმა პირველ ხანებში რამდენიმედ მხარიც დაუჭირა პილსუდსკის სამხედრო გადატრიალებას, თითქო ის მემარცხენე კურსს აიღებდა საშინაო პოლიტიკაში და გლეხების და მუშების ინტერესებს გამოექომაგებოდა.

სულ მალე ყველასათვის აშკარა გახდა, რომ ასეთი მოლოდინი სასტიკი შეცდომა იყო. პილსუდსკის ხელიც არ გაუნძრევია კაპიტალისტების და მემამულეთა მადის ოდნავ მაინც შესაკვეცად და მშრომელთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. პირიქით, მუშები და გლეხები და საერთოდ მშრომელი მასსა მის ბატონობის დროს უფრო სასტიკ დევნას განიცდიან და მათი ცხოვრების პირობები უფრო გაუარესდა.

ცხოვრება ძვირდება, ხელფასის რეალური დონე ეცემა, ზლოტის კურსი ქანობს, გადასახადები იზრდება, გამეფებულია სამხედრო და ადმინისტრატიულ პირთა თვითნებობა. ყველაფერი ეს იწვევს აშკარა უკმაყოფილებას მშრომელ მასსებში. პილსუდსკის ხელისუფლება მათ საუკეთესო წარმომადგენლებს კი მასიური დაპატიმრებით და სხვა რეპრესიებით უმასპინძლდება. პოლონეთის ციხეებში ათასობითაა მუშა და გლეხი ჩაყრილი და იქ სულთამხუთავი რეჟიმია გამეფებული.

პოლონეთის ეკონომიურ-ფინანსიურ მდგომარეობის გამოკეთება შეუძლებელი შეიქნა. თავის დიდ მეზობლებთან, საბჭოთა კავშირსა და გერმანიასთან, პოლონეთის მთავრობამ აღარ მოისურვა ნორმალურ ურთიერთობის დამყარება, და ეს ერთი მთავარი მიზეზთაგანია პოლონეთის კრიზისის. ამავე დროს მთავრობას არც კი უფიქრია მემამულეთა და კაპიტალისტების დაბეგვრა. ისინი არამც თუ გაურბიან გადასახადებს, არამედ ხელს ითბობენ ქვეყნის კრიზისზე; ბანკები ფართო სპეკულიაციას ეწევიან ზლოტის კურსით და ათასნაირ ბნელ კომბინაციებს მიმართავენ. ამავე დროს აუარებელი სამხედრო და ადმინისტრატიული ხარჯები, მტაცებლობა და მფლანგველობა ახასიათებს ეხლანდელ პოლონეთს.

პილსუდსკის მთავრობამ სცადა უცხოეთიდან სესხის აღება. როგორც ვიცით, მოწვეულ იქნა ამერიკელი ფინანსიური ექსპერტი კემერერი, რომელსაც უნდა მოეხდინა პოლონეთის ეკონომიურ-ფინანსიური გაჯანსაღება და ხელი უნდა შეეწყო ამერიკიდან სესხის მიღებისათვის. პოლონეთის ფინანსებზე და მეურნეობაზე დაწესდა კემერერის კონტროლი.

მაგრამ აქედან სახეირო არაფერი გამოვიდა. კემერერის მოხსენება პოლონეთის მდგომარეობის შესახებ, რომელიც ამას წინად გამოქვეყნდა, ცივ წყალს ასხამს იმათ, ვინც რაიმე იმედებს ამყარებდა მის მისიაზე და ამერიკის დახმარებაზე. კემერერმა სესხის მიცემა პოლონეთისათვის საჭიროდ არ სცნო და ვერც რაიმე რეალური გეგმა დასახა მისი მეურნეობის გაჯანსაღებისათვის. როგორც სჩანს, ამერიკა ძალიან მძიმე პირობებს უყენებს პოლონეთს სესხის მიცემისათვის, ან მას არ სჯერა ცოტად თუ ბევრათ მკვიდრი მდგომარეობა პოლონეთში.

ასეა თუ ისე, პოლონეთის ეკონომიურ-ფინანსიური კრიზისი დაუძლეველი დარჩა და ამ ნიადაგზე მშრომელ მასსებში თანდათან უფრო ღრმავდება უკმაყოფილება მმართველ წრეებისადმი. ამ უკმაყოფილების გამოხატულებაა „ოპოზიციონურ" პარტიების ამოძრავება და პილსუდსკის მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადება.

ჩვენ ვიცით, რომ პილსუდსკისათვის სეიმი არსებითად არარაობას წარმოადგენს და, როცა საჭიროდ დაინახავს, მას სრულებით არ უწევს ანგარიშს. ამიტომაა, რომ მან მთავრობას მისცა ინსტრუქციები არავითარ დათმობაზე არ წავიდეს სეიმის მიმართ. შესაძლებელია, რომ სეიმი დაითხოვონ, ან მას ისევ შეადგენინონ პილსუდსკის ხელქვეითი მთავრობა და ამით თუ ამ სახით კვლავ მიაღებინონ მისი მოთხოვნები.

მაგრამ ამით ქვეყნის მძიმე მდგომარეობა არ შეიცვლება; ის შემდეგში უფრო გაუარესდება, თუ პოლიტიკა არსებითად არ შეიცვალა. მნიშვნელოვანი სოციალური რეფორმები შიგნით და ნორმალურ დამოკიდებულების დამყარება მეზობლებთან—მხოლოდ ამ გზით შეუძლია პოლონეთს თავი დააღწიოს ეხლანდელ კრიზისს.

გურიის ნავთი

თუ მივმართავთ გურიის ნავთის საკითხის ისტორიულ, ან უკეთ რომ ვსთქვათ, მითოლოგიურ მხარეს, უნდა ითქვას, რომ გურიის ნავთი ცნობილია უძველეს დროიდანვე, ახალი ერას დაწყებამდე დიდი ხნით ადრე და იხმარებოდა, როგორც მასალა იმ მუდმივი ცეცხლის შესანახად, რომელსაც სასანიდების დროს თაყვანს სცემდა ზოროასტრას სარწმუნოების მიმდევარი ადგილობრივი მოსახლეობა. თვით ამ მხარის სახელწოდება—გურია, დიუბუას გამოყავს სამსკრიტულ სიტყვიდან „hour", რაც ნიშნავს—ცეცხლს. საფიქრებელია, რომ ამავე რაიონთან იყოს დაკავშირებული ლეგენდა პრომეთეზე.

როცა ჩვენ დროში ნავთმა მიიღო სამრეწველო მნიშვნელობა, გურიის ნავთიანი ადგილები იქცა კვლევა-ძიების საგნად. ამ მიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯი ეკუთვნის 1873 წელს. ამავე დროს აღმოცენდა ბაქოს სამრეწველო რაიონი, სადაც პირველი ჭის ამოთხრა მოხდა 1871 წ. რუსეთში ბაქოს სანთი ზეთების გზავნა დაიწყო 60-იან წლებში ვ. კოკორევის ინიციატივით.

იმ ხანებში ჯერ კიდევ არ ქონდათ წარმოდგენა ბაქოს შადრევანებზე და ნავთის ამოღება აფშერონის ნახევარკუნძულზე სწარმოებდა 2-3 საჟენ. სიღრმის ჭებიდან და გამოიხატებოდა გირვანქებში (ცნობები ნავთის წარმოების შესახებ ბაქოს გუბერნიაში და კაიტაგოტაბასარანის ოლქში შეკრიბა და შეადგინა მთავრობის დავალებით სამთო ინჟ. **გილიევმა,** თბილისი 1872 წელი); ამავე დროს გურიაში გლეხები თავიანთ საჭიროებისათვის იღებენ ნავთს გირვანქობით 1—1½—2 არშ. სიღრმე პატარა ორმოებიდან, რომლებსაც სთხრიდენ სადაც ეს შეუხვდებოდათ ერთი ერთმანეთისაგან რამდენიმე საჟენის დაშორებით. (სამთ. ინჟ. **ა. ბერმანი** 1888 წ. გურიის ნავთიანი ადგილების გეოლოგიისათვის).

რატომ ბაქოში და არა გურიაში სწარმოებს ნავთის ამოღება ასეთი ფართო მასშტაბით,—აყენებს კითხვას პროფესორი **დ. მენდელეევი** („სევერნი ვესტნიკ" 1889 წ.) და უპასუხებს: „ამისათვის ორი საგრძნობი მიზეზია. პირველი ის, რომ ვოლგაზე, როგორც რუსეთის მთავარ არტერიაზე ბაქომდე, უძველეს დროიდანვე დადიოდა რუსეთის ხალხი და სწარმოებს რუსეთ-აზიის ვაჭრობა. ბაქოს ახლოს არის ერთი კლდე, რომელიც ატარებს სტენკა რაზინის სახელწოდებას, ის დათარეშობდა იქითკენ, როცა იქ ჯერ კიდევ წმინდა აზიური წესები მეფობდა. ბაქოდან ნიჟნამდე და პერმამდე, რუსეთის თვით შუაგულში ნავთის ყველა საქონელი მოდის წყლით და ისე იაფად, რომ ამ რამდენი ვერსიანი გზის გავლა უფრო იაფია, ვიდრე შემახიდან ასეული ვერსის მანძილზე ნავთის ხმელეთით მოტანა. ეს არის ბაქოს უპირატესობის მთავარი მიზეზი". ხოლო მეორე მიზეზია: „... ბაქოში კი პირველი ჭაბურღილებმა (буровые скважины) განსაკუთრებულ 70-იან წლების დასაწყისში, მოგვცეს ისეთი დიდი რაოდენობის ნავთი, რომ სრულიად მიატოვეს ის ჭები, რომლებიც იძლევიან დღეში 200 ფუთ ნავთზე ნაკლებს—შრომის ფასი არ მართლდება. ეს იმიტომ, რომ როცა შადრევანები არაა ბაქოში, ნავთის ამოღების ადგილზე, ფუთი ნავთის ფასი ხშირად უდრის 2 ან დიდი—3 კაპეიკს, ხან კი უფრო მცირეცაა, ხოლო როცა შადრევანი გამოჩნდება და ნავთი ტბებად დადგება მადნებში, მაშინ ფასი ეცემა ½ კაპ. ფუთი, ოღონდ კი გაასაღონ ცოტა მაინც ყოველდღიურად იმ ასეულ ათას ფუთი ნავთიდან, რომელსაც იძლევა ბაქოს შადრევანები". (პროფ. მენდელეევის წერილი ლონდონის ქიმიურ-ტეხნიკურ საზოგადოების პრეზიდენტ ლუდვიგ **მონდისადმი** და ბრიტანეთის ასოციაციის განყოფილების თავმჯდომარე ვასილი ივანეს-ძე **ანდერსონისადმი**)

პროფ. მენდელეევის ამ სტრიქონებიდან სჩანს, რომ ნავთის მრეწველობის აღმოცენების ხანაში მაშინდელ ნავთის გამსაღებელ ბაზრების მიმართ ბაქოს ეჭირა უფრო ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, ვიდრე გურიას, ნავთის ამოღება გაცილებით სჭარბობდა მოთხოვნილებას, ფასები დაბალი იყო.

მაშინ ჯერ კიდევ არ დამდგარიყო გურიის ნავთის დამუშავების ჟამი.

დროთა მსვლელობაში მდგომარეობა შეიცვალა. მოთხოვნილება სწრაფად იზრდება, იზრდებოდა ფასებიც და ძლიერ სამრეწველო ფაქტორად ქცეულმა ბაქოს მრეწველობამ მიიქცია საგარეო ბაზრის ყურადღებაც.

მაგრამ ამასთანავე ერთად წარმატებით მიდიოდა გურიის გეოლოგიური გამოკვლევაც. დაიწყეს ლაპარაკი გურიის ნავთიან რაიონზე, როგორც დიდი სამრეწველო მნიშვნელობის რაიონზე, ხოლო მისი გეოგრაფიული მდებარეობა შავი ზღვის ნაპირზე დასავლეთ ევროპის ბაზრებისთვის აღმოჩნდა გაცილებით უფრო ხელსაყრელი, ვიდრე ბაქოს მდებარეობა. ბუნებრივია, რომ მაშინ ბაქოს კაპიტალისტების და დაინტერესებულ წრეების დამოკიდებულება ამ რაიონში ნავთის მრეწველობის შესაძლებელ აღმოცენებასთან არ იქნებოდა კეთილისმყოფელი.

მიუხედავათ ამისა, დროთა მსვლელობაში გურიის რაიონის გეოლოგიური შესწავლის საქმე ვითარდებოდა და სპეციალური ლიტერატურა იზრდებოდა (მენდელეევი, აბიხი, დავიდოვი, სოკოლოვსკი, ბერმანი, დორიონი, ბოვერდონ რედვუდი, ცუბერი და სხვ.).

დაბოლოს, 1912 წ. გეოლოგიურ კვლევა - ძიებას შეუდგა ერთი ინგლისური კომპანია, რომელიც იცნობდა ვრცელ ლიტერატურას. ეს მუშაობა, რომელიც თითქმის ორ წელს გაგრძელდა, სწარმოებდა სერიოზულად, როგორც მეცნიერული, ისე მატერიალური მხრითაც.

მუშაობის შედეგები სავსებით ამომწურავი და დამაკმაყოფილებელი იყო. დაუყოვნებლივ შეუდგენ ღრმა ბურღვას.

მაგრამ, სამწუხაროდ, 1914 წ. დაწყებულმა ომმა შესწყვიტა ეს ფართო და მეტად დიდმნიშვნელოვანი მუშაობა, რომელმაც აქამდე ვერ მიიღო შემდეგი განვითარება, თუმცა გურიის ნავთიან რაიონს ამჟამად გარეგნული პირობები უკეთესი დაუდგა.

1925 წ. საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და საბჭოთა კავშირის გეოლოგიურ კომიტეტის ინიციატივით და ამასთანავე „აზნეფტის" დახმარებით განახლებულ იქნა ნავთის გამოკვლევითი მუშაობა გურიაში. უკვე რამდენიმე თვეა, რაც ზედი-ზედ მუშაობს ადგილობრივ გურიაში გეოლოგიური ექსპედიცია, რომელსაც ხელმძღვანელობს პროფ. **მიხაილოვსკი** (გეოლოგიურ კომიტეტიდან) და პროფ. **კრუჩომი** (ნავთის სინდიკატიდან). ამ გამოკვლევის შედეგები იმდენად დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა, რომ გადაწყვეტილია მომავალი წლიდან საცდელად ორი ჭის ღრმა ბურღვაზე გადასვლა. ამ მიზნით საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ 1926—27 წლისათვის გამოითხოვა საჭირო თანხა (დაახლოვებით 500.000 მან.).

წინააღმდეგ იმისა, რაც იყო ომის წინა დროს, როცა ბაქოს მრეწველობა აშკარად არ თანაუგრძნობდა და აფერხებდა კიდეც გურიის ნავთის საკითხის განვითარებას, დღეს ბაქო, აზნეფტისა და საბჭოთა ნავთის სულის ჩამდგმელის ამხ. სერებროვსკის სახით, პირველი გამოეხმაურა და პირველმა გაუწოდა დახმარების ხელი ნავთის ახალ საქმეს გურიაში.

ამ დახმარებით აიხსნება, რომ მიმდინარე წლის ოქტომბრიდან დაიწყება ბურღვის პრაქტიკული სამუშაოები და მთელი 1926—27 სამეურნეო წლის განმავლობაში რაც შეიძლება აჩქარებული ტემპით იწარმოებს ეს მუშაობა.

შესაძლებელია, რომ უკვე მომავალი წლის დასასრულს ჩვენ გვექნება ამ საბოლოო გამოკვლევების სავსებით გარკვეული და რეალური შედეგები, რომლითაც შევძლებთ დავასკვნათ—შეიძლება თუ არა აქ მსხვილი სანავთო მრეწველობის განვითარება, თუ ვერ გავცილდებით მისი შინამრეწველური სახით დამუშავებას.

ჯერ-ჯერობით ყველა გამოკვლევები ამართლებენ პირველ მოსაზრებას.

და თუ ოქროს ვერძის ლეგენდა საქართველოში განუხორციელებელი დარჩა და გადაიქცა მარტო პოეტურ ნაწარმოებთა ობიექტად, სინამდვილეთ ხომ არ იქცევა აქ, თვით შავი ზღვის ნაპირებთან, მეორე ლეგენდა—ლეგენდა პრომეთეს შესახებ, რომელმაც ცეცხლი მოიტაცა ციდან!

ინჟ. **ბ. ჭიჭინაძე.**

გურიის ნავთის გარშემო
ახალი შეტევა სამეურნეო ფრონტზე

ნავთის სინდიკატისადმი მიმართულ თხოვნაზე იმის შესახებ, რომ მოხდენილ იქნეს განკარგულება გურიის ნავთის გამოკვლევის მიზნით მუშაობის დასაწყებად, მიღებულია შემდეგი ტელეგრამები:

მოსკოვი. მიღებულია წინასწარი ზომები, რათა დავიწყოთ გურიის ნავთის გამოკვლევა. თანხას ორას სამოცდა ხუთი ათასი მანეთის რაოდენობით იძლევა 26—27 წლის განმავლობაში ნავთის სინდიკატი. მას აქვს სპეციალური ფონდი ნავთის გამოკვლევისათვის. ფული გამოიწერება ოქტომბერში. ცნობა გაეგზავნა ორჯონიკიძეს ხოჯაში და ბარინოვს ბაქოში.

სერებროვსკი.

ბაქო. დავიწყეთ გურიის ნავთის გამოკვლევის საქმე. ამ დღეებში იგზავნება ტეხნიკური პერსონალი, საჭირო იარაღი და მასალები. ორი ადგილის გაბურღვას დაიწყებენ საჭირო ტეხნიკური იარაღების მოსვლისთანავე.

აზნეფთი—ბარინოვი.

სასოფლო სამეურნეო გადასახადი ჩვენში

სას.-სამ. გადასახადით დასაბეგრ წყაროების აღრიცხვა, შემოსავლიანობის და გადასახადის რაოდენობის გამონგარიშება მეურნეობაზე უკვე ყველგან დამთავრებულია. ამჟამად სწარმოებს საგადასახადო ფურცლების გამოწერა და მათი დარიგება გადამხდელებისადმი, რაც ამ უახლოეს დღეებში დასრულდება.

მოახლოვდა საქართველოსთვის დაწესებული, გადასახადის შეტანის პირველი ვადა—1-ლი ნოემბერი. ამ დროისთვის გადამხდელებმა უნდა გაისტუმრონ მათზე შეწერილი გადასახადის რაოდენობიდან 35 პროცენტი. ყოველი ზომები უნდა იქნეს მიღებული ადგილობრივ ფინორგანოების, თემალმასკომების და მოწინავე პირების მიერ, რომ გლეხობამ დროზე და ვადაზე შემოიტანოს გადასახადი.

უდავოა, რომ გლეხობას სწორეთ ამ დროს (შემოდგომაზე) შესწევს გადასახადის უმტკივნეულოდ გაღების უნარი, რადგან მაშინ ასაღებს ის თავის ნაწარმოებს. წარსული წლების გაკვეთილებიდან ვიცით, რომ თუ გლეხობამ არ ისარგებლა მისთვის ხელსაყრელ დროით, გაუშვა შემოდგომა და მაშინ არ შეიტანა გადასახადი, შემდეგ მას რამოდენიმეთ გაუძნელდება თავის საგადასახადო მოვალეობის მოხდა. ამას მოსდევს დავალიანება, საურავის დარიცხვა, იძულებითი ზომები და სხვა ფრიად არა სასურველი შედეგები.

თუმც გადამხდელებისათვის არ არის სავალდებულო გადასახადის ერთბაშად შეტანა და დაწესებულია სამი ვადა: 1 ნოემბერი—1926 წ., 1 იანვარი—1927 წ. და უკანასკნელი ვადა 1 თებერვალი—1927 წ., მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ გადამხდელებმა უცადონ ამ ვადებს, მათ შეუძლიათ ერთბაშათ შეიტანონ გადასახადი, რაც ბევრათ უმჯობესია, როგორც თვით გადამხდელებისათვის, აგრეთვე სახელმწიფოსათვისაც. გლეხობისათვის ერთბაშათ გადასახადის შეტანა უმჯობესია მით, რომ, როგორც ზევით აღვნიშნე მას ამის შესაძლებლობა ყოველთვის არა აქვს, იგი შემოდგომაზე გაყიდის, რაც შესაძლევი აქვს და ერთბაშათ გადასახადის გასტუმრებით აღარ დასჭირდება არც ზედმეტი სიარული გადასახადის ჩასაბარებლად და აგრეთვე ის სავსებით უზრუნველყოფილია საურავების დარიცხვისაგან და მისი გადახდისაგან.

ამავე დროს, არსებულ კანონის მიხედვით, გადასახადიდან შემოსულ თანხების ორი მესამედი რჩება იქვე ადგილობრივ საჭიროებისათვის. აღნიშნული საჭიროებანი კი ემსახურებიან ადგილობრივ მცხოვრებლების ინტერესებს და, რაც მალე იქნება დაკმაყოფილებული აღნიშნული საჭიროებანი, მით, ცხადია, უკეთესია თვით გლეხობისათვის.

სამწუხაროდ, კიდევ მოიპოვებიან ისეთები, (თუმცა ასეთები გამონაკლისს შეადგენენ) რომლებიც აჭიანურებენ გადასახადის გადახდას, ელოდებიან, იცდიან ეგებ რამენაირათ გაინთავისუფლონ თავი. მაგრამ ასეთი ლოდინი და გაჭიანურება ყოველთვის სულ წინააღმდეგ შედეგებს იძლევა. გადასახადს ემატება საურავები და ბოლოს გადამხდელი მაინც იძულებული ხდება შეიტანოს გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე უნდა გადაეხადა.

გადასახადის სრულიად და თავის დროზე გადახდა რომ არ წარმოადგენს სიძნელეს, ამას აშკარად მოწმობენ შემდეგი ფაქტები: თითეულ მეურნეობაზე (ოჯახზე) საშუალოდ საქართველოში გადასახადის რაოდენობა უდრის მხოლოდ 4 მ. 43 კ., თითო სულზე კი 88 კ. აღნიშნული რაოდენობა გადასახადისა შეადგენს მეურნეობის საერთო შემოსავლის მხოლოდ სამნახევარ პროცენტს.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ არსებული კანონის მიხედვით სრულიად თავისუფლდება გადასახადისაგან ღარიბი და ნაწილობრივ საშუალო შეძლების გლეხობა, რასაც ამტკიცებს ის ფაქტი, რომ საქართველოში მოსახლეობის 70—75% სრულიად თავისუფლდება გადასახადისაგან. ეს ფაქტები ნათლად მოწმობს, რომ გადასახადის რაოდენობა ფრიად მცირეა და ისიც განაწილებულია მხოლოდ შედარებით შეძლებულ მოსახლეობაზე.

გასული წლის მაგალითი და ის გარემოება, რომ 1926-27 წ. სას.-სამ. გადასახადის შემოტანა უკვე დაიწყო რამოდენიმე მაზრებში, გვაძლევს საფუძველს ვიმედოვნოთ, რომ გლეხობა შეგნებულად შეხვდება აღნიშნულ გადასახადის შეტანას და პირნათლად შეასრულებს თავის მოქალაქეობრივ მოვალეობას მუშურ-გლეხურ ხელისუფლების წინაშე.

იმედი უნდა ვიქონიოთ აგრეთვე, რომ ფინორგანოები, რომელთაც უკვე საკმაო გამოცდილება აქვთ ყოველივე ღონეს იხმარენ, რომ გადასახადი დროზე იქნეს შემოტანილი. ცხადია, ასევე მოიქცევიან ადგილობრივი აღმასკომებიც, რომელნიც ფრიად დაინტერესებული უნდა იყვენ გადასახადის თავის დროზე აკრეფაში, რადგან ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი ბიუჯეტის გაძლიერებისათვის.

ი. ჯ.

ინგლისში გაგრძელებულია საგანგებო წესები
სეიმთან უთანხმოების გამო გადადგა პოლონეთის მთავრობა
იტალიელი ფაშისტები მოითხოვენ ნადავლს ჩინეთის დაყოფის დროს
ალბანეთში დაიწყო რევოლიუცია: სწარმოებს ბრძოლა მთავრობის ჯარებსა და აჯანყებულთა შორის

საგანგებო მდგომარეობის გაგრძელება

ლონდონი, 24 სექტემბერი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ 24 სექტემბერს მინისტრთა საბჭოს სხდომაზე განხილულ იქმნა საკითხი, იმ მოლაპარაკების შეწყვეტისა, რომელიც სწარმოებდა ქვა-ნახშირის მრეწველობაში მომხდარ კონფლიქტის მოსაგვარებლად.

სხდომის გათავების შემდეგ გამოქვეყნებულ იქმნა ცნობა საგანგებო წესების გაგრძელებისა და 27 სექტემბრის თემთა პალატის მოწვევის შესახებ.

პოლონეთის მთავრობის გადადგომა

მთავრობის გადადგომა

პარიზი, 25 სექტემბერი. **ვარშავიდან მიღებული ცნობით, პოლონეთის კაბინეტი გადადგა, რადგან სეიმმა უარჰყო ნდობის ვოტუმი შინაგან საქმეთა და სახალხო განათლების მინისტრებისადმი.**

ბარტელი გაემგზავრა პრეზიდენტთან და გადასცა თხოვნა მთავრობის მთელი შემადგენლობის გადადგომის შესახებ.

პილსუდსკი ვარშავაში დაბრუნდება 26 სექტემბერს.

პრესის აზრი

ვარშავა, 25 სექტემბერი. რესპუბლიკის პრეზიდენტმა მიიღო მთავრობის გადადგომა. მთავრობის კრიზისი, ალბად, გადაწყდება ამ უკანასკნელ 2 დღეში და უკავშირდება პილსუდსკის ჩამოსვლას. პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ ახალი კაბინეტის შედგენა დაევალება ბარტელს.

„რეჩ პოსპოლიტა" აღნიშნავს, რომ ბარტელი, ყოველ ეჭვს გარეშეა, აწარმოებს მოლაპარაკებას პილსუდსკისთან სეიმის დათხოვნის შესახებ. პილსუდსკის ორგანო „გლოს-პრავდი" აცხადებს, რომ სახელმწიფოს არავითარი საშიშროება არ ემუქრება. კრიზისს არა აქვს სერიოზული მნიშვნელობა. მაისის არეულობის შემდეგ პრეზიდენტს შესაძლებლობა აქვს კრიზისიდან გამოიყვანოს ქვეყანა (მითითება პრეზიდენტის მიერ სეიმის დათხოვნის შესახებ).

გადადგომა მიღებულია

ვარშავა, 24 სექტემბერი. სეიმმა მიიღო მთავრობის საბიუჯეტო პროექტი. ბიუჯეტის მიღების შემდეგ, ატმოსფერა თითქოს დაიწმინდა, და სეიმი შეუდგა ქრისტიანული დემოკრატების ფრაქციის წინადადების კენჭის ყრას განათლების მინისტრ-სუიკოვსკისა და შინაგან საქმეთა მინისტრ—მლოძიანოვსკისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ. ეს წინადადება მოულოდნელად მიღებულ იქნა ხმების დიდი უმრავლესობით.

ამის შემდეგ პრემიერმა ბარტელმა დაუყოვნებლივ გამართა მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელიც დიდხანს გაგრძელდა. სხდომის დასრულების შემდეგ

მთავრობის გადადგომამდე

კონფლიქტი მწვავდება

ვარშავა, 24 სექტემბერი. **პოლონეთის მთავრობისა და სეიმის შორის მოულოდნელად გამწვავდა კონფლიქტი საბიუჯეტო საკითხის შესახებ.** იუწყებიან, რომ პილსუდსკიმ, რომელიც დრუზკენიკაში იმყოფება. **მთავრობას მისცა ინსტრუქცია, რომ არ წავიდეს არავითარ დათმობაზე.**

საბიუჯეტო კომისიაში

ვარშავა, 24 სექტემბერი. 22 სექტემბერს სეიმის საბიუჯეტო კომისიამ დაადგინა, შემცირებულ იქმნას მეოთხე კვარტალის ბიუჯეტი 37 მილ. ზლოტით. ეს გადაწყვეტილება არა პირდაპირად მიმართულია სამხედრო სამინისტროს ბიუჯეტის წინაღმდეგ. ამგვარად, შეიქმნა კონფლიქტი მთავრობისა და სეიმის შორის.

კომისიის სხდომა მაშინვე შესწყდა და საბიუჯეტო პროექტის მესამე წაკითხვა გადაიდო იმისათვის, რომ მას დაესწრებოდა პრემიერი **ბარტელი,** რომელიც დაბრუნდა დრუსკენიკიდან პილსუდსკისთან თათბირის შემდეგ. მაგრამ პრემიერის დასწრებამ უშველა. **კომისიამ მესამე წაკითხვის დროსაც განიმეორა თავისი პირვანდელი გარდაწყვეტილება და გარდა ამისა, სამხედრო სამინისტროს ბიუჯეტი შემცირა 3 მილ. „ზლოტით".**

უეჭველია, რომ მთავრობა თავისას გაიტანს. 24 სექტემბერს დამთავრდება კამათი და მერე მოხდება კენჭის ყრა სეიმის პლენუმზე, რის შემდეგ სეიმის სხდომები შესწყდება 1 იანვრამდე.

ახალი სადელეგატო კონფერენცია

ლონდონი, 25 სექტემბერი. დღეს **მემაღაროეთა აღმასკომის სხდომაზე, პრემიერის წერილის განხილვის შემდეგ, დადგენილ იქმნა ახალი სადელეგატო კონფერენციის მოწვევა. კონფერენცია მოწვეულ იქნება სამშაბათს, ლონდონში შექმნილი მდგომარეობის განხილვის დროს.**

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს კამათი სანახშირო საკითხის შესახებ, რომელიც სწარმოებს თემთა პალატაში მემაღაროეთა აღმასკომისა და მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის შორის.

აღმასკომი შექმნილ მდგომარეობას განიხილავს ტრედ-იუნიონთა კონგრესის საბჭოსთან ერთად.

ბოლდუინის წერილი მუშებისადმი

წერილის შინაარსი

ლონდონი, 25 სექტემბერი. **დღეს შესდგა კაბინეტის პლენარული სხდომა იმ მდგომარეობის გამო, რომელიც შეიქმნა მემაღაროეთა წარმომადგენლებისა და კაბინეტის სანახშირო კომისიის უნაყოფო მოლაპარაკებით.**

სხდომის შემდეგ ბალდუინის მდივანმა პოლკოვნიკმა **უოტერხაუზმა** მემაღაროეთა ფედერაციას გადასცა შემდეგი წერილი:

„პრემიერის სურვილით გაცნობებთ, რომ სანახშირო კომისიამ და კაბინეტმა დიდის ყურადღებით განიხილეს ის წინადადებანი, რომელნიც თქვენ მათ სამშაბათს გადაეცით და რომელიც შემდეგ თქვენ მიერ იყო გამოქვეყნებული. სცნობს რა წინსვლას, რომელსაც აღნიშნავენ ეს წინადადებანი, მთავრობა მაინც ფიქრობს, რომ ესენი არ წარმოადგენდენ სწრაფი და ხანგრძლივი შეთანხმების საშუალებას. ასეთ პირობებში მთავრობას არ შეუძლია გადასცდეს იმ წინადადებათა ფარგალს, რომელნიც თქვენ გეცნობათ პრემიერის წერილში 17 სექტემბრის თარიღით.

მემაღაროები ვარლის წინააღმდეგ

ლონდონი, 24 სექტემბერი. მანსფილდის ოლქის სამთამადნო მუშების კომიტეტმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც მოითხოვს, რომ ნოტტინგამშირის მემაღაროებმა გადააყენონ მათი წარმომადგენელი ინგლისის სამთამადნო მუშათა ფედერაციაში **ვარლი,** 19 სექტემბერს წარმოთქმულ სიტყვის გამო, რომელშიაც ვარლიმ განაცხადა, რომ მაღაროების მეპატრონეები გაიმარჯვებენ მემაღაროებზეო.

ვარლი არის თემთა პალატის წევრი მანსფილდიდან.

რევოლიუცია ალბანეთში

ბერლინი, 25 სექტემბერი. **ჩრდილოეთ ალბანეთში რევოლიუციამ იფეთქა. იუწყებიან, რომ ბრძოლა სწარმოებს მთავრობის ჯარებსა და აჯანყებულებს შორის.**

კონსერვატორები სისინებენ

ლონდონი, 27 სექტემბერი. **გრძელდება კონსერვატორების უკიდურესი ფრთის მიერ მოწყობილი კამპანია ლოზუნგით „წითლები გააძევეთ".**

23 სექტემბერს ბორნემუტში, კონსერვატორების მიტინგზე გამოცხადებულ იქმნა, რომ ინგლისის მთავრობამ „უნდა გააფრთხილოს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი, რომ თუ მომავალში კიდევ იქნება აღმოჩენილი საბუთი მტრული პროპაგანდისა ან ჩინეთის საქმეებში ჩარევისა ინგლისის ინტერესების საზიანოდ, მას მიეცემა წინადადება, რომ 48 საათში დასტოვოს ინგლისი".

უცხოელები ჩინეთში
მადა აეშალათ

რომი, 25 სექტემბერი. ფაშისტური უკიდურესი ორგანო „იმპერო" სწერს: **„თუ ჩინეთში გავლენის ზონების განაწილება მოხდება, აუცილებელია, რომ ჩვენ მოგვაკუთვნონ ორი პროვინცია—შენ-სი და გან-სუ, რადგან ეს პროვინციები განირჩევიან მადნეულობათა სიმდიდრით, ნაყოფიერებით და სხვებზე უფრო ნაკლებ არის გაჟღენთილი ჩინური ნაციონალიზმით".**

ჩინეთის მთავრობის პროტესტი

ლონდონი, 25 სექტემბერი. **ერთა ლიგის სხდომაზე ვან-სიანში მომხდარ ინცინდენტის შესახებ გამოვიდა ჩინეთის დელეგატი ჩუ.** ამ გამოსვლამ ერთა ლიგის წრეებში დიდი გაკვირვება გამოიწვია და მას სცნობენ ერთა ლიგის პრივილეგიების დარღვევად, და ის ალბათ პროტესტს გამოიწვევს ლიგის დღევანდელ სხდომაზე. **ჩუს განცხადება სასტიკ გალაშქრებას წარმოადგენს ინგლისის წინააღმდეგ.**

ამ განცხადების საპასუხოთ გამოსულმა ლორდმა სესილმა განაცხადა, რომ ვან-სიანში მომხდარ ინცინდენტს ამჟამად დაინტერესებული მხარეები იხილავენ.

შემდეგ მან აღნიშნა, რომ ჩინეთის დელეგატის განცხადება ინცინდენტის შესახებ სრულიად არ შეეფერება იმ ცნობებს, რომელნიც ბრიტანეთის მთავრობამ მიიღო ამ საქმის გამო; სესილი ფიქრობს, რომ ამგვარი განცხადება ხელს არ შეუწყობს კონფლიქტის მეგობრულად მოგვარებას.

მუშათა კოოპერაცია
(„პრავდა"-ს მოწინავე)

უკანასკნელი წლების გამოცდილებამ საკმაოდ დაგვიმტკიცა საცალო ფასების მნიშვნელობა სამუშაო ხელფასის ასაწევად ჩვენ მიერ წარმოებულ ბრძოლაში.

განვითარების დღევანდელ პერიოდში ჩვენ იმ გზაზე ვართ, როცა გეგმიანი მეურნეობის ელემენტები და საბაზრო სტიქიონთან ბრძოლა თანდათან იჭერენ პოზიციებს, თუმცა ისეთი მდგომარეობა არ შეუქმნიათ, რომ წინასწარ შეიძლებოდეს ფასების მოძრაობის ზედმიწევნით განსაზღვრა.

აქედან გამომდინარეობს ბრძოლა ბაზრის დაპყრობისათვის. კონკრეტულად ის გამოხატება იმაში, რომ ორგანიზაციებმა, რომლებიც ახორციელებენ დიქტატურის ხაზს აღებ-მიცემობის საქმეში, და ამისათვის უშუალო ბრძოლასაც აწარმოებენ, უნდა შექმნან ვიწრო სისტემა, რომელიც იაფი და, ამავე დროს, ყოველმხრივ ხელსაყრელი იქნება მომხმარებლისათვის.

ამ ბრძოლაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს მუშათა კოოპერაციას, რომელსაც უშუალო დამოკიდებულება აქვს მუშათა სამომხმარებლო მასსებთან.

მუშათა კოოპერაციის გამარჯვება ნიშნავს ბაზრის დაპყრობას; ამით ის შესძლებს ფასების წინასწარ განსაზღვრას და სამუშაო ხელფასის აწევისათვის ნიადაგის შექმნას.

ამჟამად ის ციფრები, რომელიც ჩვენს ხელთაა, შესაძლებლობას გვაძლევენ გავარკვიოთ, თუ როგორი ინტენსიობით მივიწევთ წინ ქალაქის ბაზრისა და მუშა-მომხმარებლის ბიუჯეტის დაპყრობის საქმეში.

მუშათა კოოპერაციის ბრუნვა საქონლის გაყიდვის საქმეში ამ უკანასკნელ წელიწად ნახევრის განმავლობაში ვითარდებოდა შემდეგნაირად: 1924-25 სამეურნეო წლის პირველ კვარტალში—298 მილ. მანეთი,—100 პროც. 1924-25 სამეურნეო წლის მეოთხე კვარტალში—342 მილ. მან.,—114 პროც.; 1925-26 წლის პირველ კვარტალში—465 მილ. მანეთი,—156 პროც.; 1925-26 წ. მეორე კვარტალში—485 მილ. მან.,—162 პროც.; მთელი 1924-25 სამეურნეო წლის ბრუნვა საქონლის გასაღებაში უდრის 1.231 მილ. მან., მუშათა კოოპერაციის გაძლიერებას და მის კავშირის განმტკიცებას მუშათა მასსებთან ახასიათებენ შემდეგი ციფრები: 1924 წლის 1-ლი ოქტომბრისა, 1925 წლის 1-ლ ოქტომბრისა და 1926 წლის 1-ლ აპრილისათვის მეპაიეთა სათანადო რიცხვი ათას მანეთებში უდრის 3.027, 3.666, 4.090; თუ 1924 წლის 1-ლ ოქტომბრის დონეს 100 პროც. ვიანგარიშებთ, 1925 წლისათვის 121,1 პროც მივიღებთ, ხოლო 1926 წლისათვის 135,1 პროც. ამასთან შეფარდებით საპაიო კაპიტალი ათას მანეთებში უდრის 1924 წლისათვის 7.382, 1925 წლისათვის 14,997, ხოლო 1926 წლისათვის 17,653. თუ 1924 წლის 1-ლ ოქტომბრის დონეს 100 პროც. ვიანგარიშებთ, 1925 წლისათვის მივიღებთ 199,6 პროც.-ს ხოლო 1926 წლისათვის 239,1 პროც.-ს. საშუალო პაი უდრიდა 1924 წელს 2 მან. 44 კაპ., 1925 წელს—3 მან. 82 კაპ., ხოლო 1926 წელს—4 მან. 32 კაპ. თუ 1924 წლის დონეს 1-ლ ოქტომბრისათვის მივიღებთ 100 პროც.-დ, 1925 წლისათვის მივიღებთ 156,6 პროც.-ს, ხოლო 1926 წლისათვის—177 პროც.-ს.

საშუალო ზომის პაის ზრდა უფრო ინტენსიურია, ვიდრე თვით მეპაიების რიცხვის ზრდა; ეს კი უტყუარი მაჩვენებელია იმისა, რომ მეპაიე თანდათან უფრო უახლოვდება კოოპერატივს და, მაშასადამე, უყურებს მას, როგორც ძირითად ორგანიზაციას, რომელიც აკმაყოფილებს მის სამომხმარებლო მოთხოვნილებებს.

საპაიო კაპიტალის უფრო ინტენსიური ზრდა ამტკიცებს კოოპერაციის სამეურნეო მუშაობის უნარიანობას, მაგრამ ამავე დროს ჰბადებს შიშს—ვაი თუ კაპიტალის დაგროვების ასეთი ინტენსივობა იყოს შედეგი არაჯანსაღ მოგებისა.

და ამ შიშს ადასტურებს კიდეც პრაქტიკა.

1925—26 სამეურნეო წელში მუშათა კოოპერაცია ანაღდებს გაერთიანებულ მომხმარებელთა სამუშაო ხელფასის 51,9 პროცენტს, ე. ი. მან უკვე გადალახა საშუალო დონე.

მაგრამ ამავე დროს ადგილებზე არ ყოფილა წარმოებული „სათანადო ბრძოლა ფასების დასაკლებად", რასაც აღიარებენ კიდეც თვით მუშათა კოოპერაციის მუშაკები, რომლებმაც თავი მოიყარეს სრულიად საკავშირო მუშათა სექციის მიერ ამასწინად მოწვეულ სავაჭრო თათბირზე.

ამ ნაკლულევანებებთან ერთად, რომლებიც ნაწილობრივ აიხსნება სახელმწიფო მრეწველობის ურიგო მოპყრობით—საქონლის ნაკლები რაოდენობით მიწოდება, ანგარიშების გასწორებისა და საქონლის მიწოდების შესახებ ხელშეკრულებების სათანადოთ შეუსრულებლობა—და ნაწილობრივ საკუთარი ნაკლულევანებებით — გაერთიანებულ მომხმარებელთა მოთხოვნილებებისათვის შეუფერებელ ასორტიმენტისა და აპარატის შერჩევა—ეს ძირითადი დეფექტი, სუსტი ბრძოლა ფასების დასაკლებად, სულ უფრო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ღებულობს.

მუშათა კოოპერაციის სამეურნეო ძლიერება, რომელიც თანდათან იზრდება, ამ მომენტში უნდა გახდეს მთავარ პირობად სამუშაო რეალური ხელფასის აწევის ბრძოლაში, თორემ ყველა ზომები, მიმართული ყველაზე ჩამორჩენილ შრომის დარგებში სამუშაო ხელფასის აწევისაკენ, არ გამოიღებენ სათანადო ნაყოფს.

პარტია და სახელმწიფო ხელისუფლება ყველა ღონისძიებებს მიმართავენ იქითკენ, რომ უზრუნველყოფილი იქნას მუშათა კოოპერაციის დატვირთვა სათანადო საქონლით ხელსაყრელ ფასებში.

მაგრამ საჭიროა, რომ მუშათა კოოპერაციის აპარატი თავის მხრივ დადგეს სათანადო სიმაღლეზე, რადგან მას განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანა ეკისრება.

უახლოეს დროში წარმოებულ უნდა იქნას ენერგიული ბრძოლა ხარჯების შესამცირებლად, ქსელისა და მუშაობის სისტემის გასაუმჯობესებლად და, საბოლოო ანგარიშით—ფასების დასაკლებად.

პარტიის ხაზი, პროლეტარიატის დიქტატურის ხაზი საქონლის მიწოდების დარგში, უწინარეს ყოვლისა უნდა განახორციელოს მუშათა კოოპერაციამ.

მეტი ყურადღება მუშა-მომხმარებელს! მეტი ყურადღება მის მატერიალურ მდგომარეობას და კულტურულ მოთხოვნილებებს!

გადმოცემულია ტელეგრაფით
მოსკოვი, 25 სექტემბერი.

საბჭოთა პრესა
სავაჭრო აპარატის გაიაფება

ეს საკითხი სულ უფრო მეტ ყურადღებას იქცევს ბოლო დროს როგორც სათანადო ორგანოების მხრით, ისე პრესაში. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის აუცილებელ სოციალისტურ დაგროვების ამოცანის გადაჭრა, სხვათა შორის, მჭიდროთაა დაკავშირებული ეხლა მეტად ძვირ სავაჭრო აპარატის გაიაფებასთან, ვინაიდან ამ გზით საკმაოთ მნიშვნელოვან; თავისუფალ საშუალებებს მივიღებდით სამრეწველო მშენებლობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ამავე დროს საცალო ფასების დაკლება, რაც ჩვენს გადაუდებელ საქმეს შეადგენს, ისევ სავაჭრო აპარატის რაციონალიზაციით და გაიაფებითაა მოსახერხებელი. ამ მხრივ პირველ ყოვლისა ყურადღება უნდა მიექცეს ზედნართი სავაჭრო ხარჯების შემოკლებას. ამაზე გაზ. **„ეკონომიჩესკაია ჟიზნ"** სწერს:

„ამ ზედნართ ხარჯებში განსაკუთრებით **მძიმე და მსხვილია საორგანიზაციო ხარჯები.** თუ ქვეყნის კოოპერატიული ქსელი მარტო არჩევითი ორგანოების შენახვაზე ხარჯავს 90 მილ. მანეთამდე წლიურად, თუ დაახლოებით ამდენივე ჯდება ჩვენი ძირითადი საკრედიტო ქსელი; თუ, შემდეგ, ზედნადები ხარჯები საზღვარგარეთ საქონლის გასაღების დარგში 3—4-ჯერ აღემატება ომის წინადროინდელ ხარჯებს, თუ ზედმეტი მიელინებების, მინდობილობათა, კომისიების და სხ. პრაქტიკა ჩვენში განუსაზღვრელ ფარგლებამდეა გავრცელებული,—ცხადია, რომ სწორედ აქ უნდა ვეძიოთ პირველი დასაყრდენი სავაჭრო ხარჯების შემცირებისათვის ბრძოლაში.

სავაჭრო ქსელის უზომო განვითარება რამდენიმედ დაკავშირებულია იმავე ზედმეტ საორგანიზაციო ხარჯებთან. როგორც კოოპერატიული, ისე სახელმწიფოებრივი სავაჭრო ქსელი, მცირედის გამოკლებით, ვითარდება უფრო ჩქარა, ვინემ მოსახლეობის კოოპერატიული შეკავშირების პროცესი და საქონლის მასსის ზრდა, რომელიც ამ ქსელში ტარდება. ამასთან ცალკე ელემენტების სახ. და კოოპერატიულ ქსელში ძალიან ხშირად ერთი მეორის გვერდით არსებობენ და ამით იქმნება ზედმეტი პარალელიზმი, მავნე კონკურენცია საქონლის დამზადება-რეალიზაციაში.

შემდეგ მიდის ხარჯების ჯგუფი საქონლის დატვირთვის, გადატვირთვის, შენახვის, ჩაწყობის და სხ. ასეთების დარგში. საჭიროა გარკვევით დაისვას ამგვარი ოპერაციების რაციონალიზაციის, შესაძლებელ მექანიზაციის, აქ შრომის ნაყოფიერების აწევის, დასატვირთ საქონლის ერთეულზე ხელფასის წილის დაკლების საკითხი.

დაბოლოს,—ხელოვნური ზედნადები ხარჯები საქონლის ბრუნვაზე, რომლებიც არსებითად, წარმოადგენენ საშუალებათა მიმართვას ყოველგვარ კაპიტალურ მშენებლობაზე: ნავთსადგურების აშენება-მოწყობაზე (სანავთსადგურო გადასახადები), ადგილობრივ კომუნალურ, საბინაო და სხვა მშენებლობაზე (ადგილობრივი გადასახადები საქონლის ბრუნვაზე). ეს ხარჯები აუტანელია საქონლის ბრუნვისათვის და მათი გაღება უნდა სწარმოებდეს სხვა წესით,—საბიუჯეტო, გრძელვადიანი სესხის მიცემის, კაპიტალურ მშენებლობაზე განსაზღვრული გეგმის საშუალებათა გაღების წესებით, და არა საქონლის ბრუნვიდან მათი უთავბოლო ამოწურვის გზით".

აი, რანაირად ხდება სავაჭრო ხარჯების გადიდება. ჩვენ უნდა შევეცადოთ მათ შემცირებას და ამ გზით სამრეწველო მშენებლობისათვის დამატებითი საშუალებათა განთავისუფლებას. ამ მხრივ მეტად რთული სამუშაოა შესასრულებელი, სამაგიეროთ ის უდიდეს ნაყოფს გამოიღებს. სავაჭრო ორგანოები კი დღეს უფრო ადვილად თანხმდებიან დამზადებითი ფასების დაკლებაზე და საცალო ფასების გადიდებაზე, ხოლო სავაჭრო აპარატის რაციონალიზაციას და გაიაფებას არც ისე ხალისით ეკიდებიან, მაშინ, როცა სწორედ ეს უკანასკნელია მთავარი და სწორი გზა სოციალისტური დაგროვებისათვის. ეს გარემოება შეუწყნარებელია და მას ენერგიული ბრძოლა უნდა გამოეცხადოს.

საქართველოს ... ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

აფეთქება გემზე

ბერლინი, 24 სექტემბერი. ამერიკის გემის „ფინლენდის“ ქვაბის აფეთქების დროს მოკვდა 5 კაცი.

ციკლონი პორტუგალიაში

ბერლინი, 24 სექტემბერი. პორტუგალიაზე ძლიერმა ციკლონმა გადაიარა, რომელმაც გაანადგურა ალფრანი და ალმეირი.

სისხლის ღვრა ეკლესიაში

ბერლინი, 25 სექტემბერი. რიბალონგაში (პორტუგალია) ხალხით სავსე ეკლესიაში გადააგდეს ყუმბარა. მოკვდა 8 კაცი, დაიჭრა—20.

ტრიესტის კომისარის გაწვევა

პარიზი, 25 სექტემბერი. იტალიის მთავრობამ ტრიესტიდან გამოიწვია საგანგებო კომისარი. ტრიესტში, როგორც ცნობილია, საფრანგეთის საწინააღმდეგო ინციდენტი მოხდა.

საჰაერო ექსპედიცია

მოსკოვი, 25 სექტემბერი. გუშინ მოსკოვიდან ბერლინისაკენ გაფრინდა გერმანულ საზ-ბა „ლუფტ-ჰანზა“-ს საჰაერო ექსპედიცია.

პროფესორის თვითმკვლელობა

ვენა, 25 სექტემბერი. ცნობილმა ავსტრიელმა ბიოლოგმა, პროფესორმა კამერერმა თავი მოიკლა. კამერერს კათედრა ჰქონდა აღებული მოსკოვის უნივერსიტეტში.

თათბირი მთავრობის შესადგენად

ვარშავა, 25 სექტემბერი. განზრახულია გაიმართოს თათბირი აგარაკ დრუზგენიკაში, სადაც ისვენებს პილსუდსკი.

თათბირს დაესწრება პრემიერი ბარტელი, რომელიც პილსუდსკის ადიუტანტის თანხლებით მიემგზავრება დრუზგენიკაში.

ერთა ლიგაში

პარიზი, 25 სექტემბერი. გუშინ დასრულდა კამათი განიარაღების საკითხზე. სესილი შეუერთდა ბონკურს. მისი აზრით, განიარაღება საჭიროა ომის საშინელების თავიდან ასაცილებლათ. გერმანიის დელეგატმა ფონ-შუბერტმა მოიწონა ბონკურის შენიშვნა. ერთხმად იქნა მიღებული რეზოლიუცია განიარაღების კონფერენციის დაუყოვნებლივ მოწვევის შესახებ.

„ჯავშნოსანი პოტიომკინი“ ამერიკაში

ნიუ-იორკი, 24 სექტემბერი. ნიუ-იორკის შტატის ცენზურამ ნება დართო აჩვენონ კინო-თეატრებში სურათი „ჯავშნოსანი პოტიომკინი“ იმ პირობით, თუ სურათიდან ამოჭრილი იქნება ზოგიერთი „ამაღელვებელი“ ადგილები.

მემაღაროეთა კონფერენცია

ლონდონი, 25 სექტემბერი. სამთამადნო მუშათა ალმასკომმა დაადგინა ამ დღეებში მოიწვიოს მემაღაროეთა სადელეგატო კონფერენცია.

ჩინეთი და ერთა ლიგა

ლონდონი, 25 სექტემბერი. 24 სექტემბრის ერთა ლიგის სხდომაზე გამოვიდა ჩინეთის დელეგატი, რომელმაც მდ. იან-ცზი-ცზიანზე შეტაკებაში ბრალი დასდო ინგლისს.

ამის გამო ინგლისის პრესა უკმაყოფილებას გამოსთქვამს.

გაფიცვის შედეგები

ბერლინი, 25 სექტემბერი. ლონდონში ქვანახშირის ფასებმა აიწია. ფასების აწევა გამოწვეულია ქვა-ნახშირის ნაკლებობით.

მუშათა ფრაქციის სხდომა

ლონდონი, 25 სექტემბერი. დღეს შესდგა მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციის სხდომა, რომელზედაც განხილული იყო პარტიის მრავალი პოლიტიკა მემაღაროეთა გაფიცვის საკითხში.

ახალი კურსი

ლონდონი, 24 სექტემბერი. „დეილი ჰერალდი“ აცხადებს, რომ ჩემბერლენის მომავალმა შეხვედრამ მუსოლინთან შეიძლება გამოიწვიოს ინგლისის საგარეო პოლიტიკის ახალი კურსის შექმნა, რომელიც მიმართული იქნება იმისაკენ, რომ საფრანგეთის ჯიბრზე დაუახლოვდეს იტალიას.

გერმანიის კონტრიბუცია

ბერლინი, 25 სექტემბერი. თანახმად ლონდონიდან მიღებული ცნობებისა, გერმანიის კონტრიბუცია აღწევს 76.800 გირვ. სტერლინგამდე წელიწადში.

ინგლისი თავს იმართლებს

პეკინი, 24 სექტემბერი. ინგლისის საელჩომ პეკინის საგარეო საქმეთა სამინისტროს გადასცა საპასუხო ნოტა სამინისტროს ორ მემორანდუმზე ვან-სიანის ინციდენტის შესახებ.

ინგლისის საელჩო პროტესტს აცხადებს ვან-სიანში ჩინეთის ხელისუფალთა მოქმედების წინააღმდეგ და აღნიშნავს, რომ ინციდენტის უშუალო მიზეზი იყო ჩინეთის ხელისუფალთა ცდა აძულებინათ ინგლისის გემები გადაეყვანათ ჩინეთის ჯარები. ნოტა გენერალ იან-სენის მიერ ინგლისის ორი გემის და ინგლისელ ოფიცერთა დაკავებას სთვლის მეკობრეობის აქტად და გამოსთქვამს იმედს, რომ პეკინის საგარეო საქმეთა სამინისტრო არ დაიცავს „თვითნებობის ასეთ აქტს“.

ვან-სიანზე ყუმბარების დაშენის შესახებ ნოტა კმაყოფილდება განცხადებით, რომ ინგლისის სამხედრო-საზღვაო ექსპედიცია იძულებული იყო პასუხი გაეცა ჩინეთის ჯარების სროლაზე და აღნიშნავს, რომ ინგლისის მხრით 7 მოკლულია, 15 დაჭრილი, ხოლო ერთი მექანიკოსი დაიღრჩო.

ინციდენტის ირგვლივ მსჯელობის წინასწარ პირობად ნოტა მოითხოვს იან-სენის მიერ დაკავებულ ინგლისის ორი გემის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას. (ეს გემები ჯერ კიდევ არ დაუბრუნებიათ ინგლისელებისათვის).

ფოდებებს არიგებენ

ლონდონი, 25 სექტემბერი. ლონდონის სიტის კორპორაციამ ერთხმად დაადგინა სიტის მოქალაქეობის უფლება მიანიჭოს სამხრეთ აფრიკისა, ახალ ზელანდიისა და ნიუფაუნდლენდის პრემიერებს გენერალ ჰერცოგს, გორდონ კოტსს და უალტერ მონროეს, იმის გამო, რომ ისინი ამ ახლო ხანში ჩამოვლენ საიმპერიო კონფერენციაზე. სიტის მოქალაქეობის უფლება უკვე მიენიჭა კანადისა და ავსტრალიის პრემიერებს მაკენზი კინგს და ბრიუსს.

პოლიციელების გამოფენა

ბერლინი, 25 სექტემბერი. დღეს დილით ბერლინში გაიხსნა პოლიციელთა საერთაშორისო გამოფენა, რომელსაც უჭირავს 45.000 კვ. მეტრი; ეს უდიდესი გამოფენას წარმოადგენს ომის დროიდან.

ამავე დროს გაიხსნა პოლიციელთა საერთაშორისო კონგრესი.

პრესის კონგრესი

ბერლინი, 25 სექტემბერი. ჟენევაში გაიხსნა პრესის საერთაშორისო ასოციაციის პირველი კონგრესი. კონგრესში მონაწილეობას იღებენ 14 ასოციაციის დელეგატი, რომელნიც წარმოადგენენ თითქმის მთელ ევროპას. კონგრესში მონაწილეობას იღებს გერმანიაც.

ლიგის სესიის შემდეგ

მემელის კონვენცია

კოვნო, 25 სექტემბერი. ლიტვის ყოფილმა პრეზიდენტმა სმეტონამ გამოაქვეყნა წერილი, რომელშიაც აღნიშნავს, რომ გერმანიის ერთა ლიგაში შესვლის გამო, ლიტვა მემელის კონვენციის გადასასინჯავათ უნდა ემზადებოდეს. სმეტონი აცხადებს, რომ გერმანია მოითხოვს ეგრეთწოდებული დანციგის დერეფნის დაბრუნებას. სმეტონის აზრით, ინგლისი და საფრანგეთი დაეთანხმებოდენ ამ მოთხოვნილებებს, თუ ამავე დროს პოლონეთს უფლება მიეცემოდა ლიტვის ოკუპაცია მოეხდინა. სმეტონი აღნიშნავს, რომ გერმანია არ დაეთანხმება საკითხის ამგვარ გადაწყვეტას, ის არ მოისურვებს ურთიერთობის გაფუჭებას საბჭოთა კავშირთან, რომელიც ლიტვის დამოუკიდებლობას ემხრობა. „გერმანიას—სწერს სმეტონი—არ შეუძლია მემელის გვერდის ახვევა, ლიტვას კი უიმისოთ არსებობაც არ ძალუძს“.

შტრეზემანი დარწმუნებულია

პარიზი, 24 სექტემბერი. ბერლინიდან მიღებული ცნობებით, შტრეზემანმა რეიხსტაგში განაცხადა, რომ მას ღრმად სწამს ბრიანის კეთილი სურვილები და დარწმუნებულია, რომ მოლაპარაკება დადებითი შედეგით დამთავრდება.

განიარაღების კონფერენცია

პარიზი, 25 სექტემბერი. ერთა ლიგის სხდომამ დაადგინა, რომ 1927 წლის სესიამდე მოწვეულ იქმნას განიარაღების საერთაშორისო კონფერენცია.

შტრეზემანის პოზიცია მოიწონეს

ბერლინი, 24 სექტემბერი. ვოლფის სააგენტო იუწყება, რომ მინისტრთა კაბინეტმა მოიწონა გერმანიის დელეგაციის პოზიცია ერთა ლიგის პლენუმის სესიაზე.

კაბინეტმა ერთხმად მოიწონა მოლაპარაკება საფრანგეთ - გერმანიის შეთანხმების შესახებ. შემდეგი მოლაპარაკების საწარმოებლად დაინტერესებულ უწყებათა სათავეში მდგომ მინისტრებიდან შესდგა კომიტეტი.

აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე

საზეიმო სხდომა

ხარბინი, 24 სექტემბერი. 24 სექტემბერს გაიმართა გამგეობის პირველი საზეიმო სხდომა გზათა გამგეობის ახალი თავმჯდომარის იუი-ჩუნ-ხანის მონაწილეობით.

სხდომა გაიხსნა გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე — სავრასოვის სიტყვით, რომელმაც თავის სიტყვაში განაცხადა, რომ უკანასკნელი ნახევარი წლის განმავლობაში გამგეობის მუშაობა ნელი ტემპით მიმდინარეობდა და უკანასკნელათ კი თითქმის სულ შეჩერებული იყო მისი მუშაობა.

„საბჭოთა - მუკდენის კონფერენცია, —განაცხადა სავრასოვმა, რომელსაც უნდა გადაეჭრა ყველა სადავო საკითხები, მათ რიცხვში სარკინიგზო საკითხებიც, სამწუხაროდ შეწყდა, რის გამო გზაზე შეიქმნა გამოურკვეველი მდგომარეობა. უკანასკნელ დროს ყველა საკითხები, რომლებსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვთ გზისათვის, სწყდებოდა გზათა მონაწილეობის გარეშე. ასეთ უწესობას ბოლო უნდა მოეღოს. გამგეობა წარმოადგენს ორივე მთავრობის სრულუფლებიან ორგანოს, და მისთვის გვერდის ავლა იმ საკითხების გადაწყვეტაში, რომლებიც გზას ეხებიან, დაუშვებელია“.

გასცა რა პასუხი სავრასოვს იუი-ჩუნხანმა განაცხადა: „მე მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი გადავჭრა მორიგი საკითხები. აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზა წარმოადგენს ურთიერთ სამართველო ორგანოს, რომელიც ორივე სახელმწიფოს ინტერესს შეადგენს. გზის მმართვის დროს ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ მჭიდრო თანამშრომლობისა და ყველა საკითხების სამართლიანი გზით გადაჭრის პრინციპით“.

„პლებისციტი“ ესპანეთში

პარიზი, 25 სექტემბერი. ესპანეთის მთავრობა ფარავს „პლებისციტის“ შედეგებს. პლებისციტი ესპანეთმა მოაწყო იმ მიზნით, რომ დაენახვებია მთელი ქვეყნიერებისათვის ის ნდობა, რომლითაც სარგებლობს დირექტორია ქვეყანაში.

ხელისმოწერას აგროვებდენ „საზოგადოების ქალები“ ქუჩებსა, კაფეებსა, თეატრებსა და სხვა გასართობ ადგილებში. ერთი და იგივე პიროვნება რამდენჯერმე აწერდა ხელს. არავითარი კანტროლი არ იყო არც ხმის მიცემასა და არც ხელმოწერათა დათვლაზე. პოლიცია სახლებშიც კი დაიარებოდა და იმუქრებოდა, რომ „პლებისციტში“ მონაწილეობის მიუღებლობა ჩათვლილი იქნებოდა, როგორც მთავრობის საწინააღმდეგო აქტი. დიქტატორის პოლიტიკის დაწუნება ჩვეულებრივ იწვევდა დაპატიმრებას. მიუხედავათ ტერორისა, დერივერას სასარგებლოდ შეგროვილი იქნა მხოლოდ 8 მილიონი ხელისმოწერა ამომრჩეველთა 14 მილიონ საერთო რიცხვიდან. რეაქციონური გაზეთებიც კი აღნიშნავენ, რომ „პლებისციტის“ შედეგები დიქტატორის საწინააღმდეგოა.

ჰაეროპლანების დაჯახება

ბერლინი, 24 სექტემბერი. სამხრეთ-სლავიის სამხედრო ჰაეროპლანების გადაფრენა ევროპის ირგვლივ შესწყდა იმის გამო, რომ პრაღაში ჰაერში ერთმანეთს დაეჯახენ ჩეხო-სლოვაკიის და სამხრეთ-სლავიის ჰაეროპლანები. დაჯახების დროს მოკვდა 3 კაცი, ხოლო ორი მძიმედ დაიჭრა.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ხელშეკრულება ტრილინგთან

მოსკოვი, 25 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა საკონცესიო ხელშეკრულება პოლონელ მოქალაქე ტრილინგთან. ტრილინგმა უნდა დაამზადოს შალეულისა და ნახევარ შალეულის მაუდი, საბნები შალეულის ნაქსოვები, ვატლინი, ფარდაგები, თავსახვევები და სხ. წარმოების მოსაწყობად კონცესიონებს დაეთმო ფაბრიკა „სპარტაკი“, რომელიც დღემდე „მოსსუკნო“-ს ტრესტში შედიოდა.

საგადასახადო ობიექტები

მოსკოვი, 25 სექტემბერი. ფინანსთა სახალხო კომისარიატში მოსული ცნობებით, საგადასახადო ობიექტების გადამალვამ (სათიბი, ყანა, ბოსტანი) ზოგან მასიური ხასიათი მიიღო.

საგადასახადო ობიექტებს მალავენ უმთავრესად შეძლებული გლეხები, ვინაიდან მათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გადსახადის შემცირებას.

ფინანსთა სახ. კომისარიატმა მისწერა ყველა ფინორგანოებს მიიღონ გადამწყვეტი ზომები აღნიშნულმა მოვლენათა ასაკვეთათ.

კომერციული გეგმა

მოსკოვი, 25 სექტემბერი. რეზინტრესტის კომერციული გეგმით, 1926-27 სამეურნეო წლის განმავლობაში უნდა გასაღდეს 136.600.000 მანეთის ღირებული სხვადასხვა ნაწარმოები, რაც მიმდინარე წლის განზრახულ გასაღებას 127,200,000 მან. სჭარბობს 7 მილიონი მანეთით.

ამიერ-კავკასიაში განაღდებული იქნება 8,500,000 მანეთის ღირებული რეზინის ნაწარმოები, აქედან 3,500,000 მანეთის კალოშები.

სახელმძღვანელოები

მოსკოვი, 25 სექტემბერი. სახელმწიფო გამომცემლობამ მიმდინარე სამოსწავლო წლისათვის დაამზადა 23 მილ. სახელმძღვანელო. 20 მილიონი პირველი საფეხურის სკოლებისათვის და 3 მილ. მეორე საფეხურის სკოლებისათვის.

სოლოვიოვის დანიშვნა

მოსკოვი, 25 სექტემბერი. საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ბრძანებით, ნეფტესინდიკატის გამგეობის წევრი ამხ. სოლოვიოვი 20 სექტემბრიდან დაინიშნა აღნიშნული სინდიკატის თავმჯდომარის მოადგილედ.

თოვლი

ნოვოროსიისკი, 25 სექტემბერი. სოჭის რაიონის მაზრებში მოვიდა დიდი თოვლი. მთის საძოვრებში მოემწყვდა 100 გლეხის ოჯახი და 1.000 სული ცხვარი.

სახელმწიფო ორგანოების გამოკვლევა

მოსკოვი, 24 სექტემბერი. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ მოახდინა „ორეხოვო ზუევის ტრესტის“, „ნეფტესინდიკატის“, „ტყავეულობის სინდიკატის“, „მოსსუკნოს“, „გოსშვეიმაშინა“-ს, „ვოენპრომი“-ს, „სევეროლესი“-ს და სხვ. ორგანოების 1925—26 წლის პირველი ნახევრის მუშაობის გამოკვლევა.

გამოკვლევამ გამოააშკარავა, რომ სწარმოებდა მიზანშეუწონილი ხარჯები როგორიც არის შრომის ხელფასის უკანონო გადიდება, თანამშრომლებისათვის ბინების შეძენა და სხვა.

მომჭირნეობის რეჟიმის გამტარებელი კომისიები გაუქმებული იქნებიან, რადგან მათ ვერ შეასრულეს თავისი ამოცანა. ამ ტრესტების გამგეობებს გამოეცხადებათ სასტიკი საყვედური. მასალები უმაღლეს ორგანოების დირექტივების შეუსრულებლობის შესახებ გადაეცემა უზენაეს დისციპლინარულ სასამართლოს დამნაშავეთა პასუხისგებაში მისა-

სააბრეშუმო კომიტეტი

მოსკოვი, 24 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს თათბირზე განხილულ იქმნა საკითხი სააბრეშუმო კომიტეტის შექმნის შესახებ. კომიტეტის დანიშნულება იქნება: აბრეშუმის დამზადების ორგანიზაციის საკითხების მოგვარება, ნედლეულის ბაზრის აღდგენა, ეკონომიურ-კულტურულ ღონისძიებათა გატარება, ბაზრის მოწესრიგება და სხ. თათბირმა პრინციპიალურად მიზანშეწონილად სცნო ასეთი ცენტრის მოწყობა. განსაკუთრებულ კომისიას დაევალა დაიმუშაოს საკითხი სათანადო მოხსენების წარსადგენად.

ბანკეტი ექსპედიციის პატივსაცემათ

მოსკოვი, 24 სექტემბერი. 23 სექტემბერს გაიმართა ბანკეტი, რომელიც საბჭოთა კავშირის „ავიაქიმის“ საზოგადოების პრეზიდიუმმა მოაწყო ამჟამად მოსკოვში მყოფ გერმანიის საჰაერო ექსპედიციის „ლიუფტ-ატ-ჰანზა„სპატივსაცემად. სიტყვები წარმოსთქვეს გერმანიის წარმომადგენელმა გაიმ, საბჭოთა კავშირის რევსამხედრსაბჭოს და სამხედრო-საზღვაო ძალთა უფროსმა მუკლევიჩმა და ექსპედიციის ხელმძღვანელმა კნაუსმა.

საცალო ფასები

მოსკოვი, 24 სექტემბერი. შრომისა და თავდაცვის საბჭომ მიანდო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს დაამუშაოს და წარადგინოს სასწრაფოდ შრომისა და თავდაცვის საბჭოში დასამტკიცებლად წინადადება ვაჭრობის სახალხო კომისარიატის უფლებათა გაფართოების შესახებ ყველა სავაჭრო ორგანოთა მიმართ იმ მიზნით, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ცხოვრებაში გატარება იმ დირექტივებისა, რომელიც საცალო ფასების დაკლებას შეეხება.

ფასების დაკლების კამპანია

მოსკოვი, 25 სექტემბერი. ვაჭრობის სახ. კომისარიატის კოლეგიის უკანასკნელ სხდომაზე გამოტანილ იქნა დადგენილება გაძლიერებული ტემპით განაგრძონ საწვრილმანო საქონელზე ფასების დაკლების კამპანია. კამპანია უნდა შეეხოს აგრეთვე საწარმოო საქონლის გაიაფებას და ზედნართი ხარჯების შემცირებას.

პერსონალური ჯამაგირები

მოსკოვი, 25 სექტემბერი. საკავშირო შრომის სახ. კომისარიატმა, 24 სექტემბერს გამოსცა დადგენილება, რომლითაც ყველა საერთო-საკავშირო მნიშვნელობის ორგანოებს, რომელზედაც ვრცელდება შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილება პერსონალური ჯამაგირების დაწესების შესახებ, ევალებათ: შემოიტანონ განცხადებები არა უგვიანეს 15 ოქტომბრისა, შრომის კომისარიატთან არსებულ შრომის ხელფასის ფონდის კომისიაში, ასეთი კატეგორიის მუშაკთათვის პერსონალური ხელფასის დასანიშნავათ.

ბრძოლა ხულიგნობასთან

მოსკოვი, 25 სექტემბერი. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან ამ დღეებში თათბირი მოეწყო ხულიგნობასთან ბრძოლის საკითხების გარშემო. ამ თათბირის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ცენტრალურ ადმინისტრატიულ განყოფილებამ შეიმუშავა შემდეგი ღონისძიებანი: დაარსებულ იქნას ქალაქებში საზოგადოებრივი წესრიგიანობის დამცველი კომისიები; მიეცეს უფლება მილიციის თანამდებობის პირებს, რათა ხულიგნობასთან და ლოთობასთან ბრძოლაში ჩააბან კერძო მოქალაქეებიც; ხულიგნობის ასალაკვეთათ უნდა შემოღებულ იქნას სავალდებულო შეპყრობა დამნაშავე პირებისა; ხულიგნობაში დამნაშავეთა დაკითხვა და მათი პასუხისგებაში მიცემა უნდა მოხდეს არა უგვიანეს 24 საათისა დაპატიმრების დროიდან; უნდა დაისვას საკითხი მაგარი სასმელების გაყიდვის შეზღუდვისა და აკრძალვისთვის მუშათა თეატრებში, კლუბებში და სასეირნო ადგილებში. უნდა დაწესდეს ხულიგან-რეციდივისტების ადმინისტრატიულ წესით გადასახლება, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის დასტურით თვითეულ ცალკე შემთხვევაში.

საგარეო ვაჭრობის ამოცანები

მოსკოვი, 25 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარმა მიქოიანმა განაცხადა:

„ჯერ კიდევ სწორად ვერ აფასებენ იმ ფაქტს, რომ საბჭოთა კავშირის თითქმის მთელი სახალხო მეურნეობა აღდგენილია ომამდე არსებულ დონემდე, საგარეო ვაჭრობის დარგში კი ჩვენ ჯერ კიდევ შორს ვართ ამ დონემდე. უპირველესად ყოვლისა, რევოლიუციამდე არსებულ საგარეო აღებ-მიცემობას ადარებენ ეხლანდელს და ივიწყებენ, რომ ომამდე არსებული საგარეო აღებ-მიცემობაში მონაწილეობას იღებდნენ ეხლანდელი მოსაზღვრე სახელმწიფოებიც. მეორე, მეფის რუსეთის ექსპორტის უდიდესი ნაწილი აშენებული იყო არა ზედმეტი ნაწარმოების გაზიდვაზე, არამედ რუსეთის მშრომელ ელემენტების მუშებისა და გლეხების მოხმარების შემცირებაზე. ეს იყო მეფის რუსეთის გაძლიერებული ექსპორტის საფუძველი. ნაწილი იმ პროდუქტებისა, რომელიც მეფის დროს იზიდებოდა საზღვარგარედ, ეხლა შეადგენს ჩვენი ქვეყნის მშრომელ ელემენტების მოხმარების საგანს, რომლებმაც ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ მიიღეს უფრო ნორმალური კვებისა და გაუმჯობესებული ცხოვრების შესაძლებლობა. მშრომელ მასების ნივთიერი და კულტურული ცხოვრების დონის ამაღლება საუკეთესო ბაზისია ჩვენი მრეწველობის ნივთიერი და კულტურული განვითარებისათვის. მეურნეობის მრავალ დარგში, რომელნიც უშუალოდ არ არიან დაკავშირებული მასების მოხმარებასთან, საბჭოთა კავშირის ექსპორტმა გადააჭარბა ომამდე არსებულ დონეს. ასე მოხდა მაგალითად, ნავთის და ბეწვეულის დარგში.

წელს, განსაკუთრებით პირველ ნახევარში, ჩვენ გვქონდა მთელი რიგი დაბრკოლებათა, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე ვსძლიეთ მთელის ენერგიით შევეცდებით, რომ მომავალ წელში თავიდან ავიშოროთ წარსულის შეცდომები და სავსებით შევასრულოთ მთავრობის დავალება“.

ბამბის დამზადება

მოსკოვი, 25 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში მთავარ საბამბო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. მამაევმა განაცხადა:

— დიდი ხანი არაა მას შემდეგ, რაც გაზეთებმა გამოაქვეყნეს ცნობები შრომისა და თავდაცვის საბჭოს სხდომის შესახებ, რომელიც იხილავდა მომავალ ბამბის დამამზადებელ კამპანიის საკითხს და, კერძოთ, საკითხს ბამბის ფასების შესახებ.

უნდა ითქვას, რომ გაზეთებმა ეს ცნობა სათანადოთ ვერ გააშუქეს და სისწორით ვერ აღნიშნეს მთავარ საბამბო კომიტეტის აზრი ბამბის ფასების საკითხში. საქმე იმაშია, რომ იმ ცნობებით, რომელიც ჩვენ გვაქვს, საბამბო ორგანიზაციების მიერ დაწესებული ფასები, დაბალი ხარისხის ბამბაზე დიდათ განსხვავდება იმ ფასებისაგან, რომელიც უნდა არსებობდეს ნედლეულის ფასების შეფარდების დროს. ასე, მაგალითად, ძირითად საბამბო რაიონში—უზბეკისტანში 1925—26 სამეურნეო წლისათვის მეორე ხარისხის ბამბისათვის დაწესებული იყო ფასი—3 მან. და 21 კაპ., ხოლო მესამე ხარისხისაზე—2 მან. 85 კაპ. ნედლეულის ფასების ასეთ შეუფარდებლობას აქვს თავისი უარყოფითი მხარეები, რომლებიც სრულიად არასასურველ მოვლენებს იწვევენ. ჯერ ერთი—შესყიდვის კამპანიის ჩატარების დროს საბამბო ორგანიზაციებსა და ბამბის მთესველთ შორის თავს იჩენს მთელი რიგი გაუგებრობებისა, რაც იწვევს ნედლეული და ხარისხების მუშაობის შეფერხებას. სხვადასხვა ნედლეულთა ფასების სხვაობა იწვევს იმას, რომ ბამბის მთესველნი შემდეგ მოითხოვენ მათი ბამბის მაღალი ხარისხისათვის მიკუთვნებას, რომელსაც ფაქტიურად ის არ შეეფერება; მეორე—მეორე ხარისხის ბამბაზე არსებული დაბალი ფასი აძლიერებს კერძო შემსყიდველებს. ბამბის მთესველნი, მეორე ხარისხის ბამბაზე არსებული დაბალი ფასის მიზეზით, ბამბას ჰყიდიან კერძო პირებზე, რომლებიც იმავე ხარისხის ბამბაზე ცოტა მეტ ფასს იხდიან და მესამე—მუშა-ხელის სიძვირისა და მეორე ხარისხის ბამბაზე დაბალი ფასების გამო, ბამბის მთესველისათვის ასეთი ხარისხის ბამბის აკრეფა არახელსაყრელი ხდება, და ამიტომ ბამბის მოსავლის ნაწილი რჩება აუკრეფავი. ყველა ამ გარემოებების თავიდან ასაცილებლად საჭიროა ბამბის სახარისხო ფასების ერთი მეორესთან დაახლოვება დაბალი ხარისხის ბამბაზე ფასის აწევა. მაგრამ იმისათვის, რომ ფასების საერთო დონე დარჩეს უცვლელი შარშანდელთან შედარებით, დაბალი ხარისხის ბამბაზე ფასების გადიდებასთან ერთად საჭიროა მაღალი ხარისხის ფასების ცოტაოდნად დაწევა.

აი, ასეთი იყო მთავარ საბამბო კომიტეტის მოსაზრებები საბამბო ფასების საკითხში შრომისა და თავდაცვის საბჭოს სხდომაზე.

რკინალდანი

მოსკოვი, 25 სექტემბერი. ქიმიური მრეწველობის უზრუნველსაყოფად რკინალდანით, შრომისა და თავდაცვის საბჭომ აუცილებელ საჭიროებათ სცნო რკინალდანის ამოღების გაძლიერება, რისთვისაც საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს დაავალა მომავალი წლის პირველ კვარტალში ურალის სპილენძის მრეწველობას მისცეს 450.000 მანეთი, სომხეთის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს 100.000 მან. და აზერბეიჯანის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს 150.000 მანეთი, ზემოაღნიშნული დანიშნულებისათვის.

შრომის და თავდაცვის საბჭომ აკრძალა მომავალში საზღვარ-გარეთიდან რკინალდანის შემოზიდვა და დაავალა საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, მის მიერ მრეწველობის რკინალდანით უზრუნველსაყოფად მიღებულ ღონისძიებებს გარდა, მოახდინოს რკინალდანის წყაროების გამოკვლევა ურალსა და კავკასიაში; ამასთან ერთად დაავალა გადაზიდვის ცენტრალურ კომიტეტს სასწრაფოდ შეიმუშაოს რკინალდანის გადაზიდვის ისეთი წესი, რომელიც უზრუნველჰყოფს ქიმიური მრეწველობისათვის რკინალდანის შეუსუსტებელ მიწოდებას.

ცენტროსოიუზი და ნეფტესინდიკატი

მოსკოვი, 25 სექტემბერი. ცენტროსოიუზი და ნეფტესინდიკატი საბოლოოდ შეთანხმდენ ტიპიურ ხელშეკრულების დადებაზე 1927 წლის 1-ლ აგვისტომდე.

მხარეთა თავს იწვევდა ხელშეკრულების მონაწილეებზე უფრო შეღავათიან პირობების გავრცელება და, აგრეთვე, რესურსების ხმარება იმ კოოპერატიულ ორგანიზაციების მიმართ, რომელთაც დაარღვიეს დამტკიცებული ფასები. უფრო შეღავათიანი პირობები, თუ ეს უკანასკნელი მიენიჭება რომელიმე ორგანიზაციებს წინააღმდეგ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული შეღავათებისა, ვრცელდება მის მონაწილეებზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის დამტკიცებული იქნება ნეფტესინდიკატის გამგეობისა და რაიონულ სამმართველოების მიერ. რეპრესიულ ზომებს კოოპერატიულ ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც დაარღვიეს ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებული ფასები, გაატარებს ნავთის სინდიკატი მხოლოდ ცენტროსოიუზთან შეთანხმებით.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

სომხეთი

აბრეშუმის პარკი

ერივანი, 25 სექტემბერი. მიმდინარე წელში მთელ სომხეთში შეაგროვეს 4.800 ფუთი ნედლი პარკი. ამ რაოდენობიდან 1.350 ფუთი გამოყენებულია აბრეშუმის თესლისათვის; 850 ფუთი გადაეცა კაფანის აბრეშუმის და მრთავ ქარხანას, 900 ფუთი გაიტანეს უცხოეთის ბაზარზე: ხოლო 1.700 ფუთი დარჩა გლეხობასთან.

ნათესის მდგომარეობა

ერევანი, 25 სექტემბერი. 15 სექტემბრისათვის ნათესის მდგომარეობა მთელ სომხეთში შემდეგია: გაზაფხულის პური—3,5, შემოდგომის—პური—3.4, გაზაფხულის ქერი—2,8, შემოდგომის—3,4, შვრია—3.5, ბამბა—3,1, თამბაქო—3,2, ყურძენი—2,2, ხილეულობა—2,9, ბრინჯი—4, კარტოფილი—3,5, ბოსტნეულობა—2,9, თივა—3 ბალი.

სოფლის მოშენება

კამარლიუ, 25 სექტემბერი. სოფ. აბბამის მეზობლათ შენდება ახალი სოფელი, სადაც დასახლებული იქნებიან უბანში გაჩნეული 500 მეთამბაქოე ლტოლვილი.

გლეხის ბიუჯეტის გამოკვლევა

ერივანი, 25 სექტემბერი. სომხეთის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ექსპედიციამ დაასრულა გლეხის ბიუჯეტის გამოკვლევა. ამ გამოკვლევის დროს ექსპედიცია სწავლობდა მიწადმოქმედების ტეხნიკას და ხელმძღვანელობდა ჩელინცევის ექსპედიციის მიერ შემუშავებული პროგრამით.

ტრაქტორის სახელოსნოები

ერივანი, 25 სექტემბერი. მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატმა გადასწყვიტა მოაწყოს 1926-27 წლის განმავლობაში ერთი ცენტრალური ტრაქტორის სახელოსნო ერევანში და 5 მოძრავი სახელოსნო მაზრებში.

დინამიური გამოკვლევა

კამარლიუ, 25 სექტემბერი. სომხეთის ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ წარმატებით დაასრულა კამარლიუს უბნის (დინამიური) გამოკვლევა. გამოკვლეულ იქნა 13 სოფელი.

აჭარისტანის ქარხნები

ბათომი, 25 სექტემბერი. 1925—26 წლის სამი მეოთხედის განმავლობაში აჭარისტანის ყველა ქარხნების პროდუქცია შედარებით 1923—24 წელთან გაიზარდა 139 პროც., 1924—25 წელთან შედარებით კი 19 პროც. ცალ-ცალკე წარმოებებში პროდუქციის რაოდენობა გამოიხატება შემდეგ ციფრებში: თუთიის ქარხანა—36.000 ფუთი ნაწარ.—445.125 მანეთის ღირებულების, ქიმიური ქარხანა—95.000 ფუთი ნაწარმოები 274.630 მანეთის ღირებულების. ბიდონის ქარხანა—1.450.000 ცალი 129.500 მანეთისა, თამბაქოს ფაბრიკა 144 მილ. პაპიროსი და 24.000 გირვანქა თამბაქო 1.160.104 მანეთისა. არაყის ქარხანა—597.000 მ., თუჯის-ჩამომსხმელი ქარხანა 138.400 მანეთის. საფანერო და ხეტყის დამამუშავებელი ქარხანა 112.000 მან.. პოლიგრაფიულ განყოფილების—105.000 მან. ქარხნებს საკმაოდ მოეძებნებათ ნედლეული: ქიმიურს—3 თვის სამყოფი, თუჯისას—6 თვის; დანარჩენი—კი—უფრო ნაკლები დროით არიან უზრუნველყოფილნი.

ამხ. ტიმოთეს (ს. სპანდარიანის) ხსოვნას

1905 წ. აგვისტოს ბოლოს მე ჩამოვედი თბილისში სამუშაოდ მაშინდელ ქუთაისის გუბერნიიდან. ამ დროს თბილისში გაცხოველებული და მძიმე პარტიული მუშაობის ხანა იყო. ქალაქის თვითმართველობის შენობაში მუშათა კრების დახვრეტა ახლად მომხდარი ამბავი იყო (29 აგვისტოს). თბილისის მუშები შურის საძიებლად ემზადებოდენ.

კლასთა და პარტიების ბრძოლა იმ დროისთვის უმწვერვალესად გამწვავებული იყო.

ბოლშევიკების ფრაქციამ მობილიზაცია უყო მთელ თავის ძალებს ბურჟუაზიულ პარტიებთან საბრძოლველად და მუშათა მასებზე გავლენის მოსაპოვებლად, ვინაიდან მუშების უმრავლესობა მაშინ სოც.-დემ. მენშევიკებს მიჰყვებოდა.

საჭირო იყო თბილისის მუშათა უბნებში მენშევიკური სტიქიის დაძლევა.

საუკეთესო ძალებმა თავი მოიყარა თბილისში.

ბოლშევიკების ფრაქციის პასუხისმგებელ მუშაკებს და ხელმძღვანელებს შორის დიდ როლს თამაშობდა ამხ. ტიმოთე.

ამხ. ტიმოთე მე გავიცანი სექტემბერში და ჩემზე მოახდინა რწმენის და მეტად გაბედავი ადამიანის შთაბეჭდილება.

ერთად მხურვალე პარტიული მუშაობის მცირე ხნის განვლის შემდეგ, მე გავიგე, რომ ამხ. ტიმოთეს ნამდვილი სახელი არის სურენ სპანდარიანი. ის იყო ცნობილ სომეხ საზოგადო მოღვაწის და სომხურ ნაციონალისტურ გაზეთ „ნორდარ“-ის რედაქტორის სპანდარ სპანდარიანის შვილი. რაც უფრო მეტ ხანს გვიხდებოდა ერთად მუშაობა, მით უფრო ვრწმუნდებოდით, რომ საქმე გვაქვს დიდ ძალასთან ჩვენს პარტიაში.

მე დიდხანს არ მომიხდა ამხ. ტიმოთესთან მუშაობა. ჩვენი ერთად მუშაობა შესწყდა 1906 წ. მაგრამ მცირე ხნის განმავლობაში—დაახლოვებით ერთი წლის განმავლობაში—მე ვნახე მისი მუშაობა რევოლიუციონური ბრძოლის ორ სხვადასხვა ხანაში: რევოლიუციონური მოძრაობის გაძლიერების ხანაში, როცა პოლიტიკურ ასპარეზზე ამოტივტივდენ მრავალრიცხოვანი პოლიტიკური პარტიები და ჯგუფები, რომლებიც აცხადებდენ პრეტენზიებს მოძრაობის ხელმძღვანელობაზე. ეს ხანა დამთავრდა მოსკოვის აჯანყების და მეორე საყოველთაო გაფიცვის დამარცხებით 1905 წ.

შემდეგ კი, რევოლიუციონური ალტინების დაცემის და როგორც მთავრობის, ისე საზოგადოებრივ რეაქციის ხანაში.

პირველ და მეორე შემთხვევაშიაც ამხ. სპანდარიანმა გამოიჩინა რწმენის იშვიათი სიმტკიცე და გამძლეობა ბრძოლაში, რომელსაც ვაწარმოებდით მენშევიზმთან, სომხურ და ყოველივე ჯურის ნაციონალიზმთან.

სავსებით ცხადია, რომ იმ გარემოებამ,რომ ის იზრდებოდა გამოჩენილ და დიდ ნაციონალისტის ოჯახში, ხელი შეუწყო მას გამხდარიყო ის ნამდვილი და გულწრფელი ინტერნაციონალისტი.

განსაკუთრებით მძიმე იყო 1905 წ. რევოლიუციის დამარცხების შემდეგ მდგომარეობა სომეხ მარქსისტ-ბოლშევიკების მცირერიცხოვან ჯგუფისა, რომელსაც გააფთრებით უტევდა დაშნაკური და სხვა სახის რეაქცია.

დაშნაკების ბელადებთან, [illegible]ნიანთან, ტოპჩიანთან [illegible] და სხვებთან ბრძოლის საქმეში, დიდი როლი ითამაშეს ჩვენ მიერ იმ დროს გამოცემულმა სომხურმა ს.-დ. გაზეთებმა, რომლებშიაც ჩვენი საუკეთესო პუბლიცისტები იღებდენ მონაწილეობას. მათ შორის გამოჩენილი ფიგურა იყო განსვენებული ამხ. სპანდარიანი. ერთი წუთითაც არ დაუხრია მას მარქსისტულ-ბოლშევიკური დროშა მტრების წინაშე. ამხ. სპანდარიანის დახმარების წყალობით შესძლეს თბილისის სომეხ მუშებმა თავიდან აეცილებიათ სომხური ნაციონალიზმის იდეური გავლენა.

მაგრამ ამხ. სპანდარიანის ნიჭი ვერ გაიშლებოდა თბილისის ვიწრო ფარგლებში. მისი ნიჭის აყვავების ხანა დაკავშირებულია მისი ბაქოში მუშაობის პერიოდთან, რის მოწამეც მე უკვე აღარ ვყოფილვარ. ბაქოს პროლეტარიატში მუშაობის დროს ის იმდენად გაიზარდა, რომ პარტიის ყველაზე უფრო მძიმე მომენტში ის არჩეულ იქნა ცენტრალური კომიტეტის წევრად.

უკანასკნელად ამხ. სპანდარიანი მე ვნახე 1913 წ. მეტეხში, ჩვენი ორგანიზაციის საქმის გამო ციმბირში გაგზავნის წინა ხანებში. მას არ ხვდა წილად ეცხოვრა ჩვენ დრომდე. მან ვერ განიცადა ჩვენთან ერთად ბრძოლის და გამარჯვების გმირული მომენტები. მას არ დასცალდა გამოეყენებია თავისი ნიჭი სოციალისტურ აღმშენებლობისთვის. სიკვდილმა უდროვოდ მოგვაშორა ის. თორემ ის იქნებოდა ჩვენ შორის ერთი გამოჩენილი მუშაკთაგანი.

ახალმა თაობამ კარგად უნდა იცოდეს ცხოვრება და მუშაობა ისეთი მებრძოლისა, როგორიც იყო ამხ. ტიმოთე.

შ. ელიავა.

პარტიული ცხოვრება

პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე

გადახრებს და ჯგუფობრიობას არ დაუშვებთ

პარასკევს, 24 სექტემბერს, საღ. 6 საათზე შესდგა ა.-კ. კომუნისტური უნივერსიტეტის კომპარტიის და კომკავშირის უჯრედების საერთო კრება, სადაც მოსმენილ იქნა ამხ. ლისოვსკის მოხსენება ს. კ. პ. (ბ) ცეკას და ცენტრ. საკონტროლო კომისიის ივლისის გაერთიანებული პლენუმის შედეგებზე.

მოხსენების ირგვლივ გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია: „კომპარტიის და კომკავშირის ა.-კ. კომუნისტური უნივერსიტეტის უჯრედების საერთო კრება მთლიანად უერთდება ს. კ. პ. (ბ) ცეკას და ცენტრ. საკონტროლო კომისიის გადაწყვეტილებებს და აღიარებს, რომ ოპოზიციის შეხედულება გლეხობის საკითხზე. მისი შეფასება ახალი ეკონომიური პოლიტიკის, საბჭოების გადარჩევის შედეგების და სხვა, აშკარა არალენინურია.

ოპოზიციის გადასვლა არალეგალური ფრაქციული მუშაობაზე, გაუგონარი ფაქტია პარტიის ისტორიაში და ის წარმოადგენს აშკარა დარღვევას მე-10 და მე-14 პარტყრილობების დადგენილებებისა, სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს პარტიის მთლიანობისათვის. კრება მიზანშეწონილად სცნობს: ზინოვიევის მოხსნას პოლიტბიუროს წევრობიდან, ლაშევიჩის გამორიცხვას ს. კ. პ. (ბ) ცეკას კანდიდატობიდან და პლენუმის სხვა დადგენილებებს, რომლებიც მიმართულია ლენინური პარტიის მთლიანობის დასაცავად.

კრება საჭიროდ სთვლის მომავალშიც გადამწყვეტი ზომების მიღებას იმ ამხანაგების წინააღმდეგ. რომლებიც ამა თუ იმ ჯგუფის ან ფრაქციის საშუალებით შეეცდებიან პარტიის მთლიანობის დარღვევას.

ა.-კ. კომუნისტური უნივერსიტეტის უჯრედთა საერთო კრება აცხადებს, რომ ის თავიდანვე იდგა და იდგომება მომავალშიაც ლენინურ ხაზზე და თავის რიგებში არ დაუშვებს არავითარ გადახრებს და ჯგუფობრიობას და ლენინურ ცეკასთან ერთად დაიცავს კომპარტიის ფოლადისებურ დისციპლინას, რაც საწინდარია ჩვენი პარტიის მონოლიტობისა და მისი საბოლოო გამარჯვებისა.

სადელეგატო კრებების ხელ-ახალი გადარჩევის გარშემო ამიერ-კავკასიაში

ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციები სექტემბერ-ოქტომბრის თვეებში ჩაატარებენ იმ ქალთა აქტივის საბოლოო აღრიცხვას, რომელთაც შეასრულეს სადელეგატო მუშაობის წლიური (25—26 წ.) სტაჟი. 25—26 წლის გაწვევის დელეგატ -ქალთა გამოშვების შემდეგ, სექტემბერ-ოქტომბერს მთელ ამიერ-კავკასიაში ჩატარებული იქნება 26—27 წლის გაწვევის დელეგატ-ქალთა ხელახალი გადარჩევა.

25—26 წლის გაწვევის დელეგატ-ქალთა რიცხვი მთელ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში წვდება 10.971-სა და 23-24 წლის გაწვევის აღის 21.428-დე (წინააღმდეგ 24—25 წლის გა. 4.862-სა). დელეგატ-ქალთა მიმდინარე წლის შემადგენლობის შარშანდელთან შედარების დროს თვალსაჩინოა:

ა) დელეგატ-ქალთა საერთო რიცხვის გადიდება 95,3 პროც.-ით.

ბ). საქართველოში: 1) დელეგატ-ქალთა რიცხვის გადიდება (მთელი შემადგენლობის 65 პროც., წინააღმდეგ შარშან. 51.3 პროც.-სა), 2) მუშა-ქალთა რიცხვის შემცირება (9,8 პროც., წინააღმდეგ შარშანდელ 16 პროც.-სა); 3) მოსამსახურეთა რიცხვის შემცირება (6,2 პროც., წინააღმდეგ შარშანდელი 10,6 პროც.-სა); 4) დიასახლისთა რიცხვის შემცირება (15 პროც., წინააღმდეგ შარშანდელი 20,7 პროც.-სა); 5) მკვიდრ მოსახლეთა რიცხვის გაზრდა (ქართველი ქალები—66,7 პროც., წინააღმდეგ შარშანდელი 60,5 პროც.-სა).

ბ) აზერბეიჯანში: 1) მუშა-ქალთა რიცხვის გადიდება (20,6პროც.,წინააღმდეგ შარშანდელი 18.3 პროც.-სა); 2) დიასახლისთა რიცხვის გაზრდა (25,5 პროც., წინააღმდეგ შარშანდელი 22,8 პროც.-სა); 3) გლეხ-ქალთა რიცხვის გადიდება (37,6 პროც., წინააღმდეგ შარშანდელი 40.9 პროც.-სა); 4) მოსამსახურეთა რიცხვის შემცირება (14,2 პროც., წინააღმდეგ შარშანდელი 18 პროც.-სა); 5) მკვიდრი მოსახლეობის რიცხვის გადიდება (თურქი-ქალები 38,6 პროც., წინააღმდეგ შარშანდელი 38,1 პროც.-სა).

გ)სომხეთში: სამწუხაროდ, დაწვრილებითი ცნობების უქონლობის გამო, შეუძლებელია მსგავსი ანალიზის გაკეთება.

საერთოდ, სისწორით შეიძლება ითქვას, რომ სადელეგატო კრებებმა 25-26 წელში მთელ ამიერ-კავკასიაში მოგვცეს გლეხ-ქალთა და მკვიდრი მოსახლეობის დელეგატ-ქალთა რიცხვის გადიდება. დელეგატ-ქალთა ამ შემადგენლობაში პროფკავშირის წევრები არ აღემატებიან მთელი შემადგენლობის ერთ მესამედს. გლეხ-ქალთა სიმრავლით და, აგრეთვე, იმ გარემოებით, რომ მიმდინარე წელს სადელეგატო კრებებში ჩაბმულ იქნენ საზოგადო ცხოვრებაში გამოუსვლელი ქალები, აიხსნება წერა-კითხვის უცოდინართა დიდი პროცენტით დელეგატ-ქალთა კრებების შემადგენლობაში (ასე, მაგალითად—საქართველოში მათი პროცენტი აღის 23,7-დე, ხოლო აზერბეიჯანში—42,1-დე). დელეგატ-ქალთა რიცხვის გადიდებას თან სდევდა პუნქტების რიცხვის გადიდება იმ რაიონებში, სადაც მოწყობილი იყო სადელეგატო კრებები (დაახლოვებით 500-800-დე).

როგორ მიმდინარეობდა სადელეგატო კრებების მუშაობა? მიუხედავათ იმისა, რომ თითქმის ყველა უჯრედებს გამოყოფილი ჰყავდათ საუჯრედო ორგანიზატორები ქალთა შორის სამუშაოდ—ბევრი მათგანი მაინც საკმაოდ ვერ ახორციელებდა პარტხელმძღვანელობას სადელეგატო კრებების მუშაობაზე, რაც ნაწილობრივ აიხსნებოდა ადგილობრივ კვალიფიციურ ძალთა ნაკლებობით და, უმთავრესად, ქალთა შორის მუშაობის საქმეში უჯრედების ამოცანებთან და, ამასთან დაკავშირებით, საუჯრედო ორგანიზატორის როლთან გაუცნობლობით.

შემდეგი ძირითადი ნაკლი სადელეგატო კრებების მუშაობაში გამოიხატებოდა იმაში, რომ ისინი უზრუნველყოფილი არ იყვნენ მუდმივი. კვალიფიციური ხელმძღვანელებით (გარდა ქალაქებისა და ზოგიერთ სასოფლო პუნქტებისა), არ იყო დელეგატ-ქალისათვის გასაგები პოპულიალური ლიტერატურა (თუ რა ჩავთვლით რესპუბლიკების მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილებების ჟურნალებს და დროგამოშვებით გამოცემულ პოპულიარულ წიგნებს სადელეგატო კრებების პროგრამის ცალკე საკითხებზე) და, აგრეთვე, თვით ხელმძღვანელთათვის საჭირო სახელმძღვანელო მასალებით. ძალიან მოიკოჭლებდა, აგრეთვე, დელეგატ-ქალების მიმაგრება სხვადასხვა ორგანიზაციებსა და დაწესებულებებზე (საბჭოთა სექციები, კოოპერატივები და სხვ.) პრაქტიკული მუშაობის საწარმოებლად.

თუ ყველა ზემონათქვამს კიდევ დაუმატებთ დელეგატ-ქალების სუსტ კავშირს თავის ამომრჩევლებთან და, აგრეთვე, ჩვენი პარტორგანიზაციების მიერ სადელეგატო კრებების მუშაობის უწესრიგო აღრიცხვას, მაშინ, შეიძლება ითქვას, ამოწურული გვექნება მიმდინარე გაწვევის სადელეგატო კრებების მუშაობის ყველა მთავარი ნაკლულევანებები.

აღნიშნავთ რა ნაკლულევანებებს სადელეგატო კრებების მუშაობაში, მაინც უნდა გვახსოვდეს ის, რომ მიმდინარე წელი ა.-კ. რესპუბლიკათა სადელეგატო კრებების ცხოვრებაში წარმოადგენდა გეგმიან მუშაობაზე გადასვლის პირველ წელს. მიმდინარე წელს სადელეგატო კრებების მუშაობის პროცესში ჩვენ თითქმის აღარ შევნიშნავს პუნქტებისა და დელეგატ-ქალების რიცხვის უწესრიგო ზრდა, როგორც ამას ჰქონდა ადგილი წარსულში. მუშა და გლეხ-ქალთა ცენტრალური განყოფილებები რესპუბლიკებში სცდილობდენ სადელეგატო კრებების მუშაობაზე ხელმძღვანელობის გაწევას, ხოლო უკვე შესამჩნევი ხდებოდა ჩვენი სამაზრო კომიტეტების ხელმძღვანელობის გაუმჯობესება სადელეგატო კრებების მუშაობაზე.

დელეგატ-ქალთა ინსტიტუტის შეჭრა სოფლის ყოფა-ცხოვრებაში, საზოგადო ცხოვრებაში გამოუსვლელ გლეხ-ქალთა დაპყრობა, წარსულთან შედარებით მკვიდრი მოსახლეობის მშრომელი ქალების მეტი ჩაბმა (განსაკუთრებით თურქი-ქალებისა—აზერბეიჯანში) — ყველაფერი ეს იმას მოწმობს, რომ 25-26 წლის გაწვევის სადელეგატო კრებების მუშაობა მიდიოდა სწორი გზით.

მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილებების მუშაკთა ამიერ-კავკასიის თათბირი, რომელიც ამა წლის გაზაფხულზე გაიმართა, სადელეგატო პუნქტების მუშაობის აღრიცხვა, წარმოებული რესპუბლიკების მუშა და გლეხ-ქალთა ცენტრალური განყოფილებების მიერ და, აგრეთვე მთელი მიმდინარე წლის მუშაობაში ადგილების მიერ მიღებული გამოცდილება შესაძლებლობას აძლევენ ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციებს მომავალ სეზონისათვის გააუმჯობესონ სადელეგატო კრებების მუშაობა. ამას უპირველეს ყოვლისა ხელი უნდა შეუწყოს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილებისა და საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების დირექტივამ ჩვენი საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებების მიერ სადელეგატო კრებების პარტგანმანათლებელ ქსელში მოქცევის შესახებ, რაც სადელეგატო კრებებზე უზრუნველჰყოფს მტკიცე გავლენას და მუდმივ ხელმძღვანელებს. რესპუბლიკების მუშა და გლეხ-ქალთა განყოფილებების მიერ შედგენილი და საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის სოლქო კომიტეტის მიერ გამოცემული „დელეგატ-ქალებთან სამეცადინო სახელმძღვანელო“ და „გლეხ-ქალთა ორგანიზატორის თანამგზავრი“, ყოველ ეჭვს გარეშეა, გაადვილებენ მეცადინეობას პროგრამის მიხედვით და ელემენტარულ ცნობებს მიაწვდიან გლეხ-ქალთა სასოფლო და საუჯრედო ორგანიზაციებს.

სადელეგატო კრებების მოწყობის რადიუსის შემცირება (1-7 ვერსიან რადიუსიდან 1-3 ვერსიან რადიუსამდე) გლეხურ მასას უფრო დაუახლოვებს დელეგატ-ქალთა ინსტიტუტს. ამიერ-კავკასიაში აღრიცხვის ერთიანი ფორმის შემოღება (საკავ. კომ. პარტ. (ბ) ცენტრ. კომიტ. ფორმის მიხედვით) მოაწესრიგებს სადელეგატო კრებების მუშაობის აღრიცხვის საქმეს. არ ისახავს რა მიზნად სადელეგატო კრებების ქსელის გაფართოებას, ხელახლა გადარჩევის კამპანიამ უნდა ჩაითრიოს მუშებისა და გლეხების ფართო მასები. 26-27 წლის დელეგატ-ქალთა გაწვევა ისევე,როგორც წარსულში, უნდა შეეხოს საზოგადო ცხოვრებაში, გამოუსვლელ მუშა-ქალებს, მუშების ცოლებს და გლეხ-ქალებს უფრო მეტად ვიდრე წარსულში, ჩათრეულ უნდა იქნენ მომუჯამაგირე-ქალები, ღარიბ - ღატაკი, ქალები; დიდი ყურადღება უნდა მიექცეს კავშირის გაღრმავებას ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხ-ქალთა შორის, პროლეტარიატისა და გლეხობის შემჭიდროება-შეკავშირებას. თავიდანვე მიღებულ უნდა იქნას ზომები დელეგატ-ქალთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის მოსასპობათ და, აგრეთვე, საჭიროა შეუდგეთ პრაქტიკული მუშაობის მოწესრიგებას მათი როგორც სწავლებასთან შეჩვევის, ისე იმ ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მხრივ სათანადო ხელმძღვანელობის მოწესრიგების მიზნით, რომლებზედაც მიმაგრებული არიან დელეგატ-ქალები.

ასევე სასწრაფო ზომები უნდა იქნას მიღებული საუჯრედო ქალორგანიზატორების გასაცნობათ პარტიის ამოცანებთან ქალთა შორის მუშაობის საკითხში, და ამ მუშაობის ფორმებისა და მეთოდების შესასწავლად. ყველა ეს ღონისძიებები სადელეგატო კრებებს მისცემენ სწორ მიზნობრივ დანიშნულებას, გადააქცევენ მათ „საზოგადო პოლიტიკური მუშაობის პრაქტიკული მომზადების სკოლად“ და ხელს შეუწყობენ პარტიის მუშაობის გაღრმავებასა და განმტკიცებას მუშების და გლეხების ფართო მასებში.

ს. შავერდოვა.

კონსულტაცია თვითგანვითარების საკითხებზე

ჯერ კიდევ წინად ჩვენი პარტიული მუშაკებისათვის თვითგანვითარებამ ფრიად დიდი როლი შეასრულა. თვითგანვითარება ძველად ერთად-ერთი საშუალება იყო მარქსისტული მსოფლმხედველობის შესაძენად. არც ერთი სკოლას და უნივერსიტეტს არ მიუცია ის მარქსისტული მომზადება, რომელიც ჩვენი არალეგალურად მომუშავე პარტიულ ამხანაგებს აქვთ.

მიუხედავათ იმისა, რომ მეფის მთავრობა ყოველმხრივ ავიწროებდა თვითგანვითარების საქმეს, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის სრულიად არ იშოვებოდა სახელმძღვანელო წიგნები, ციხეებში მყოფნი და გადასახლებულნი მაინც იმდენად მომზადენ თვითგანვითარების გზით,რომ ზოგ მათგანმა ფართო მარქსისტული მომზადებაც მიიღო. თანამედროვე პირობებში თვითგანვითარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა, რადგან მხოლოდ ამ გზით შეეძლია ჩვენი პარტიული მასის პოლიტიკური მომზადების დონის ამაღლება.

სამი წლის პრაქტიკამ, როგორც ცენტრში ისე პროვინციებში უკვე დაამტკიცა, რომ თვითგანვითარების მნიშვნელობა ეხლაც განუზომელია. თვითგანვითარებას ასწავლის დღეს ჩვენი სკოლაც, რომელიც იმდენად მზა ცოდნას კი არ აძლევს, არამედ ახალგაზრდობაში თვითმოქმედების გზით გონებრივი მუშაობის ჩვევებს ხელს უწყობს, აჩვევს სკოლის გარეშე დამოუკიდებელი გზით სკოლაში მიღებულ ცოდნის გაღრმავებას. ჩვენს პირობებში როცა პარტიული მასა მოწადინებულია თავისი ცოდნა გააძლიეროს, ხოლო ჩვენი სკოლები არაა საკმაო იმისათვის, რომ ყველა მათგანი დაიტიოს და არც ეკონომიურად ვართ იმდენად ძლიერი, რომ ყველა მსურველი სკოლაში გავგზავნოთ,—ასეთ პირობებში თვითგანვითარებისათვის ხელის შეწყობა და მასში ცოდნის მიღებით მონდომებული მასის ჩაბმა ფრიად საჭირო და აუცილებელია.

თბილისის კომიტეტი ამ საკითხს სათანადო ყურადღებით მოეპყრო და უკვე გადადგა პირველი ნაბიჯი. მან ცენტრალურ პარტიულ კლუბთან მოაწყო საკონსულტაციო ბიურო, რომლის წევრები, ყველა თვითგანვითარებით დაინტერესებულ პირს აძლევენ სათანადო რჩევებს. კონსულტანტები უხსნიან მსურველთ ვა-დარიგებას ამა თუ იმ საკითხის დამუშავების, თუ რაგვარი წიგნი გამოდგება მათთვის და როგორ უნდა აწარმოონ მათ წიგნზე მუშაობა. საერთოდ წელს უკვე დაიწყო თბილისში თვითგანვითარების წრეების შედგენა, რომელიც ამავე საკონსულტაციო ბიუროს დახმარებით ამუშავებენ წრის წევრებისათვის საინტერესო საკითხებს.

ჩვენი პარტიული მასა ვერ არის სამწუხაროდ მომზადებული. ხშირად მას ან სრულიად არა აქვს წარმოდგენა რა ხდება ამა თუ იმ სფეროში, ან ამა თუ იმ ქვეყნებში ანდა ისეთი წარმოდგენა აქვს, რომელიც სინამდვილიდან მეტად დაცილებულია. როცა ეძიები მიზეზს, თუ რატომ აქვს ადგილი ჩვენი პარტიული მასის ასეთ ჩამორჩენილობას პოლიტიკური მომზადების მხრივ, ხშირად ცხადი ხდება, რომ ეს გარემოება სულ უბრალო მიზეზის ბრალია. სახელდობრ ბევრმა ჯერაც არ იცის როგორ უნდა იკითხოს გაზეთი ან წიგნი. ბევრი გაზეთს იწერს, მაგრამ მით სათანადოთ ვერ სარგებლობს—მას დღემდე ვერ შეუმუშავებია გაზეთის წაკითხვის წესი. ბევრი წიგნს კითხულობს მაგრამ ვერ მოუხერხებია წაკითხულის გამოყენება და რიგიანად დამუშავება. ამ გარემოებასაც მიექცა ყურადღება და ზევით ყველა თვითგანვითარებით მოწადინებული მიიღებს სათანადო რჩევა-დარიგებას მუშაობის უფრო უკეთ და ადვილად საწარმოებლად. სამწუხაროთ ჯერ-ჯერობით ჩვენი მუშები ამ ბიუროთი საკმაოთ ვერ სარგებლობენ, შეიძლება იმიტომ, რომ ყველამ არც კი იცის ამის შესახებ. ყოველ შემთხვევაში მასთან კავშირის გაძლიერებით ბევრად მოიგებდა ყველა, ვისაც გონებრივი მუშაობა აინტერესებს და ამ მხრივ მთელ რიგ დაბრკოლებებს ეჯახება.

კანი.

პარტმუშაობა ჩვენს ნაწილში

(1 კ. მ. საარტილერიო ლეგიონი)

პარტგანათლებას ჩვენს ნაწილში სათანადო ყურადღება ექცევა თავიდან. მთელი ლეგიონის პარტკანდიდატები და ახკომკავშირის წევრები ნაწილში მოსვლისას იქნა გამოცდილი და მათი პოლიტიკური ცოდნის მიხედვით გაიგზავნენ სკოლებში. პარტიის წევრებისათვის აქტიური პარტკანდიდატებისათვის და ახკომკავშირელებისათვის დაარსდა პირველი საფეხურის პარტსკოლა. ნაკლებ მომზადებულ კომკავშირის და პარტკანდიდატებისათვის კი დაარსდა საკავშირო სკოლები. მეცადინეობა ორივე სკოლაში სისტემატიურად ტარდებოდა პირველ ხანებში, კვირაში ერთხელ, მაგრამ იმ გარემოებამ, რომ მსმენელთა რიცხვი დიდი იყო და სკოლა ხელმძღვანელ ძალების ნაკლებობას განიცდიდა, პირველ ხანებში ხელი შეუშალა საგნების შეთვისების საქმეს. ამ მდგომარეობის თავიდან ასაცილებლათ კომკავშირელთათვის დაარსებულ იქნა ცალკე ჯგუფი და მათ მიეჩინა ხელმძღვანელი. ამ ნაბიჯით შესაძლებელი გახდა ახ. კ. კავშირის სკოლა გაყოფილი ყოფილიყო ოთხ ჯგუფათ და 1 საფეხურის პარტსკოლა ორ ჯგუფად. ჯგუფებათ დანაწილებამ საშუალება მისცა სკოლის ხელმძღვანელებს კოლექტიურად დაემზადებიათ ჩატარებული თემა და სასოფლო საბჭოში გაერჩია მეცადინეობის ნაკლი და მიღწევები. სასოფლო საბჭოს მეთოდიურმა მუშაობამ, და დივიზიის და არმიის მიერ გამოგზავნილმა მეთოდიურ წერილების გარჩევამ ძლიერ აამაღლა სკოლის ხელმძღვანელების კვალიფიკაცია. თუმცა მრავალი დამაბრკოლებელი მიზეზები ახლდა მუშაობას, როგორიცაა არა საკმაო ქართული ლიტერატურის უქონლობა განსაკუთრებით მეთოდიურ დარგში, თვალსაჩინოების გამოუყენებლობა ზოგიერთ შემთხვევაში ხელმძღვანელის მიზეზითაც და სხვა, მაგრამ მსმენელების გამოცდები და შემოწმება მუშაობის დადებით სურათს იძლევა უმეტეს შემთხვევაში. 60 პროც. განვლილი თემებისა კარგათ არის მსმენელების მიერ შეთვისებული, შეკითხვებზე იძლევიან ცოცხალ პასუხს და სხვა. 1902 წელში დაბადებულთა შორის სწარმოებს მუშაობა, ისინი პარტ. და საკავშირო სკოლებში ითვლებოდნენ და ახლო მომავალში წავლენ გრძელვადიან შვებულებაში. ჩვენი ნაწილი ღრმად არის დარწმუნებული, რომ ისინი სათანადო უნარს გამოიჩენენ ადგილებზე დაბრუნებისას და ქალაქად მიღებულ ცოდნას პრაქტიკულად სოფელში გამოიყენებენ.

სამხედრო ტ. მამალაძე.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული
ყოფილ მენშევიკთა შორის მომუშავე განყოფილების ორგანო

ახალი გზით

კოწია სულაქველიძის რედაქტორობით

კვირა, 26 სექტემბერი 1926 წ. — გაზ. „კომუნისტი“-ს ორკვირეული დამატება — № 21.

დაწყებული ფრონტი

ოქტომბრის პირველ რიცხვებიდან დაიწყება კამპანიების ჩატარება საქართველოს ყველა კუთხეებში ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტთა შორის. ამ მუშაობას ფრიად სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. დღემდე, რამდენადაც ყოფილ მენშევიკთა შორის მუშაობა წარმატებით მიმდინარეობდა, იმდენად ახალგაზრდობაში მოიკოჭლებდა ეს მუშაობა და გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ამ მიმართულებით ჯერ თვალსაჩინო არაფერი არ გაკეთებულა.

ამ გარემოებამ უკვე იჩინა თავი და საქართველოს ბევრ კუთხეში, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, არა ერთი და ორი ახალგაზრდა წამოეგო არალეგალურ მოჩხირკედელეთა ანკესს. ხშირი შემთხვევაა, მოტყუილებული, გაბრიყვებული ახალგაზრდა „საქმიანობის“ დროს ხვდება ხელისუფლების სათანადო ორგანოთა ხელში და იწყება „მონანიება“.

რატომ უნდა ხდებოდეს ეს? მართალია, თვით პიროვნებებიც არიან დამნაშავენი, რომლებიც „ვაჟკაცობენ“, მაგრამ ისიც არის ამის მიზეზი, რომ ახალგაზრდობაში არ ჩატარებულა სათანადო მუშაობა.

ახალგაზრდობას უნდა აუხსნათ. განუმარტოთ სინამდვილე შევაგნებინოთ, რომ ევროპიდან ჩამოსული ემისრები და მათი აგენტები აქ ხიყალებს სჩადიან, ჭორებს ავრცელებენ. ამით ჩვენ დიდ საქმეს გავაკეთებთ.

ახალგაზრდობას ნაცვლად მავი-ზღვისაკენ ყურებისა, მეცადინეობას შევაყვარებთ და მომავალ თაობას მოვამზადებთ.

ყოფ. მენშევიკთა შორის მომუშავე განყ. უკვე შეუდგა სამზადისს ამ მუშაობის ჩასატარებლად. საჭიროა სამაზრო განყოფილებებმაც მიიღონ ყოველივე ეს მხედველობაში და მუშაობის დასაწყისს მომზადებული დახვდნენ.

ოქტომბერი, ევროპა და დელეგაციები

დიდი ოქტომბრის გამარჯვებამ არა! რით აიხსნება, რომ რუსეთში ოქტომბ... თუ ძირ-ფესვიანად ამოაგდო რუსეთის ბერმა გამარჯვება...

[...]

...ლეტარიატის სიმპატია და თანაგრძნობა საბჭოთა ხელისუფლებისადმი მაინც არ გამქრალა, ის მხოლოდ დროებით შესუსტდა. მაშასადამე, ოქტომბერმა ევროპის პროლეტარიატი შეანძრია, გამოაცოცხლა, პროლეტარული რევოლიუციის მადა გაუღვიძა; მაგრამ ამ რევოლიუციამ იქ, ფეხი ვერ მოიკიდა, დამარცხდა.

...ინგლისის მეთაურობით ... დახმარებით მას თანდათან მუხრუჭს უჭერდა. გერმანია მაინც იბრძოდა. დაიწყო რევოლიუციონური მოძრაობა; კელნში მეზღვაურები აჯანყდნენ, პროლეტარიატი ქუჩაზე გამოვიდა. ის ქუჩას დაეუფლა. ვილჰელმის დღეებს თვლა დაუწყეს. ამ დროს ყველაზე მძლავრი, ყველაზე შეკავშირებული და დარაზმუ...

...ლი სურათებით მუშათა კლასს აშინებდნენ და დიქტატურის იდეას აზიზღებდნენ. და მუშებმაც მათ დაუჯერეს. აბა, ისინი როგორ წარმოიდგენდნენ, თუ მათი ბელადები, მარქსისტები, სოციალისტები, ინტერნაციონალის წევრები მათ უღალატებდნენ. ალბად, ასე სჯობსო,—

...რემოება, რომ ეს სიმპატია და თანაგრძნობა დღითი-დღე მატულობს და ფართოვდება.

ასეთი განწყობილების დამახასიათებელი და დამამტკიცებელი ფაქტები და სურათები უამრავი და თვალსაჩინოა.

ი. ქ.

ნიკო ელიავაც მოდის

როგორც გაზ. „კომუნისტი“-ს გუშინდელი ნომერიდან გავიგეთ, ნ. ელიავა საქართველოში მოემგზავრება.

ემიგრაციის რიგები დიდი ხანია შეინძრა; ჟორდანიას შტაბს ერთი დიდი ბოძი გამოეცალა. ნიკო ელიავას ბევრი იცნობს. ის ძველი მენშევიკი იყო, ის—დასელია.

ნიკოს შესახებ ხომ მაინც ვერ იტყვის პარიზი,—ეს ვინ გდია, ერთი ბუზით მეტი—ნაკლები,—ჩვენთვის სულ ერთიაო. ნიკო პატარა კაცი არ არის; ის—პასუხისმგებელი პიროვნებაა.

აი, ნ. ელიავა სტოვებს პარიზს და საბჭოთა საქართველოში მოდის. რით უნდა ავხსნათ ნიკო ელიავას ასეთი გადამჭრელი, გაბედული ნაბიჯი?

ერთი რამ ცხადია: მან ყოველივე აწონ-დაწონა; საბჭოთა საქართველოში გაჩაღებულ აღმშენებლობითი მუშაობას ჩაუკვირდა; ჟორდანიას „მთავრობის“ ნაბიჯებს ერთხელ კიდევ თვალი გადაავლო, შეაფასა; ევროპის საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულება გაითვალისწინა, მან დაინახა, რომ ევროპას საბჭოთა კავშირი სჭირია, ის უამისოთ თავის ქონში ჩაიხრჩობა, ამისათვის ის იძულებულია მას ანგარიში გაუწიოს; ნ. ელიავამ უთუოთ თავის მსოფლ-მხედველობას რევიზია გაუკეთა და „დემოკრატიზმის“ გზას პროლეტარიატის დიქტატურის გზით სიარული ამჯობინა,—საკითხი სისწორით გადაჭრა.

ჩვენის ცნობით, ნიკო ელიავაში ეს კითხვები მთელი წლის განმავლობაში დუღდა და მხოლოდ ეხლა გადადუღდა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ელიავას ჩამოსვლა მთელ ემიგრაციას საბოლოოდ შეანძრევს და პირს აქეთ აბრუნებიებს; მისი ჩამოსვლა ბევრს რამეს იტყვის და, ყოველ შემთხვევაში, ბევრს ევროპისაკენ ცქერას თავს დაანებებინებს.

ი—შვილი.

ბაგრატ ილურიძის ხსოვნას

საქართველოში ბაგრატ ილურიძე დიდი მასშტაბით არ იყო ცნობილი. მას კარგათ იცნობდა მხოლოდ გორის მაზრა.

მსოფლიო ომმა ბაგრატს კიევის უნივერსიტეტში მოუსწრო; ის იქ საბუნებისმეტყველო ნაწილში სწავლობდა. ის ომში ოფიცრად გაიწვიეს, ოსმალეთის ფრონტზე, აქ კი თებერვლის რევოლიუცია მოეწია. ის მთელი თავისი ენერგიით, მისებურად, თავდავიწყებით ჩაება რევო...

[...]

ამხ. ბაგრატ ილურიძე

...საც პრაღის ქართული ემიგრაცია ორ ჯგუფად იყოფოდა, ორივე ჯგუფი ბაგრატისათვის იბრძოდა, ე. ი. ორივე ჯგუფი მეტის მეტად მოწადინებული იყო ბაგრატი მის რიგებში ყოფილიყო.

და აი, ბაგრატი დინჯათ, უხმაუროთ, სრულის შეგნებით აქეთ გადმოვიდა, საბჭოთა კოლონიის დამაარსებელ და მისი პირველი თავმჯდომარე შეიქნა. ამ გარემოებამ თავზარი დასცა რამიშვილების მიმდევრებს. ბაგრატი საბჭოთა პლატფორმაზე დადგა, მაშ, სიმართლე ამ პლატფორმაში ყოფილაო,—ასეთი დასკვნები გამოჰქონდათ ემიგრანტებს, არა მარტო ქართველებს, არამედ უკრაინელებს, რუსებს. ბაგრატი აუღელვებლად, მოცინარე სახით, სიყვარულით ყველას უხსნიდა, რომ ძველი გზა, რომლითაც ის ვლიდა, იყო შემცდარი, რომ ერთად ერთი სწორი, სასარგებლო გზა არის გზა ბოლშევიკური, კომუნისტური. ეს გარდატეხა მასში მოხდა 1925 წლის აპრილში. ამავე წლის მაისში პრაღაში საბჭოთა კავშირმა წიგნის გამოფენა მოაწყო. ბაგრატი ამ გამოფენაზე მუშაობდა. და უნდა გენახათ, როგორ უხსნიდა ბაგრატი ყველას საბჭ. კავშირში აღმშენებლობითი მუშობის საკითხებს. ამ გამოფენას ჩეხის პროფესორები დიდის ინტერესით შეხედინ და ყველას ბაგრატი აძლევდა ახსნა-განმარტებას (მან ჩეხური კარგათ შეისწავლა). სხვას რომ აეხსნა, ისე არ დაუჯერებდნენ, და აბა ილურიძე ტყუილს როგორ იკადრებდა: მას ყველა იცნობდა ამ მხრივ.

ბაგრატი ყოველთვის დინჯი, აუღელვებელი იყო.

თუ ვინმე გამოეკამათებოდა მას ბოლშევიკების შესახებ და მათ ტერორზე მიუთითებდა, ბაგრატი მაშინვე ოსეთის აწიოკების სურათს დაუსურათებდა მოკამათეს.

ასეთი იყო ბაგრატ ილურიძე და ასეთმა ადამიანმა პრაღაში თავი მოიკლა.

ამ თვითმკვლელობის მიზეზი სავსებით ახასიათებს ბაგრატს.

ბაგრატი პრაღაში ჭლექით დასნეულდა და მისი მორჩენის იმედი აღარ იყო. ჯერ კიდევ შარშან ივნისში ყველანი ვეხვეწებოდით ბაგრატს: „წადი, კაცო, საქართველოში, იქაური ჰაერით განიკურნებიო“. ამაზე მას ყოველთვის ერთი პასუხი ჰქონდა: „მე სრულებითაც არ მინდა საქართველოში პენსიონერად ჩასვლა; მე აქ უნდა ვაჯვანსალდე და შინ სამუშაოდ ჩავიდე და არა საექიმოთო. როდესაც კი ის დარწმუნდა, რომ მისი სენი განუკურნებელი იყო, მან თვითმკვლელობა განიზრახა და სისრულეშიც მოიყვანა თავისი განზრახვა.

...ყვეტილი აქვს თავის მოკვლა, ის ამ ქვეყნად მეტ ბარგად გრძნობს თავის თავს. მე არაფრის გაკეთება არ შემიძლია და ვისთვის რა საჭირო ვარო.

ბაგრატმა თავის სიცოცხლეში ალბათ ერთხელ სთქვა ტყუილი, როდესაც საბჭოთა ხელისუფლების პრაღის წარმომადგენელმა და მისმა პრაღელმა მეგობრებმა ძალა დაატანეს და საქართველოში ისტუმრებდნენ, ბაგრატი ვითომ დაეთანხმა და საღგურზეც კი მივიდა; მატარებელი შუა ღამეს უნდა გამოსულიყო და ბაგრატი ეუბნება მეგობრებს, სოსო და ელო გაბუნიებს: თქვენ დაბრუნდით სოფელში, მე კი სასტუმროში მოვისვენებ ცოტას; თქვენ რომ მოიცადოთ, ამაღამ ვეღარ დაბრუნდებით და აბა თქვენი მოცდა რა საჭიროაო. მეგობრებიც გაბრუნდნენ, ბაგრატი კი ოთხ დღეს პრაღაში იმალებოდა და მეხუთე დღეს თავი მოიკლა.

მე მინდა აქაც ერთ გარემოებას გაუსვა ხაზი. ბაგრატი ღამის პირველ საათზე მიდის პათოლოგიურ ინსტიტუტთან და იქ იკლავს თავს: მას იცოდა, რომ თვითმკვლელი სწორედ იმ ინსტიტუტში უნდა გაეჭრათ და რომ არავინ შეეწუხებია, თვით მივიდა გასაჭრელ ადგილზე.

ასეთი ადამიანი მოაკლდა პრაღის საბჭოთა კოლონიას, საბჭოთა საქართველოს, მის მშობელ დედას და მის მეგობრებ-ამხანაგებს.

იც. კაჩუხაშვილი.

საუბარი გერმანიის დელეგაციასთან

მკითხველებს მოეხსენებათ, რომ ამას წინად ჩვენ მოგვიხდა საუბარი გერმანიიდან ჩამოსულ მუშათა მეორე დელეგაციასთან, ამ საუბარს ჩვენს ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან ჩვენ საშუალება მოგვეცა პირისპირ შევხვედროდით იმ მუშათა კლასის წარმომადგენლებს, რომელთაც სწამლავენ და ათასი ჭორებით უვსებენ ყურებს ევროპის ბურჟუაზია და ჩვენი ემიგრანტები...

...ცნო საბჭოთა ხელისუფლების მოღვაწეობა და ის წარმატებანი, რომელიც ამ უკანასკნელს მიუძღვის მშრომელთა სასარგებლოდ. ამხ. ლავრენტი ამბობს: „ჩვენ რევოლიუციონერები ვიყავით და არ შეგვეძლო რევოლიუციონურ ოჯახში არ მისულიყავითო“. განსაკუთრებით ამ უკანასკნელმა მათზე მოახდინა ალბად დიდი გავლენა.

საზღვარგარეთ ემიგრანტები გაჰკივიან, ...

[...]

...ჩვენ კი უსურვებთ დასავლეთის მუშათა კლასს, რომ ჩვენსავით დაეგმოთ ძველი გზა, ძველი პარტია და ლაქია ლიდერები და ჩვენ მსგავსად დადგომოდენ ახალ გზას, რომელსაც კომპარტია ხელმძღვანელობს, და რომელიც ერთად-ერთი საშუალებაა მუშათა კლასის საბოლოო გამარჯვებისათვის.

ა. გო—ძე.

გურიის სოფლებში

[...]

...როპიული სუნი ტრიალებს. ეზოს მოსდევს ბოსტანი. ბოსტანს ყანა-ვენახი და ასე ერთი ეზო გადაბმულია მეორე ეზოს, ერთი ყანა უერთდება მეორეს. და ასე ოზურგეთიდან ვაკიჯვარის მთის ძირამდე თქვენ ვერ ნახავთ ერთ მტკაველა თავისუფალ მიწას. აქ დიდი სივიწროეა მიწის მხრივ; მე შემხვდა ვაკიჯვარში გლეხი, რომელსაც სულ ნახევარი ქცევა მიწა აქვს და იძულებულია სარჩო სიმინდი იყიდოს. ამავე დროს მე ვნახე ვაკიჯვარ-ბახვში ოჯახები, რომელთაც სამი, ოთხი ქცევა ალაგი მხოლოთ ეზოთ აქვთ და სახნავ-სავენახე, ტყე და ზეგანი კიდევ მეტი.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს. რომ ამ უმიწო, ღარიბ გლეხებს საიდანმე დაუმატონ მიწა, თუნდაც აი მდიდარ და შეძლებულ გლეხების, ან ყოფილ აზნაურების ხარჯზე.

ზოგან სოფელი ღარიბად გამოიყურება და ეს სიღარიბე უკარგავს ელფერს გურიის სოფლების საერთო სიმდიდრე-სილამაზეს. არის კიდევ რამდენიმე გარემოება, რომლებიც გვხდებიან თვალებში:

აი ვაკიჯვარის სკოლა. არ გჯერა რომ ეს სკოლაა. სკამებ-პარტები დამტვრეული. ფანჯრები დამსხვრეული. შუშის ალაგას ფიცრებია მიჭედილი. ზოგან ფიცრებიც აკლია და ქარი თავისუფლად ზუზუნებს. ფიქრობ: აქ ზამთარში ბავშვებმა როგორ უნდა იმეცადინონ. იგონებ: გურიის 800 ათასი მანეთიანი ბიუჯეტიდან ნახევარზე მეტი სკოლებზე იხარჯება. ნუ თუ შუშები ვერ ჩასვეს? თუ ეს დაუდევრობის ბრალია? ასეა, თუ ისე, ფაქტი ფაქტად რჩება. სკოლა ზამთარში ღია რჩება. სწავლის საქმე ფერხდება. გურულებს ეს არ ეპატიება. თუ ბიუჯეტის ფული ამას ვერ სწვდება, კომლზე ერთი აბაზი და შუშები ჩაისმება. ზამთარში ბავშვები გათბება. სწავლა აღარ შეფერხდება.

ცუდ დღეშია გზების საქმეც. მართალია, აქ ხელისუფლება ყოველგვარ ზომებს ღებულობს, მაგრამ სოფლის დაუხმარებლათ არც ეს საქმე გაკეთდება. ჩვენ შემთხვევა გვქონდა დავსწრებოდით კრებას, საცა იჩრებოდა გზების გაკეთების საკითხი. აქაც გლეხები მზათ არიან იმუშაონ, გზები შეაკეთონ, მაგრამ რომ ვერაა სისწორით განაწილებული გლეხებს შორის გასაკეთებელი გზის მანძილი. ღარიბი, უხარო, ხელმოკლე გლეხისთვის მიუზომიათ მეტი, ვინემ შეძლებული გლეხისთვის. ამას აბრალებენ ნათლულ-მირონობას, ნაცნობმეგობრობას.

გამიტაცა, ცოტა არ იყოს სოფლის ავ-კარგმა. მისმა სილამაზე-სიდიადემ და ავსცდი ჩემს პირდაპირ მოვალეობას, ჩემს საუბრების აღწერას.

პირველი საუბარი გავმართეთ და მოხსენება გავაკეთეთ სოფელ ბოხვაურში. ეს სოფელი სულ სამი ვერსითაა ოზურგეთზე მოშორებული. ამიტომ ამ სოფელს კიდევ ქალაქის ელფერი ადევს, თუმცა სკოლა არც აქაა ვაკიჯვარის სკოლაზე კარგს მდგომარეობაში.

კრება გაიმართა სკოლის შენობაში. დარბაზში რომ ვერ დატია ხალხი, გარედ ბალკონზე...

[...]

...კრებას ყველა ამოუდგეს ხელისუფლებას გვერდში და მიიღონ მხურვალე მონაწილეობა სახელმწიფოს სააღმშენებლო მუშაობაში.

მოხსენებამ გამოიწვია უამრავი შეკითხვები. საქმიანი და აზრიანი შეკითხვები. წინანდელ მოწამლულ, ლანძღვა-გინების შეკითხვებს აქ უკვე აღარ ჰქონია ალაგი. ეტყობა სოფელი ილვიძებს. სოფელი იწყებს მტრისა და მოყვრის გარჩევას. სოფელს დაუნახავს საბჭოთა აღმშენებლობის წინსვლა, მნიშვნელობა და უბრუნებია პირი, მოდის ხელისუფლებასთან, ამაგრებს და ეხმარება მას.

თითქმის ყველა ოჯახს მოსდის ერთ-ერთი ქართული გაზეთი. ამით ისინი თვალყურს ადევ...

[...]

მეორე ინტერნაციონალი და მენშევიკური საქართველო

როგორც ვიცით, 1920 წლის ზაფხულში თბილისში გამართულ საქ. სოც. დემოკრატიულ პარტიის ყრილობაზე ცხარე კამათი გამოიწვია პარტიის ინტერნაციონალში შესვლის საკითხმა. ყრილობა გაიყო 3 ჯგუფად. ყველაზე უფრო ძლიერი ჯგუფი—პარტიული მასა, მოითხოვდა ამ საკითხის დროებით მოხსნას დღის წესრიგიდან, ვინაიდან მათი აზრით მეორე ინტერნაციონალი საკმაოდ სახელგატეხილი იყო მსოფლიო ომის საკითხში ოპორტიუნიზმისა და შოვინიზმის გამომჟღავნებით, მასში გაბატონებული იყო არა მარქსისტული პარტიები და 2 ½ კი არ წარმოადგენდა ინტერნაციონალს, არამედ უფრო მე-2 ინტერნაციონალის გადახალისების მომხრე, შედარებით, სუსტ პარტიათაგან შესდგებოდა. რაც შეეხება მე-3 ინტერნა...

...თველოს სოც.-დემ. პარტია გახდა წევრი მე-2 ინტერნაციონალისა და თავის წარმომადგენლად ლონდონში ი. წერეთელი დანიშნა. საქართველოს „დამოუკიდებლობის“ ცნობისათვის, უნდა ითქვას სიმართლე, მე-2 ინტერნაციონალის კაცებმა საკმაო ენერგია და შრომა დახარჯეს. ამ მხრივ საქ. სოც.-დემ. პარტიის ლიდერები არ მოტყუებულან. აბა როგორ შეიძლება დავიწყებულ იქნას ცნობილი ალბერტ ტომა, რომლის წყალობით საქართველოს წარმომადგენლობამ შესძლო ლოიდ-ჯორჯის კარების დაკაკუნება და რომელიც საუკეთესოდ ასრულებდა მაკლერის როლს ლოიდ-ჯორჯსა და საქ. წარმომადგენლების შორის საქ. ბუნებრივ სიმდიდრეთა, რაც შეიძლება დაკლებულ ფასებში გასასაღებლად.

ასეთი ერთგულების შემდეგ, როდე...

...არც ბოლშევიკური რუსეთი, არამედ „ევროპის დემოკრატია“, რომლის სიძლიერე ფაქტიურად ნოლს უდრიდა.

სინამდვილეში, თუ რამდენად დავაღწიეთ თავი ევროპის ბურჟუაზიაზე ორიენტაციის, რამდენად ვიყავით დამოუკიდებელი და ვაწარმოებდით დამოუკიდებელ პოლიტიკას ეს დღეს ყველასათვის ცნობილია.

დამარცხდა მენშევიკური საქართველო. ემიგრაციიდან მოსული დირექტივების თანახმად გაჩაღდა მუშაობა საქართველოშიაც. ამგვარად დასავლეთ ევროპაში შექმნილ ანტიბოლშევიკურ ბანაკსა და საქართველოში მომქმედ ანტიბოლშევიკურ პარტიათა ცენტრის შორის უშუალო კავშირი და სრული კონტაქტი არსებობდა. ამგვარმა მდგომარეობამ არც ისე დიდხანს გასტანა. ამ ხნის განმავლობაში საბჭოთა ხელი...

...მისთვის ანგარიში გაეწიათ და იურიდიულადაც ეცნოთ.

ამგვარად, ოფიციალურმა ევროპამ, რაკი დარწმუნდა ის საბჭოთა ხელისუფლების სიძლიერეში და ამასთანავე გაითვალისწინა საკუთარი ქვეყნის მუშათა კლასის საბჭოთა კავშირისადმი თანაგრძნობა, რადიკალურად შესცვალა თავისი დამოკიდებულება მენშევიკურ ემიგრაციისადმი და თუ მახამდის სიტყვიერი დაპირებებით მაინც იმადლიერებდა, შემდეგ ასეთ დაპირებებშიაც მეტის-მეტ სიძუნწეს იჩენდა.

რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს კაპიტალისტებმა ხელი აიღეს თავიანთ მტრულ დამოკიდებულებაზე საბჭ. კავშირის მიმართ. პირიქით ისინი დარწმუნდნენ, რომ თავიანთ განზრახვების სისრულეში მოსაყვანად ქართული ემიგრაცია არ გამოადგებოდა, ვინაიდან ამ უკანასკნელის წონა დღითი-დღე ეცემოდა, როგორც ევროპის მუშებში, ისე თვით საქართველოშიაც. ამგვარად, ევ...

[...]

ა. ხარ...

რედაქტორი კ. სულაქველიძე

საბჭოთა საქართველო

დ ე პ ე შ ე ბ ი

სასამართლოს სესია

ფოთი, 25 სექტემბერი. ჩამოვიდა დასავლეთ საქართველოს უზენაეს სასამართლოს სესია ფრიად მნიშვნელოვანი საქმეების გასარჩევად.

არაყის დამზადება

ოზურგეთი, 25 სექტემბერი. ლიხაურის სასოფლო-სამეურნეო ნადმა „მოწინავე მეურნეობა“-მ დაიწყო ყურძენ „ადესის“ შეყიდვა არაყის გამოსახდელად.

ახალი საკრედიტო ამხანაგობა

ოზურგეთი, 25 სექტემბერი. ხოფ. დვაბზუში დაიწყო მუშაობა ახლად დაარსებულმა სასოფ-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობამ.

აგური და კრამიტი

ახალსენაკი, 25 სექტემბერი. ახალსენაკის საკრედიტო ამხანაგობასთან დაარსდა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება „კრამ-აგური“ (კრამიტი და აგური). ამხანაგობა ამზადებს აგურს და კრამიტს.

აჭარისტანი

ჩაის კულტურა

ბათომი, 25 სექტემბერი. ზღვის სანაპირო ხაზზე აჭარისტანში არის 24.000 დესიატინაზე მეტი მიწა, სადაც შეიძლება ჩაის მცენარის გაშენება. გასულ წელში ჩაის პლანტაციებს ეჭირა 1.020 დესეტინა. მიმდინარე წლის განმავლობაში სააქციონერო საზოგადოებამ „საქართველოს ჩაიმ“ აღადგინა რამოდენიმე გაჩანაგებული ჩაის პლანტაცია და აგრეთვე გააშენა ახალიც, დაახლოებით 300 დესიატინა მიწაზე. ჩაქვის რაიონის გლეხობამ, რომელმაც მიიღო საკრედიტო-კოოპერატიულ ამხანაგობებიდან სესხი, გააფართოვა თავის ჩაის პლანტაციები თითქმის 100 დესეტინამდე. ამნაირად ამ წლის განმავლობაში ჩაის პლანტაციები გაშენებული იქნა 1.500 დესიატინა მიწაზე.

საქონლის ჯიშის გაუმჯობესება

ბათომი, 25 სექტემბერი. ადგილობრივი საქონლის ჯიშის გაუმჯობესების მიზნით, აჭარისტანის მიწად-მოქმედების კომისარიატი ხსნის მაზრაში 5 ახალ დასავარგებელ პუნქტებს. ...

ჩვენი აბ-კარგი

(თერჯოლა, შორაპ. მ.)

თერჯოლის თემი შესდგება ექვსი სოფლისაგან, რომლის მოსახლეობა შეადგენს 2.400 კომლს. მცხოვრებთა უმრავლესობა მშრომელი გლეხობაა. აქა-იქ მოიძებნებიან კიდევ კუდაბზიკა თავადობა, რომელნიც ვერ შერიგებიან გლეხების განთავისუფლებას და მათთან გათანასწორებას. ხშირად, ვითომდა ხუმრობით, ერთი-მეორეს „კეთილშობილებს“ ეძახიან. რა „კეთილშობილებას“ ჩადიოდენ და ჩადიან კარგად იცის გლეხობამ.

კულტურულ მუშაობას თემში ნაკლები ყურადღება აქვს მიქცეული. ვცაქს სამი სამკითხველო, ერთი მხოლოდ სამკითხველოს სახელს ატარებს (ღვანკითის). საქმე ისაა, რომ სამკითხველო კომკავშირის სახელს ატარებს. ღვანკითის სამკითხველოს არავითარი ყურადღება არა აქვს მიქცეული. ხშირად გააქვთ იქიდან გაზეთები და სხვა. ასეთი სამკითხველო, სულ რომ არ იყოს, ის აჯობებს.

არა უშავთ რა თერჯოლის და სიქთარვის სამკითხველოებს, მაგრამ მკითხველები აქაც გაურბის მათ. თერჯოლის სამკითხველოს სახელით გამოდის კედლის გაზეთი „თერჯოლის ...

მუშათა ცხოვრება

შუაღამე საყუდში

(ერთი სურათი რკინისგზის მემანქანეთა ცხოვრებიდან)

როგორც ყოველთვის, ღამის შუაგულშიც საყუდს არ სძინავს იგი მუდამ ფხიზელია. მორიგე ჩვეულებრივად იძლევა განკარგულებებს. იგი სასტიკია, მოითხოვს ყველასაგან მოვალეობის დროზე შესრულებას. ყველაზე ულმობელი და სასტიკია თვით ორთქლმავალი.

მემანქანეთა გუნდი ყველაფერში ემორჩილება მორიგეს.

ყოველ 18 საათზე გამოფენილია დაფაზე განრიგება, რომლის წინ რიგ-რიგობით სდგანან მემანქანეები. აქ ყველა ეცნობა შრომის განაწილებას.

ასეთივე შრომა დღეს წილად ერგო მემანქანე ალექსანდრეს და მის თანაშემწეს ვასოს.

22 საათზე ვასო გამოცხადდა საყუდის მორიგესთან, შემდეგ გაეშურა იმ მხარეს, სადაც გამზადებულია ორთქლმავალი. ვასო მარდად ასკუპდა მასზე, ყველა საკეტები გახსნა და აანთო პატარა სანათურები.

— წყალი საკმარისია! ორთქლს აწევა სჭირდება!—სთქვა ვასომ. „საცეცხლურს“ გაუღო ...

ჩვენ სტამბაში

23 სექტემბერს შესდგა ცეკას სტამბის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. კრებას ხსნის ადგილკომის თავმჯდომარე ამხ. ელიავა. კრებას თავმჯდომარეობს იგივე, მდივნობდა ამხ. გურგენიშვილი. დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: 1) წერაკუმსის საზოგადოების მნიშვნელობის შესახებ, 2) თბილისის საბჭოს საქმიანობის შესახებ მოხსენება და 3) საურთიერთო დამხმარე სალაროს წესდების დამტკიცება.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. გორდეზიანმა. იგი შეეხო ყველა მომენტებს სწავლა - განათლების დარგში საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. მან აღნიშნა თუ რა მიზანი აქვს დასახული საბჭოთა ხელისუფლებას დღეს სწავლა-განათლების განვითარებისა და წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობის საკითხებში. მან აღნიშნა, რომ მეფის დროს იყო 96 პროცენტი უსწავლელი. ამისათვის ჩვენი პარტიის უდიდესმა ბელადმა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ წამოაყენა ლოზუნგი, რომ ოქტომბრის რევოლუციის 10 წლის თავზე არ უნდა გვყავდეს წერა-კითხვის არც ერთი უცოდინარი.

ჩვენი პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ...

პროფკავშირებში

რკ. გზ. პროფკავშირის კულტთათბირის შედეგები

ამ დღეებში დაამთავრა მუშაობა ა.-კ. რკ. გზ. პროფკავშირთან მოწვეულმა კულტთათბირმა.

თათბირის შედეგების შესახებ ა.-კ. რკ. გზ. პროფკავშირის კულტგანყოფილების გამგემ ამხ. აბდუშელიშვილმა შემდეგი გვაცნობა:

თათბირზე კარდინალურ საკითხებად წამოყენებული იყო: მოხსენებები ადგილებიდან, საზაფხულო კულტმუშაობის შედეგების შესახებ, ადგილკომებთან არსებული კულტკომისიების დებულების გამომუშავება, წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირე-მცოდნეობის ლიკვიდაციის მომავალ ამოცანების შესახებ და ამ მიზნისათვის ფონდების განაწილება ცალკა საუბნო კომიტეტებზე და სხვა.

პირველი საკითხი თათბირმა განიხილა იმისათვის, რომ აქამდე კულტკომისიები ადგილკომებთან არ არსებობდენ. რკინისგზელთა მე-6 ყრილობის დადგენილების თანახმად კი ასეთები უნდა დაარსებულ იყვნენ. სწორედ ამიტომ თათბირმა დაადგინა ამ დადგენილების განხორციელება და გამოიმუშავა სათანადო დებულება.

თათბირმა მიაქცია ყურადღება აგრეთვე პატარა სადგურებზე საკლუბო მუშაობის წარ- ...

რადიო-ფოსტა-ტელეგრაფი-ტელეფონი

ამ რამოდენიმე დღის წინად მოსკოვიდან თბილისში დაბრუნდა ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატის რწმუნებულის მოადგილე ამხ. კამარაული, რომელმაც აცნობა ჩვენს თანამშრომელს, თუ რა მუშაობა სწარმოებს და რა არის განზრახული ფოსტა-ტელეგრაფის, ტელეფონის და რადიოს დარგში.

— ყველაზე მეტი პერსპექტივები აქვს რადიოს—განაცხადა ამხ. კამარაულმა. თბილისის რადიო-კვანძი, რომელის მოწყობა უკვე თავდება, ერევნის და ბაქოს რადიო-სადგურების აშენება—საგრძნობლათ წასწევს რადიო საქმეს ამიერ-კავკასიაში. როგორც თბილისის, ისე ერევნის და ბაქოს სადგურების სიმძლავრე (20 კილოვატი) სრულ შესაძლებლობას იძლევა მივიღოთ რადიო-გადმოცემები არა მარტო მოსკოვიდან, არამედ საზღვარგარეთიდანაც—3.000 კილომეტრის მანძილიდან ირგვლივ. მთავარი მუშაობა ამ სადგურების ასა- ...

ახალ კომუტატორებს ... მართულებით სწარმოებს ... ბა. თბილისში უკვე ... ახალი კომუტატორი, 900 თვალით.

ჩვენ განუწყვეტლივ ვაწარმოებდით მოლაპარაკებას ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატთან გორში და თბილისში ავტომატიურ ტელეფონების დადგმის შესახებ. კომისარიატმაც სცნო ავტომატიურ ტელეფონების ფართოთ შემოღების საჭიროება და ამ დღეებში მოსკოვიდან ჩამოვიდა ინჟინერებისაგან შემდგარი კომისია, რომელიც გამოირკვევს ამ საკითხს ადგილობრივ და შეიმუშავებს სათანადო პროექტს.

ჩვენის აზრით ავტომატიური სადგური უნდა აშენდეს 3 წლის განმავლობაში. ამ სადგურის აგებამდე კი, სატელეფონო კავშირის გასაადვილებლად, მოეწყობა რამდენიმე სარაიონო ქვე-სადგურები.

რაც შეეხება პროვინციას, უნდა აღინიშნოს, რომ ტელეფონის ქსელის გა- ...

განათლება

სამუშაოებზე

...

ბავს და გლეხობაც აღტაცებულია. ეხლა უკვე შეუდგნენ შიდ-წყლედის მოწყობის თავდარიგს.

ძალიან ძნელ პირობებში იყო მაცხოვრებლები, სნოსა, ხიდისა, კარკუჩა, სნო და ახალციხე. მცხოვრებლებს უნდა გაევლოთ რამდენჯერმე სნოს წყალი თავისი ტოტებით და ისე ტანჯვით გამოსულიყვნენ სამხედრო გზაზედ. ასეთ მდგომარეობას მიაქცია ყურადღება ადგილობრივ აღმასკომმა და პარტკომმა, მათ გამოიჩინეს დიდი ენერგია ამ საქმეში მოიტანეს ...

... ფილებს სავსებით ხევის მოთხოვნილებას. ხეველებმა უნდა მოაწყონ მომხმარ. კოოპერაცია, რომელიც ითავებს მომხმარებელ კოოპერაციის საქმის შესრულებას და ამით მისცემს საშუალებას ამხ. „თერგის ხევს“ მონახოს თავისი სწორი დანიშნულება. „თერგის-ხევმა“ მიიღო საკრედიტო ფუნქციები და ეხლა ისიც დაიტვირთება ზედმეტი მუშაობით.

ვალიკო მეცხვარე.

— თელავის აღმასკომმა დაადგინა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს თელავის კეთილმოწყობის საქმეს.

— წყალსადენი. სოფ. ქვემო-ჭალაში წყალსადენის გამოყვანა სავსებით დამთავრდება ამ დღეებში.

— ფოთის აღმასკომი შეუდგა ქალაქის რაიონში წყალსაწრეტი არხების გაყვანა-აღდგენას.

— ლენინის ძეგლი. ფოთის აღმასკომი ქალაქის შუა ადგილას აგებს ლენინის ძეგლს.

... ივანე როგავას თავგასულობა, რომელიც უშვერი სიტყვებით, ლანძღვა-გინებით და დაცინვით დასდევდა ბაღში მოსეირნე მშრომელ ხალხს და მოსვენებას არ აძლევდა. ძალიან შემთხვევები პლეხანოვის კლუბში პირველი არ არის, რაც ყოვლად დაუშვებელია.

საჭიროა კლუბის გამგეობამ ამ ავარების წინააღმდეგ სასტიკი ზომები მიიღოს. ამით კი მიეცემა მუშებს ბაღში დასვენების საშუალება.

მუშკორი რადიუმი.

— მანქანების შეკეთება. ამავე ქარხკომის სხდომამ დაადგინა შეკეთებული იქნეს ქარხანაში ყველა დაზიანებული მანქანები.

— ინგლისის გაფიცულ მუშებს ეხმარებიან. საქართველოს პროფსაბჭოს თანამშრომლებმა თავის საერთო კრებაზე (ა.-წ. 22 სექტემბ.) გამოიტანა დადგენილება, რათა ყოველთვიურად მათი ხელფასიდან ინგლისის გაფიცულ მუშების სასარგებლოდ გადადებულ იქნას ერთი პროცენტი.

... ბრიდან. წარმოდგენები გარდა სახალხო სახლისა გაიმართება მუშათა კლუბებშიაც.

— პროფპროპაგანდა. კონფერენცია პროფპროპაგანდის საკითხების დასამყარებლად დანიშნულია ა. წ. 21 სექტემბერს.

— შუამდგომლობის აღძვრა. სად. გორის ადგილკომა შუამდგომლობა აღძრა საუბნო პროფკავშირთან, რათა ადგილობრივ ერთ-ერთ საგუშაგოში დადგმულ იქნეს კედლის საათი და ტელეფონი.

... თონტრესტს, პოლიგრაფტრესტს, სამთო-ქიმიურ კომბინატს, სახ. სათბობს, ხე-ტყის ტრესტს და სახსპირტს.

სულ ჯერ-ჯერობით განაღდებულია 11.987 მანეთის ქონება, ხოლო დანარჩენთა განაღდება სწარმოებს საჯარო ვაჭრობების გამართვით და კერძო გაყიდვით.

წყალსადენის სამართველომ ამ ერთი კვირის წინეთ დაიწყო ვაკეში წყალსადენის ახალი მაგისტრალის გაყვანა.

მაგისტრალის გაყვანა უკვე დასრულდა და ამ დღეებში მოხდება მისი ჩაბარება წყალსადენის სამმართველოს მიერ.

ახალი წყალსადენის სიგრძე უდრის ნახევარ ვერსს.

მეცნიერება და ტეხნიკა

კვების მეცნიერული საფუძვლები

კვების ძირითადი ფაქტორები

როგორ იკვებოს და რითი—ეს ადამიანისათვის, ყოველთვის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა. მართალია, უნდა ვაღიაროთ, რომ მეცნიერება ჯერ კიდევ შორს არის ჭეშმარიტების სრულ დაუფლებისაგან და მრავალ კითხვებზე, რომლებიც კვების პრობლემას შეეხებიან, ... ვერც ერთი მცოდნე ვერ მოგვცემს სრულ ... მაგრამ ზოგი რამ უკვე გამორკვეულია ... უნდა ითქვას, რომ ბევრი დღემდე გამოურ... საკითხები გადაჭრილი იქნა სწორეთ ... წლების განმავლობაში.

... ახლა, თუ რა მოთხოვნილებებს ... აკმაყოფილებდეს საჭმელი, რომ თავისი დანიშნულება შესრულოს.

უკვე დიდი ხანია, ჯერ კიდევ ასი წლის წი- ...

... გრამზე მეტ პურს ან 400 გრამ შაქარს, თუ 305 გრამ ცხიმს ან სხვა რამეს. ვინაიდან როგორც პირველ, ისე მეორე და მესამე შემთხვევაში ჩვენ მივიღებთ საჭირო 2.400 კალორის.

სინამდვილეში კი ასე როდია. საქმე იმაშია, რომ საჭმელი, გარდა ენერგიის მიწოდებისა, უნდა იძლეოდეს სხვა რამესაც. ეს სხვა, როგორც გამორკვეული იქნა წარსულ საუკუნეში, არის ჩვენი სხეულის აღდგენის საჭიროება, ვინაიდან ჩვენი სხეულის 2/3 იწვის დღე-ღამის განმავლობაში, და აი, ამ დამწვარი რაოდენობის აღდგენას ხმარდება უმთავრესად ცილოვანი ნივთიერებანი და მცირე რაოდენობით—ცხიმები და წყლონახშირმანები. ამით არის გამოწვეული, რომ საჭმელი წყლონახშირმანებთან და ცხიმებ- ...

... ბასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ავადმყოფობათა შესწავლის დროს.

ერთი ასეთი ავადმყოფობა დიდი ხანია, რაც ცნობილია. ეს არის — სურავანდი (цынга). დიდი ხანია დაკვებული იყვნენ, რომ ეს ავადმყოფობა ჩნდება მაშინ, როცა საჭმელს რაღაც აკლია, მაგრამ რა?—ეს კი არ იცოდნენ. სურავანდი ჩნდება, თუ საჭმელში დიდი ხნის განმავლობაში არ არის ახალი მწვანილეულობა, ახალი რძე ან ახალი ხორცი.

მაშ რა მოიპოვება ისეთი ახალ პროდუქტებში, ახალ მწვანილეულობაში, რძეში ან ახალ ხორცში, რაც არ არის მშრალ საჭმელში, თუგინდ უკანასკნელი სავსებით დამაკმაყოფილებელი იყო ენერგიის, ცილების და მარილების რაოდენობის მხრივ? სწორეთ ეს ამჟამად გამორკვეულია. აღმოჩნდა, რომ არსებობენ განსაკუთრებული, მეტად რთული ქიმიური შემადგენლობის ნივთიერებანი, რომლებიც საჭმელში მეტად მცირე რაოდენობით მოიპოვება. ისინი არ წარმოადგენენ არც ენერგიის წყაროს, არც ...

... ნელობაც არ არის ისეთი, როგორც ცხიმების, ე. ი. ისინი არ ასრულებენ ენერგიის მიმწოდებელის როლს. მათი დანიშნულება სულ სხვა არის. ისინი რაღაც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ტანის ქსოვილების შექმნის დროს, მაგრამ როგორს — ეს ჯერ კიდევ გამორკვეული არ არის.

ლიპოიდები ყოველგვარ საჭმელში არ არის. ისინი დიდის რაოდენობით მოიპოვებიან რძეში, კარაქში, თევზის ქონში. დუღებისა და წვის დროს ისინი კარგავენ თავის სასარგებლო თვისებებს. ამიტომ ადუღებულ რძეს ან გამდნარ ერბოს უკვე დაკარგული აქვს ნაწილი თავის სასარგებლო თვისებებისა.

დაბოლოს, უნდა მოვიხსენიოთ საჭმელის კიდევ ერთი აუცილებელი თვისება, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს—ეს არის გემოს ნივთიერებანი. უგემური საჭმელი უსარგებლოა. გემო და სუნი დამოკიდებულია განსაკუთრებულ სურნელოვან ნივთიერებათაგან, რომლებიც მოიპოვებიან პურშიც, ხორცში, ...

... სპეციალური მოძრავი ფილაქნები და კიბეები. მთავარ ქუჩებზე მოწყობილი იქნება მთელი რიგი უსასრულო, მოძრავი ფილაქნები. ეს ქვაფენილები შედგენილი იქნება რამდენიმე, საათში 3-დან 30-დი მილის სისწრაფით მოძრავ ზოლიდან; ამრიგად, მგზავრებს საშუალება ...



სურ. 1.

... არ იქნებიან ღრმათ ჩამჯდარი, არამედ ისრიალებენ მის ზედაპირზე და მომავალში მოეწყობა საოკეანო საჰაეროპლანო ხაზები.

თანამედროვე ავტობუსი ადგილს დაუთმობს ლითონის სატრანსპორტო საშუალებას, რომელიც მგზავრების მეტ რიცხვს დაიტევს და შესძლებს მოძრაობას არა მარტო ხმელეთზე, არამედ წყალშიც და ფრენას ჰაერში, რის წყალობით, ისეთი ქვეყნის შემოვლა, როგორიც ინგლისია, შესაძლებელი იქნება 12 საა- ...

სურ. 2.

სურ. 3.

საქალაქო მშენებლობა და ტრანსპორტი მომავალში

ახალი საჰაერო გზების პროექტები

საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლის განვითარებამ დღის წესრიგში დააყენა ატლანტის ოკეანეთი (ევროპიდან ამერიკაში და უკან) რეგულიარული საჰაერო მიმოსვლის მოწყობის საკითხი. მთელ რიგ დამაკმაყოფილებელ საცდელ გაფრენათა მოწყობის შემდეგ ინგლისი და შეერთებული შტატები შეუდგენ საოკეანო ჰაეროგზების მოწყობის პროექტების შემუშავებას როგორც ტეხნიკური, ისე კომერციული თვალსაზრისით. უკვე შენდება საამისო უზარმაზარი საჰაერო ხომალდები—დირიჟაბლები. ეჭვს გარეშეა, რომ ამჟამად რეგულიარული საჰაერო მიმოსვლა ევროპიდან ამერიკაში შესაძლებელია მხოლოდ ცეპელინების ტიპის დიდი ზომის მაგარი დირიჟაბლებით. თანამედროვე სამგზავრო ჰაეროპლანებს მიწაზე დაუშვებლად ფრენა ...

... დენ. მხოლოდ ერთხელ, 1919 წელს, ასეთი ცდა ბრწყინვალე გამარჯვებით დაგვირგვინდა. ცნობილმა ინგლისელმა მფრინავმა კაპ. ალკოკმა მოახდინა შესანიშნავი, სარეკორდო გადაფრენა ატლანტის ოკეანეთი. მან აირჩია უმოკლესი გზა ნიუ-ფაუნდლენდიდან (ამერიკა) ირლანდიაში (3.150 კილომეტრი), ამ გზაზე ერთი კუნძული არ მოიპოვება. ოკეანეზე გადასაფრენად მას დასჭირდა 15 საათი და 57 წუთი. 14 ივნისს საღამოს 4 საათსა და 28 წუთზე ის გამოფრინდა ამერიკიდან და დილის 8 საათსა და 25 წუთზე უკვე ევროპაში იყო. ასეთი სორეკორდო გადაფრენა აღარ განმეორებულა *).

მაგრამ, რაც მოსახერხებელია ერთხელ და ...

ვაჭრობა ოსმალეთთან

შაქრის ტრესტის ცნობით, მიმდინარე ზაფხულში სავაჭრო ურთიერთობა ოსმალეთთან ძლიერ დამაკმაყოფილებელი იყო. მიუხედავათ ოსმალეთის ბაზარზე შექმნილი კონკურენციისა, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდენ ჩეხო-სლოვაკია და პოლანდია, საბჭოთა კავშირმა მაინც შესძლო დაედო ხელშეკრულება ოსმალეთის მთავრობასთან შაქრის მონოპოლიის საკითხში. ამას გარდა, საბჭოთა კავშირმა ხელშეკრულება დასდო ოსმალეთის მთავრობასთან ოსმალეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ოლქებისათვის 5 მილ. კილო შაქრის მისაწოდებლად. აღნიშნული რაოდენობა სავსებით აკმაყოფილებს ზემოხსენებულ ოლქების მოთხოვნილებებს შაქარზე.

შაქრის ტრესტმა დაკვეთილი შაქარი უკვე ჩააბარა ოსმალეთს 5 სექტემბერს.

ჩვენი შაქარი იმდენად კარგი ხარისხის გამოდგა, რომ მყიდველის მიერ სრულებით არ ყოფილა დაწუნებული. შაქარი ჩაიზიდა ყარსში საბჭოთა ვაგონებით.

ჩვენი შაქრის ჩაზიდვამდე ადგილობრივ ერთი ოკა (3 გირვანქა) შაქარი 100 პიასტრი ღირდა.

ჩვენი შაქრის ჩაზიდვის შემდეგ, შაქრის ფასი დავარდა 75 პიასტრამდე, მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენი შაქარი ბევრად აღემატება თავის ღირსებით ჰოლანდიურ და ჩეხო-სლოვაკურ შაქარს.

საბინაო მშენებლობის ბიუჯეტი

შრომის კომისარიატთან არსებულმა საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტმა თავის მორიგ სხდომაზე, რომელსაც დაესწრენ სხვადასხვა დაინტერესებულ ორგანიზაციათა წარმომადგენელნი, მიიღო სარესპუბლიკო საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტის ბიუჯეტი.

ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს შეადგენს: 1) საბინაო მიზნობრივი გადასახადი—284.000 მანეთი, 2) აღმასკომების სავაჭრო შენობებიდან შემოსული 5 პროცენტიანი ანარიცხები—264.200 მანეთი, 3) სახელმწიფო საწარმოო მოგებისაგან შემოსული მუშათა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებელი ფონდიდან ანარიცხი—105.218 მან., 4) სახელმწ. სავაჭრო და სააქციო საზოგადოებათა მოგების ანარიცხი (8 პროც.)—100.000 მანეთი; სულ—753.418 მანეთი.

აქედან გასავალი განაწილებულია: 1) ადგილობრივ საბჭოების ფონდებში მუშათა საბინაო საამშენებლო კოოპ. მშენებლობაზე სესხის მისაცემათ—548.200 მან. 2) წარმოებათა საამშენებლო ფონდებში—105.218 მ. 3) სარესპ. მუშათა საბინაო მშენებლობისათვის — 100.000 მან.

საქ. კომისართა საბჭოში

ქართული კულტურის სახლი

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ წინადადება მისცა განათლების სახალხო კომისარიატს, რომ 1 ოქტომბრისათვის დახუროს ქართული კულტურის სახლი მოსკოვში.

ხელფასის მომწესრიგებელი კომისია

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ დაარსა სამუშაო ხელფასის მომწესრიგებელი კომისია, რომელშიაც შედიან: შრომის სახალხო კომისარიატის, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, მუშათა და გლეხთა ინსპექციის, სახელმწ. საგეგმო კომისიისა და პროფსაბჭოს წარმომადგენელნი.

უწყებათა ხარჯთ-აღრიცხვა

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა საქართველოს გაერთიანებულ უწყებათა ხარჯთ-აღრიცხვა 1926—27 წლისათვის.

გაერთიანებულ სახალხო კომისარიატების ხარჯები განსაზღვრულია 2.230.130 მან., სახელდობრ: ფინანსთა სახალხო კომისარიატი—1.749.393 მან., შრომის სახალხო კომისარიატი—42.599 მან., მუშათა და გლეხთა ინსპექცია—139.764 მან. და ცენტრ. სტატისტიკური სამმართველო—127.713 მან.

ს.მ. უ. ს. ხარჯთ-აღრიცხვა

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ხარჯთ-აღრიცხვა მომავალ საბიუჯეტო წლისათვის დამტკიცებულია 247.096 მან. რაოდენობით.

უმუშევართა აღრიცხვა

შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიის დადგენილებით, თბილისის შრომის ბირჟა 1 ოქტომბრიდან შეუდგება ბირჟის ყველა სექციებში აღრიცხულ უმუშევართა ხელახალ აღრიცხვას.

აღრიცხვა შეეხება ყველა პროფესიის უმუშევრებს, პროფკავშირის წევრებს და არა წევრებს. აღრიცხვას არავითარი კავშირი არა აქვს წესდასთან.

აღრიცხვა მოხდება პროფესიების მიხედვით; თვითეულ პროფესიისათვის ცალკე დღეები იქნება დანიშნული. უმუშევრები ცხადდებიან შესაფერი საბუთებით. აღრიცხვა გასტანს ერთი თვე. მისი მიზანია გამოარკვიოს უმუშევართა ნამდვილი რაოდენობა და შემადგენლობა.

პროვინციებში აღრიცხვა დაიწყება თბილისის შემდეგ.

ბრინჯი.

აჭარისტანში წელს პირველად დაითესა ბრინჯი. ბრინჯი დათესა აჭარისტანის მიწათმოქ. სახ. კომისარიატმა; კომისარიატის მიზანია გამოარკვიოს, რამდენად მიზანშეწონილი იქნება აჭარისტანში ბრინჯის მეურნეობა.

საცდელ მიწებზე დათესილმა ბრინჯმა საუკეთესო შედეგი გამოიღო, ასე რომ საბოლოოდ გამოირკვა აჭარისტანში ბრინჯის მეურნეობის შესაძლებლობა.

მიწათმოქ. კომისარიატს გადაწყვეტილი აქვს მომავალ წლიდანვე შეუდგეს ბრინჯის ფართო მეურნეობას; საამისოდ განზრახულია გამოყენებული იქნას ქობულეთის ჭაობები. ბრინჯი, როგორც ვიცით ხარობს მხოლოდ ჭაობიან ადგილებში და ქობულეთის მიდამოები საუკეთესო ნიადაგია ბრინჯის მეურნეობისათვის.

ამინდი

ამ დღეებში თბილისში შემჩნეული იყო ამინდების უეცარი ცვლილებები. ასეთ ცვლილებას, საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობით, ჩვენში, საზოგადოთ, ჰქონდა ადგილი. 20 სექტემბრიდან თბილი დარები უეცრად შეიცვალა ცივი ტაროსით. დასავლეთ საქართველოში 20-დან 24 სექტემბრამდე მუდმივ წვიმებს და, ალაგ-ალაგ, ძლიერ ქარიშხალსაც ჰქონდა ადგილი. ამავე დროს სამხრეთ საქართველოში (აბასთუმანში) განუწყვეტელი კოკისპირული წვიმები მოდიოდა, განსაკუთრებით 23 სექტემბერს ღამით. დასავლეთ საქართველოს ყველა ნაწილებში ამ დღეების განმავლობაში ჰქროდა ძლიერი ქარი. განსაკუთრებით ძლიერი ქარი ჰქროდა აღმოსავლეთ საქართველოში, სახელდობრ, გორისა და თბილისის მაზრებში. 23 სექტემბერს მთელი ღამის განმავლობაში.

ასეთი ცივი ამინდების შემდეგ 25 სექტემბრიდან ისევ თბილ ტაროსს აქვს ადგილი თითქმის მთელ საქართველოში.

ამინდების ასეთი ცვლილებების მიზეზათ, საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობით, უნდა ჩაითვალოს შავი ზღვიდან დაძრული მსუბუქი დაწოლის ციკლონით, რომელიც მიიმართებოდა აღმოსავლეთით. ამის გამო ტემპერატურა საგრძნობლად დაიწია, წამოვიდა წვიმები და ამოვარდა ქარები.

აღმოსავლეთ საქართველოს ციკლონის მოძრაობა შედარებით შენელდა. ისეთ წვიმებს, როგორც დასავლეთ საქართველოში, აქ არ ჰქონია ადგილი.

სამაგიეროთ, ძლიერი ციკლონი გადაიარა ჩრდილოეთ-კავკასიაზე. ამჟამად ქ. პეტროვსკში ძლიერ ქარებს აქვს ადგილი. ბაქოშიაც ასეთი მოვლენაა. კასპიის ზღვა ძლიერ ღელავს ციკლონის საშიშროებამ საქართველოზე უკვე გადაიარა და ახლო ხანში ამინდების არავითარი ცვლილებები არ არის მოსალოდნელი. შავ ზღვაზე ნორმალური ღელვაა.

რკინისგზებზე

ღერძის გატეხის გამო

კიშლი-ბალაჯარის შუა გუშინ საბარგო მატარებლის ერთ-ერთ ვაგონს გაუტყდა ღერძის თავი, რის გამო მატარებელი გაჩერდა.

კიშლი-ბალაჯარის შუა, ჩრდილოეთის მხარეს მდებარე ლიანდაგი, ამ შემთხვევის გამო

წყალის მიწოდება შესწყდა

გუშინ სადგურ ნავთლუღში წყლის მიწოდება შესწყდა. ამის გამო ჩაქრა სამიმოსვლებო ორთქლმავალი, რომელიც წყლის ჩასასხმელად ჩაიტანეს სოღანლუღში.

წყლის მიწოდების შეწყვეტამ ძლიერ შეაფერხა სადგურ ნავთლუღის მუშაობა.

ამ მოვლენის გამო გზათა უფროსმა ამხ. ბერიძემ განკარგულება გასცა, რათა მომავალში ასეთი მოვლენები აღარ განმეორდეს და წყლის მიწოდება არ შესწყდეს ხოლო ნავთლუღის შემთხვევაში დამნაშავე პირი პასუხისგებაში იქნას მიცემული.

მგზავრების გადაყვანა

1925—26 წლის განმავლობაში ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე გადაყვანილ იქნა 16.800.000 მგზავრი.

გაფლანგვები რკინისგზებზე

უკანასკნელ 7 თვის განმავლობაში ა.-კ. რკინის-გზებზე სხვადასხვა თანამდებობის პირების მიერ გაფლანგულია—29.027 მან. 16 კაპ.

ვინ არის გამფლანგველები:

სად. ერევნის ექსპედიტორი—ელბაქიანმა გაფლანგა—1.672 მან.; სად. კარაკლისის ამწონმა წერეთელმა—74 მ. 28 კაპ.; სადგურ ქარელის მოლარეებმა აბაშიძემ და ბეგიაშვილმა—778 მ. 99 კ.; სად. კარაკლისის მოლარემ ოგანოვმა—496 მ. 63 კ.; სად. ზაზალის უფროსის თანაშემწემ ალიევმა—130 მან.; სად. ევლახის მოლარეებმა დოლოტოვმა და იბრაგიმოვმა—1.231 მ. 18 კ.; სად. აგდაშის რევიზორმა გაგლოევმა—98 მ. 36 კ.; სად. აქსტაფის მოლარეებმა ალიევმა და ველიბეკოვმა—47 მ. 04 კაპ.

უველაზე მეტი თანხა გაფლანგა თბილისის ქალაქის სადგურის მოლარემ გოგუამ, სახელდობრ—23. 864 მან.

ქრონიკა

ჩაის ფაბრიკა

დადგენილ იქნა, რომ მიწადმოქმედების სახკომის ჩაის ფაბრიკა (ოზურგეთში) მიწის ნაკვეთებითა და საცდელი პლანტაციებით 7 წლით გადაეცეს სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაის“

აჭარისტანის სახკომსაბჭოს შუამდგომლობა

აჭარისტანის სახ. კომ. საბჭომ შუამდგომლობა აღძრა ამიერ-კავკასიის სახ. კომ. საბჭოს წინაშე, რომ აჭარისტანის რესპუბლიკას 1926—27 წლის დასასრულამდე არ ჩამოერთვას ადგილობრივი გადასახადი სავაჭრო-სამრეწველო შენობებზე ქალ. ბათომში, ვინაიდან მარცვლეულ და ნავთის ტვირთზე ადგილობრივი საფუთო გადასახადის გაუქმებით, აჭარისტანის რესპუბლიკამ დაჰკარგა ერთი უმთავრესი შემოსავალი.

მოქალაქეთა საყურადღებოდ

ქალაქ თბილისისა და მისი მიდამოების კომენდანტი ამით აცხადებს, რომ 27, 28 და 29 სექტემბერს მლაშე ტბის (ავლაბრისა და კუკიის) რაიონში, ქალაქიდან აღმოსავლეთით, — იწარმოებს საარტილერიო სროლა.

ექსპედიციის დაბრუნება

გუშინ წინ თბილისში დაბრუნდა საქართველოს ექიმთა საზოგადოების ექსპედიცია, რომელმაც იმოგზაურა სვანეთ-აფხაზეთსა და სამურზაყანოში.

თბილისის აღმასკომში

— ახალი გზები. ახალი გზატკეცილის გასაყვანათ ვაზიანსა, სართიჭალასა, პატარძეულსა და კაკაბეთს შორის, გადადებული იქნა 40,000 მან.

— ხაშმის ხილეულობის მცენარეთა სანერგეს გასაფართოებლად გადაიდო 8.000 მან.

— ტყის კულტურის მუშაკთა მოსამზადებლად 27 სექტ. კოჯორში იხსნება სპეციალური კურსები.

— საბჭოთა სახლებიდან საიჯარო გადასახადის სახით გასულ თვეში შემოვიდა 63,892 მან.

— საგზაო მშენებლობაზე მაზრაში, 26-27 წელში დაიხარჯება 180,000 მან.

დამზღვევ სალაროში

— თბილისის დამზღვევ სალარომ აღძრა შუამდგომლობა შრ. სახ. კომ. წინაშე, რათა ბინის სივიწროვის გამო, შრომის ბირჟა გადაყვანილი იქნას სხვა ადგილას.

— ბორჯომის წარმოებებში დროებით მომუშავეთა დაზღვევას შეუდგა ბორჯომის სამპროფბიურო.

ჯანმრთელობის კომისარიატში

— რენტგენის კაბინეტი. ფიზიოთერაპევტიულ ინსტიტუტთან ეწყობა რენტგენის კაბინეტი, რომელშიაც მოთავსდება ორი აპარატი, ერთი საქიმო, მეორე სურათების გადასაღები.

— ტუბერკულიოზის სამდღიური. ჯანმრთელობის კომისარიატი ოქტომბრის შუა რიცხვებში აწყობს ტუბერკულიოზის სამდღიურს.

— ჯანმრთელობის დასაცავად. სენაკის აღმასკომმა გადასდო 15.000 მან.

—საავადმყოფო. სალხინოს თემში შეუდგენ საავადმყოფოს აგებას.

— თელავში დაარსდა ძუძუმწოვარ ბავშვთა საექიმო რჩევა-დახმარების ბიურო.

— შეკეთება. ამ დღეებში შეუდგებიან ფოთის საავადმყოფოს შეკეთებას.

მიწ.-მოქმ. სახ. კომისარიატში

— მევენახეობის კურსები. მიწად-მოქ. სახ. კომისარიატი გორის მაზრის 3 თემში აწყობს მევენახეობის კურსებს.

— სკოლა. კომისარიატმა თავის ხარჯით გომში ააგო სას.-სამ. სკოლის შენობა.

სხვადასხვა

— სამტრედიის ხაზზე რკინის-გზის კომიტეტმა გაჭირვებულ მემალაროელთა სასარგებლოდ გადასდო 500 მან. ფოთის სამპრობიურომ გაფიცულების სასარგებლოდ დაიწყო შეწირულების შეგროვება.

— საბინაო მშენებლობის დამხმარე კომიტეტმა საბინაო მშენებლობის ამხანაგობებს წინადადება მისცა წარმოადგინონ თავიანთი აღმშენებლობის გეგმა, სათანადო თანხების მისაღებათ.

— თათბირი. ოთხშაბათს, 30 სექტ., სად. 7 ს. განათ. მუშაკთა სახლში მოწვეულია განათ. მუშაკთა კავშირის ურთიერთ დამხმარე სალაროს ბიუროების თათბირი.

— გლეხკორთა ყრილობა. 3 ოქტომბერს გლეხთა ცენტრალურ სახლში იხსნება გაზეთ „ახალი სოფელი“-ს გლეხკორთა მეორე ყრილობა.

— კულტმუშაობისათვის. 28 სექტემბერს ს. პ. ქ. ს. კულტგანყოფილებაში შესდგება კავშირების კულტგანყოფილებების გაერთიანებული თათბირი მუშათა კლუბების გამგეობის თანადასწრებით.

— პროფპროპაგანდა. კონფერენცია პროფპროპაგანდის საკითხების გარშემო, რომელიც უნდა შემდგარიყო 21 სექტემბერს. დანიშნულია 29 სექტემბერს, სამშაბათს, საღამოს 7 საათზე მუშათა სასახლის მცირე დარბაზში (რუსთაველის პროსპ. № 17.)

— თბილისის ავტოკლუბში. სამშაბათს, 28 სექტემბერს. საღამოს 6 საათზე მოწვეულია ხსენებული კლუბის წევრების საერთო კრება. დღის წესრიგში დასმულია 1) კლუბის გამგეობის და სარევიზიო კომისიის მოხსენება და 2) კლუბის გამგეობის არჩევნები.

შემთხვევები

— ბოქლომის გატეხის საშუალებით ბებუთოვის ქ. № 40, გაქურდეს აირაპეტ აკოფოვის ბინა. წაიღეს 250 მ. ნივთები.

— ამავე დღეს მლეთის ქ. № 12 ღამით გაქურდეს ბორის დოლგანოვის ბინა.

—უგზო-უკვლოდ დაკარგვა. სოფელ ხაშმის მცხოვრები ანდრო გიორგის ძე ქორქაშვილი 27 აგვისტოს გაემგზავრა თბილისისკენ და დღემდე აღარ დაბრუნებულა. მისი ნიშნები: ხნოვანობით 42 წლის, საშუალო ტანის, შავგრემანი, სულით ავადმყოფი. ვთხოვ ყველას ვინც რაიმე იცისი იმის შესახებ წერილობით აცნობოს ქალ. თბილისში, ალექსი ბარნოვს, მცხოვრებ კურსანტების შესახვ. № 11.

თავის დაჭრა

გუშინ, ღამის 12 საათზე, მე-4 სამილიციო კომისარიატის სამორიგო ოთახში მიხეილ ჩალაჯიანმა დაპატიმრების დროს დანით მძიმედ დაიჭრა თავი, თვითმკვლელობის მიზნით. ჩალაჯიანი შეპყრობილი იყო თაღლითობისათვის. მძიმედ დაჭრილი გადაგზავნილია რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში.

მოტო-გადარბენა

თბილისი-გროზნო

ავტო-კლუბის მოტო-სექცია ა.-წ. 1 ოქტომბერს აწყობს მოტო-გადარბენას თბილის-გროზნოს შორის. მოტო-გადარბენის მიზანია მოახდინოს გამოცდა ახალ მოტოციკლეტებისა, როგორიცაა „ჰარლეი-დავიდსონი“-ს, „ინდიან“-ის და სხვ. სისტემების მოტო-მანქანები.

გადარბენები გამოააშკარავებენ აგრეთვე, თუ რამდენად ხელსაყრელია ეკონომიურად თბილის-გროზნოს შორის არსებული გზა ამიერ-კავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის ურთიერთ ეკონომიური დამოკიდებულების განმტკიცებისათვის.

გადარბენაში მონაწილეობას ღებულობს 12 მანქანა. მოტოციკლეტები გავლენ თავისუფლების მოედნიდან 1-ლ ოქტომბერს, დილის 9 საათზე, გროზნოში. ჩვენი მძღოლები გამართავენ შეჯიბრს ადგილობრივ მოტოციკლეტისტებთან, რის შემდეგ მანქანები დაბრუნდებიან უკან თბილისში.

მოტო-დღესასწაული.

დღეს, 25 სექტემბერს, 12 საათზე, თბილისის იპოდრომზე ავტო-კლუბის მოტო-სექცია მართავს მოტო-დღესასწაულს. დღესასწაულზე მოხდება მოტო-მძღოლების თბილისის პირველობის გათამაშება. დღესასწაულის მთელი შემოსავალი მოხმარდება თბილის-გროზნოს მოტოციკლების გადარბენას.

ხელოვნება

მთავარი სახელოვნო საბჭო

ჩვენში სახელოვნო საქმის შესაფერ ნიადაგზე დასაყენებლათ სახელოვნებო განყოფილებასთან, რომელიც ითვლება რესპუბლიკაში სახელოვნებო საქმის უმაღლეს ორგანოთ, დაარსდა მთავარი სახელოვნო საბჭო.

ეს უკანასკნელი არსებობს ხელოვნების განყოფილებასთან სათათბირო ხმის უფლებით; მასში შედიან სხვადასხვა სამხატვრო ორგანიზაციების, ეროვნულ უმცირესობათა, კომკავშირის, მთავლიტის, მწერალთა კავშირის, და სხ. ორგანიზაციების წარმომადგენელნი.

საბჭოს თავმჯდომარეთ დაინიშნა ამხ. შ. დუდუჩავა. 5 ოქტომბერს შესდგება საბჭოს პირველი სხდომა, რომელზედაც მოხსენებას გააკეთებს თავმჯდომარე მომავალი სამხატვრო სეზონის შესახებ.

სახელოვნო განყოფილებასთან დაარსდა აგრეთვე სარეპერტუარო კომისია, რომელშიაც შედიან: ამხ. პ. მ. საყვარელიძე თავმჯდ., ა. თათარიშვილი, ან. ახათაანი, შ. დუდუჩავა, ა. ახმეტელი, ა. წუწუნავა, ა. გედევანიშვილი, ს. ქურიძე, ნ. ზომლეთელი და სხ.

სარეპერტუარო კომისია გამოიმუშავებს რეპერტუარს რუსული, სომხური, თურქული და სხვა ეროვნებათა თეატრებისათვისაც.

ხელოვნების ქრონიკა

— განათლების მუშაკთა კლუბში დღეს 26 სექტ. გაიმართება საღამო.

— თამარ წერეთლის კონცერტი გაიმართება დღეს ოპერის თეატრში.

— მუშათა ახალ კლუბში დღეს, გაიმართება დიდი კონცერტი ანდღულაძის და ლ. კავსაძის მონაწილეობით.

— „სკვდილის ნავთსადგური“. კინო „მინიონ“-ში დაიწყო ახალი სურათის „სკვდილის ნავთსადგურის“ ჩვენება.

— სამხატვრო აკადემიაში. 1 ოქტომბერს გაიხსნება აკადემიის მოწაფეთა სურათების გამოფენა.

— თბილისის მუშათა თეატრის (ყოფ. სახ. სახლში) სეზონი გაიხსნება 12-15 ოქტომბერს.

— კინო. პროფსაბჭომ გამოჰყო სექცია მუშათა კლუბებში და რაიონებში კინო-მუშაობის საწარმოებლად.

საბჭოთა სასამართლო

რკინისგზელთა საქმე

25 სექტემბრის დილის სხდომა

გუშინ დილის სხდომაზე დასრულდა ბრალდებულ ვარდანაშვილის დაკითხვა.

გუშინდელ სხდომაზე ბრალდებულს მიეცა მთელი რიგი კითხვები იმ გარემოების გამოსარკვევად, თუ რა კავშირი ჰქონდა მას სარჯველაძესთან.

თავმჯდომარე: სარჯველაძის მიღება სამსახურში ვისი რეკომენდაციით მოხდა?

ბრალდებული: მე წინეთ ვიცნობდი სარჯველაძეს. მენიხრეების მცირე შტატი იყო. გამოცდილი მუშაკი ვერ ვიშოვნე.—გზის სამსახურის უფროსს უთხარი მიეღო სარჯველაძე სამსახურში, რაზედაც მან თანხმობა განაცხადა.

პროკურორი: რა ნიადაგზე მოხდა თქვენი დაახლოება სარჯველაძესთან?

ბრალდებული: მართალია, ჩვენს შორის კარგი განწყობილება იყო, მაგრამ რაიმე შეთანხმება მასთან ბილეთების კომბინაციის საქმეში არა მქონია.

პროკურორი: თუ სარჯველაძე ყალბ ანგარიშებს გაატარებდა, ვის შეეძლო ბოროტმოქმედების კვალის აღმოჩენა?

ბრალდებული: რევიზორს.

პროკურორი: თქვენ, როგორც სასამართლოს მოახსენეთ, თვეში ღებულობდით 60 მანეთს ჯამაგირს და თქვენს კმაყოფაზე იმყოფებოდა 5 სული. ამავე დროს შეიძინეთ პიანინო, რომელშიაც 600 მანეთი მიეცით?

ბრალდებული: პიანინო, შეძენილი მაქვს ოჯახური ნივთების გაყიდვის შემწეობით და არა ჯამაგირით.

ამით დასრულდა ბრალდებულ ვარდანაშვილის დაკითხვა.

შემდეგ დაკითხულ იქნა ბრალდებული ხერგო დოლიძე. (თბილისის სადგურის მოლარე).

დოლიძის ჩვენება

ბრალდებული მოუთხრობს სასამართლოს, რომ მის მიმართ წაყენებული არც ერთი ბრალდება სინამდვილეს არ შეესაბამება. ის ამბობს, რომ რკინის გზაში მუშაობდა 1914 წლიდან და არც ერთი შენიშვნა არ მიუღია. დაწვრილებით უამბობს სასამართლოს იმ პირობებს, რომელშიაც მას მუშაობა უხდებოდა. ბრალდებული აგრეთვე ლაპარაკობს იმ წესების შესახებ, რომლებიც სადგურში არსებობდა.

შემდეგ ბრალდებულს აძლევენ მთელ რიგ შეკითხვებს.

თავმჯდომარემ ბრალდებულს წარუდგინა განმეორებით გამოყენებული საბუთები, რომლებიც საქმესთან არის დართული. ამ საბუთებიდან სჩანს, რომ ბრალდებულს ორჯერ გაუყიდია ერთი და იგივე ბილეთი და სხ.

თავმჯდომარე: თქვენს ანგარიშებში 19 შემთხვევაა ბილეთების ხელმეორედ გატარებისა. რას იტყვით ამის შესახებ?

ბრალდებული: ვინაიდან ბევრი სამუშაო მქონდა, სწორედ, ამიტომ მომივიდა ეს შეცდომა.

ამის შემდეგ დაკითხულ იქნა ბრალდებული დავით ულენტი (გზის სამსახურის თანამშრომელი).

ულენტის ჩვენება

ბრალდებული აჩვენებს, რომ მისი ერთად ერთი დანაშაული იმაში გამოიხატება, რომ მან დაფარა ბრალდებულ ალექსანდრე თევზაძის ბოროტმოქმედება, რაიც გამოიხატებოდა ყალბი ანგარიშების გატაცებაში. ერთ დღეს სამსახურში მასთან მივიდა მენიხრე კუპრაძე, რომელმაც უთხრა, რომ ალექსანდრე თევზაძეს სარჯველაძესთან შეთანხმებით ჩაუდენია სამსახურში ბოროტმოქმედება. შემდეგ თევზაძეს ეს გარემოება აუხსნია კუპრაძესათვის. კუპრაძემ კი უთხრა მას დაეფაროთ თევზაძის ყალბი ანგარიშები. ორი-სამი დღის შემდეგ თევზაძე მისულა საშემოსავლო ნაწილში და უთქვამს მისთვის, რომ სარჯველაძეს უნდა დაენიხრა ყალბი საბუთები და გაეტარებინა კუთვნილებისამებრ და თანაც დასძინა, რომ ის შევბულებაში წავიდა და ყალბი ანგარიშები დაუნიხრელი დასტოვა და გადამალაო.

თევზაძეს უთხრობია აგრეთვე მისთვის, რომ ბოროტმოქმედება ჩაიდინა სარჯველაძის დაჟინებითი მოთხოვნით. ეს ყალბი ანგარიშები ბრალდებულს აუღია რეგისტრატურიდან და შემდეგ დაუფარავს.

თავმჯდომარე: წინასწარი გამოძიებაზე თქვენ უჩვენეთ, რომ სამგზავრო ნაწილში მოწყობილი იყო ბოროტმოქმედთა მთელი „შაიკა“ ვარდანაშვილის, გოლოვატის და სხვათა მონაწილეობით. ადასტურებთ თუ არა ეხლა ამ ჩვენებას?

ბრალდებული: არ ვადასტურებ. ეს ჩვენება გამოწვეული იყო ჩემი მაშინდელი საერთო მდგომარეობით. გარდა ამისა, ყოველივე ეს მე ვსთქვი მას შემდეგ, როცა თავი სცნეს დამნაშავეთ გოლოვატმა და ვარდანაშვილმა. ნიკოლოზ თევზაძე ეუბნებოდა გამომძიებელს 10.000 მანეთი მაქვს რკინის გზიდან მითვისებული და ამ მიზნით დავსწვი დიდძალი საბუთებიო. ამავე დროს თევზაძემ აღნიშნა, რომ ულენტი და სხ. ღებულობდენ მონაწილეობას ბოროტმოქმედების ჩადენის საქმეშიო.

პროკურორი: სარჯველაძე რომ შვებულებაში წავიდა დაგიტოვათ თუ არა ანგარიშები მენიხრეებზე გასანაწილებლად?

ბრალდებული: არ დაუტოვებია და რომც მიენდო ჩემთვის ასეთი მოვალეობის შესრულება, მე ვერ შევსძლებდი შესრულებას.

საღამოს სხდომა

გუშინ საღამოს სხდომაზე დასრულდა ბრალდებულ ულენტის დაკითხვა.

ჩვენების დასასრულს ბრალდებულმა განაცხადა, რომ ყველა ის ჩვენებები, რომლებიც მან მისცა წინასწარი გამოძიების დროს, სინამდვილეს არ შეესაბამება. ერთად-ერთი მისი დანაშაული მდგომარეობს იმაში, რომ მან დაფარა ალექსანდრე თევზაძის ყალბი ანგარიშები.

ამის შემდეგ სასამართლომ დაკითხა ბრალდებულ გიორგი იაკობაშვილს (გზის სამსახურის თანამშრომელი).

იაკობაშვილის ჩვენება

იაკობაშვილმა თავი სცნო დამნაშავეთ წარდგენილ ბრალდებულებებში და განაცხადა, რომ მას გადაეცა დასანიხრავად ალექსანდრე თევზაძის ყალბი ანგარიშები.

ყალბ ანგარიშებში ბრალდებულმა შესწორება შეიტანა და მით დაფარა ბოროტმოქმედების კვალი, რა მიზნითაც მიიღო 50 მანეთი.

იაკობაშვილის შემდეგ დაკითხულ იქნა ბრალდებული გაბრიელ კუპრაძე (მენიხრე).

კუპრაძის ჩვენება

ბრალდებული საერთოდ თავს არ სცნობს დამნაშავედ.

მან თავი სცნო დამნაშავეთ იმაში, რომ აღმოაჩინა სიყალბე ალ. თევზაძის ანგარიშებში, შეიტანა შესწორება და ამ მიზნით მიიღო 50 მანეთი.

დასასრულ დაკითხულ იქნა ბრალდებული ადოლფ დეკაპრილევიჩი (გზის სამსახურის უფროსი).

დეკაპრილევიჩის ჩვენება.

ბრალდებულმა თავი არ სცნო დამნაშავე სამსახურისადმი გულგრილათ მოპყრობაში და დაწვრილებით უამბო სასამართლოს, თუ როგორ პირობებში უხდებოდა მუშაობა და შეეხო იმ წესებს, რომლებიც სამგზავრო ნაწილში არსებობდა.

ამით დასრულდა ბრალდებულების დაკითხვა. ორშაბათს, 27 სექტემბერს. სასამართლო შეუდგება მოწმეების დაკითხვას.

ფეხბურთი

„რუსკაბელი“—„არსრაიონი“.

უჩვეულო ინტერესით ხვდება საზოგადოება გუშინ ფეხბურთელთა შეჯიბრის დაწყებას. ყველა მოუთმენლად ელოდა ენახა თუ რა ძალას წარმოადგენს „რუსკაბელი“-ს გუნდი, როგორია მისი ტეხნიკა და როგორი პროპორცია იქნება დაცული მისსა და „არსრაიონს“ შორის?

სრულ 4 ნახ. საათზე სტადიონზე გამოდის ორივე გუნდი. მათი გამოსვლა საზეიმო სახეს ატარებს. ადგილობრივი გუნდი ზეიმით ხვდება მოსკოვის სტუმრებს. რამოდენიმე წუთის შემდეგ იწყება შეჯიბრი: „რუსკაბელი“-ს ფეხბურთელებს ქანცავს სამხრეთის თბილი და მცხუნვარე მზე. ისინი თითქო მოითენთენ. „არსრაიონს“ გააქვს ორი გოლი ზედიზედ. მაგრამ „რუსკაბელი“ აუჩქარებლად, შეუდარებელი სიდინჯით აკვირდებოდა ბურთის მსვლელობას და გამოცდილ თვალს არ ამორებდა მოპირდაპირის ძალებს. პირველი ჰაფტაიმი მთავრდება თანაბარ მიღწევებით (2:2).

მეორე ჰაფტაიმს უნდა გამოერკვია შეჯიბრის საბოლოო შედეგი. „არსრაიონი“ არ იშურებს არც ძალას არც ენერგიას. „რუსკაბელი“ აუჩქარებლად თამაშობს. მის ჭიშკრამდე ბურთი ვერ აღწევს. ყველა მოთამაშენი მოფიქრებულად და აუღელვებლად თამაშობენ. პირვანდელი დაქანცულობა აღარ ეტყობათ, რადგან ოდნავ ცივმა სიომ დაბერა. მათ ჭიშკარს შეუდარებლათ იცავს ძლიერი კიპერი—გლაზუნოვი, ხოლო ხუთი მოთამაშე განუწყვეტლივ იერიშებს აწარმოებენ „არსრაიონი“-ს ჭიშკარზე. თვითეული მოთამაშე ყურადღებას აქცევს თამაშის სილამაზეს და ტეხნიკურ მხარეს. აქ გამოჩნდა „რუსკაბელის“ გუნდის დიდი მიღწევები. მეორე ჰაფტაიმის დროს ისინი ზედიზედ ამარცხებენ „არსრაიონ“-ელებს. ამ დროის განმავლობაში მათ ექვსჯერ აიღეს მოპირდაპირის ჭიშკარი. „არსრაიონელებმა“ კი ვერც ერთჯერ. მიუხედავათ ამისა უკანასკნელებმა გამოიჩინეს ბურთის თამაშის უნარიანობა. კარგათ იცავდა ჭიშკარს არსრაიონელების კიპერი.

მეორე ჰაფტაიმი დამთავრდა „რუსკაბელი“-ს სრული გამარჯვებით 6(:0) შეჯიბრის საერთო შედეგი ასეთია (8:2) „რუსკაბელი“-ს სასარგებლოდ.

წერილი რედაქციის მიმართ

გაზეთ „კომუნისტში“ მოთავსებული იყო რუსთაველის თეატრის მომავალ სეზონში მომუშავე მსახიობთა სია, რომელშიაც ჩემი გვარიც იყო აღნიშნული.

გთხოვთ გამოაცხადოთ, რომ მე არ შევდივარ დასის შემადგენლობაში.

ვერიკო ანჯაფარიძე.

ბიბლიოგრაფია

საქართველოს სახალხო მეურნეობა 1924-25 წ.

საქართველოს საგეგმო კომისიის გამოცემა თბილისი. 1926 წელი ფასი 1 მან. 50 კაპ.

სამეურნეო კონიუნქტურის შესწავლას, სახალხო მეურნეობის მაჩვენებელთა სისტემატიურ რეგისტრაციას უკვე დიდი ხანია სერიოზული ყურადღება აქვს მიქცეული მთელ კავშირის ფარგლებში. ამ საქმეს ასრულებენ სხვადასხვა დაწესებულებები და ორგანიზაციები. მათ შორის ცენტრალური ადგილი უკავია საგეგმო კომისიას, რადგანაც სახალხო მეურნეობის გეგმიანი ხელმძღვანელობა შესაძლებელია მხოლოდ სწორ აღრიცხვის ნიადაგზე, ამიტომ სავსებით მართებული ნაბიჯი გადადგა საქართველოს საგეგმო კომისიის ეკონომიურ-სტატისტიკურმა სექციამ, როდესაც თავის მოუყარა ყოველთვიურ კონიუნქტურებს, შეაჯამა მათი ცნობები და გამოსცა წლიურ მიმოხილვის სახით. ასეთი მიმოხილვა საქართველოს სახალხო მეურნეობისა პირველად გამოდის.

ეს მიმოხილვა, როგორც მისი საერთო წინასიტყვაობიდან სჩანს, დამყარებულია უმთავრესად 1924-25 წლის ყოველთვიური კონიუნქტურულ მიმოხილვათა მასალებზე. ცხადია, ეს არ არის ისეთი მასალა, რომელსაც არ დასჭირდებოდა შევსება და შესწორება, ამიტომ გასაგებია ის დიდი მუშაობა, რომელიც გასწიეს ეკონომიურ-სტატისტიკურ სექციის თანამშრომლებმა სწორედ დასახელებულ მასალის წლიურ მიმოხილვის სახით გამოცემისათვის. მრავალი ცნობა თვიურ კონიუნქტურულ მიმოხილვის სავსებით შეცვლილია სარეცენზიო გამოცემაში. ის აიხსნება იმით, რომ კონიუნქტურულ მიმოხილვაში მოთავსებული ცნობებში ხშირად იყო ნავარაუდევი წინასწარი მიღებული ჯამები, ხოლო წლიურ მიმოხილვაში ეს წინასწარი ცნობები საკმაოთ შემოწმებული და ჩამოყალიბებულ ხასიათს ღებულობდენ. არ იქნებოდა მოკლებული ინტერესს, აღნიშნულიყო ტექსტში. თუ როდის იქნა შემჩნეული თვიურ კონიუნქტურისა და სხვაგვარი გზით მიღებულ ცნობებს შორის განსხვავება, რა ცვლილებებია შეტანილი ყოველთვიურ კონიუნქტურულ ცნობებში?

წლიური მიმოხილვა მდიდარ მასალას იძლევა ჩვენი სოფლის მეურნეობის, მრეწველობის და საფინანსო მეურნეობის შესაფასებლად; აქ თავმოყრილია მეურნეობის ვითარების, ყველა მაჩვენებელნი, როგორიცაა სოფ. მეურ. პროდუქტების დამზადების რაოდენობა, პროდუქციის ფასი, მრეწველობის რაოდენობა, ძირითადი კაპიტალის რაოდენობა, საქონლის ფასები, ინდექსები, ექსპორტ იმპორტის რაოდენობა. საწყენია მხოლოდ, რომ ადგილი არ აქვს ფულის ტრიალის ოდენობის და სიჩქარის გამორკვევას, რაც რასაკვირველია, საინტერესო მასალას მოგვცემდა, როგორც წინა წლებთან შედარების, ისე საერთო სავალუტო პოლიტიკის ილუსტრაციისათვის.

შედარებით სხვა განყოფილებებთან ნაკლებ დამაკმაყოფილებელია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანალიზი, სადაც ადგილი აქვს ციფრების ცეტაონდავ თავისუფალ გამოყენებას, განსაკუთრებით ფედერატიულ და საკავშირო ბიუჯეტების ტერიტორიალურ შემოსავლების გამოკვლევისას (გვ. 158—160). წიგნს თანდართული აქვს 65 ცხრილი, რომელნიც წარმოადგენენ ტექსტში აღნიშნულ ტენდენციების საუკეთესო ილუსტრაციას. ცხრილებს შორის განსაკუთრებით საინტერესოა საბითუმო და საცალო ფასების ინდექსების ცვალებადობა 1923-24—1924-25 წლისათვის.

ინტერესს არ იქნება მოკლებული შედარება ფასების ინდექსებისა ა.-კავკასიის სხვა ცენტრებთან, როგორიცაა მაგ., ბაქოსთან და განსხვავების მიზეზების აღნიშვნა.

საქართველოს სახალხო მეურნეობის 1924-25 წ. მიმოხილვის გამოსვლას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მეურნეობის შესწავლისათვის, ესაა საქართველოს სამეურნეო ვითარების პირველი წლიური მიმოხილვა. ცხადია. რომ ყოველთვიური კონიუნქტურა იძლევა მეურნეობის ამა თუ იმ დარგის მდგომარეობაში ზრდის თუ შემცირების ერთგვარ ტენდენციას, მაგრამ, რასაკვირველია. იგი ვერაა იმდენად სიმპტომატიური, როგორც მრავალი სამეურნეო მოვლენა თავის სახალხო სამეურნეო ეფექტს მხოლოდ მთლიანად ერთ წლის განმავლობაში იძლევა. ასეთი მიმოხილვა ცხადჰყოფს მრავალ ეკონომიურ მოვლენას, რომლის გაგება ყოველთვიურ კონიუნქტურულ მიმოხილვებში შეუძლებელია.

ეკონომისტი.

იურიდ. რჩევა დარიგება

შვილად აყვანის უფლებების შესახებ

კითხვა

1919 წელს ვიშვილე ჩემი ძმის ქალი 4 წლისა. მე მყავს ორი ვაჟი. ჩემს ძმას ჰყავს 6 შვილი, არის უკიდურესი ღარიბი. მე ქალი სრულებით არა მყავს.

ამას წინად ჩემი ბინადრობის და მიხედვით მივმართე ოზურგეთის მაზრის ჩოხატაურის თემის აღმასკომს, რათა გეტარებინა რეგისტრაციაში და ჩაერიცხა ჩემი ოჯახის წევრად, მაგრამ მან უარი მითხრა. ბავში უკვე 7 წელია, რაც ჩემთან ცხოვრობს.

გთხოვთ მომეცით ახსნა - განმარტება; ითვლება — თუ არა, ეს ბავში ჩემი ოჯახის კანონიერ წევრად. და შეუძლია თუ არა ადგილობრივ თემ-აღმასკომს ჩარიცხოს წევრად ჩემი ოჯახისა. თომა სიხარულიძე.

პასუხი

თანახმად დეკრეტი № 23-ის მუხ. 142-ისა, შვილად აყვანილნი, ოჯახში მიღებულნი და მათი შთამომავლობა შვილად ამყვანელთა და მიმღებთა მიმართ და აგრეთვე შვილად ამყვანი და მიმღებნი შვილად აყვანილთა და მიღებულთა მიმართ სისხლის ნათესავებთან თანასწორად ითვლებიან.

ამიტომ თემის აღმასკომის მოქმედება უნდა ჩაითვალოს უკანონოდ.

მერგება თუ არა

კითხვა.

მე ვმსახურობდი რკინისგზის სამეურნეო დარგში მოანგარიშის თანამდებობაზე. 28 ივნისის საწყობის გამგის სახალხო ფულების გაფლანგვისათვის საგანგებო კომისიის მიერ დაპატიმრებისა გამო დამევალა საწყობის გამგის მოვალეობის შესრულება, რასაც ვასრულებდი თითქმის სამ თვეს.

გთხოვთ განმიმარტოთ—მერგება თუ არა განსაკუთრებული ჯილდოდ თანამდებობათა შეთავსებისათვის (ე. ი. საწყობის გამგის მოვალეობის ასრულებისათვის), ამავე დროს მე ჩემ პირად მოვალეობასაც ვასრულებდი.

რკ.-გზ. პროფკავშ. წ. № 40941 პ. გ—ძე.

პასუხი.

თანამდებობათა შეთავსებად ითვლება სხვადასხვა დაწესებულებებში მუშაობა და ასეთ შემთხვევებში მომუშავეთ შეთავსებულ სამუშაოსათვის ეძლევათ ცალკე ჯილდო დაწესებულების ხელმძღვანელთან შეთანხმებით. რაც შეეხება თქვენ სამუშაოებს, ისინი შეთავსებათ სამუშაოებად არ ჩაითვლება და ამიტომ თქვენ მიიღებთ შრომის ჯილდოს არა როგორც შეთავსებისათვის, არამედ, როგორც უფრო მაღალი კვალიფიკაციის სამუშაოს ასრულებისათვის, ე. ი. თქვენ უნდა მოგეცეთ დამატებით ის განსხვავება, რომელიც არსებობს თქვენს ხელფასსა და საწყობის გამგის ხელფასს შორის (იხ. ა.-კ. შრომის სახკომატის 1923 წ. აგვისტოს დადგე-

როგორ მივიღო მეტრიკული ამონაწერი

კითხვა

მე ვარ დაბადებული გორის მაზრაში, სოფელ წოლდაში 1908 წ. ენკენისთვის 28-ში. ამაზე არავითარი მეტრიკული ცნობები არ მოიპოვება, არც თემ-აღმასკომში და არც თვით თბილისის „მმაჩ“-შიც ჩემი წლოვანების შესახებ.

გთხოვთ განმიმარტოთ, მომეცემა თბილისის „მმაჩ“-დან მეტრიკული ამონაწერი თუ არა.

გლეხის შვილი ნიკოლოზ იორდანიშვილი.

პასუხი

იმ შემთხვევაში, როდესაც „მმაჩ“-ში არ მოიპოვება არავითარი ცნობები და საბუთები რომელიმე მოქალაქის (ამ შემთხვევაში თქვენი) დაბადების, სიკვდილის და ქორწინება-განქორწინების შესახებ, აუცილებლად საჭიროა სახალხო სასამართლოს დადგენილება მოქალაქობრივი მდგომარეობის აღდგენის შესახებ. „მმაჩ“-დან თქვენ მეტრიკული ამონაწერს მიიღებთ იმის შემდეგ, როდესაც სასამართლო თქვენი დაბადების წლის, თვის და რიცხვის შესახებ გამოიტანს მოწმეების დაკითხვის საშუალებით სათანადო დადგენილებას და თავის დადგენილებას აცნობებს სათანადო „მმაჩ“-ს (იხ. დეკრეტი № 28-ის მუხ. 52 და შინაგან საქმეთა სახკომატის 1924 წ. 31 მარტის ცირკულიარი № 47. გამოქვეყ. საქართველოს ცაკის და სახკომსაბჭოს № 4—„მოამბე“-ში 1924 წ. აპრილიდან).

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— სამშაბათს, 28 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე შესდგება საქ. კომ. პარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის სააგიტაციო კოლეგიის სხდომა.

— ხ. კ. პ. ლენინის რაიკომი იტყობინება, რომ ორშაბათს, 27 სექტემბერს, დილის 9 საათზე, რაიკომის შენობაში შესდგება რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.

დასწრება პრეზიდიუმის ყველა წევრებისა აუცილებელია.

— საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ქალთა განყოფილება იუწყება, რომ 27 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე, თბილისის კომიტეტის შენობაში მოწვეულია რაიკომების ქალთა განყოფილებების გამგეთა თათბირი, სოფლელ ქალთა ორგანიზატორების თანადასწრებით.

— საქ. ახ. ლენ. კომკავშირის თბილისის კომიტეტის პროპაგანდისტთა კურსების მორიგი მეცადინეობა შესდგება ორშაბათს, 27 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე. ქართული ჯგუფი—ს. ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის საპროპაგანდო კაბინეტში, რუსული ჯგუფი—განათლების მუშაკთა სახლში (კალოუბნის № 3).

— საქ. ახ. ლენ. კომკავშირის თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს კომკავშირის ყველა წევრებს, რომელთაც საქ. კომუნისტ. პარტიის თბილისის კომიტეტთან არსებული პროპაგანდისტთა საზამთრო კურსები მოისმინეს და აგრეთვე პირველი საფეხურის კომკავშირის პოლიტსკოლების ყველა ხელმძღვანელთ (ამიერ-კავკ. კომუნისტ. უნივერსიტეტის სტუდენტთა გამოკლებით) რათა გამოცხადდენ ორშაბათს 27 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე ს. ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის პროპაგანდისტთა კურსების მეცადინეობაზე — კომკავშირის პოლიტსკოლების ორგანიზაციის და მეთოდიკის ცქლის გასავლელათ.

— საქართველოს კომუნისტ. პარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-8 რაიკომი იუწყება, რომ მე-3-ე რაიონში უჯრედების ბიუროების გადარჩევა ჩატარდება შემდეგი ცხრილის მიხედვით:

26 სექტემბერი—2 საპნის, ზეთის ქარხანა—დილით 10 საათზე,

26 სექტემბერი—მაკარონის ფაბრიკა—დილით 10 საათზე,

27 სექტემბერი—რადიო-სადგური—დღით 2 საათზე.

27 სექტემბერი—საკავშირო საფეიქრო სინდიკატი—საღ. 6 საათზე.

28 სექტემბერი—ამიერ-კავკ. საბჭოზე კომიტეტი—საღ. 6 საათზე,

29 სექტემბერი—ამიერ-კავკ. სახელმწიფო ვაჭრობის კომისარ. საღ. 6 საათზე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

თბილისის აღმასრულებელი კომიტეტისა და თბ. სამაზრო სამხ. კომისარიატისა

1904 წელში დაბადებულ მოქალაქეთა ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვევის შესახებ და აგრეთვე 1901, 1902 და 1903 წ. წ. დაბადებულ იმ მოქალაქეთა გაწვევის შესახებაც, რომელთაც წინანდელ გაწვევების დროს სწავლის გასაგრძელებლად, ავადმყოფობის ან სხვა რაიმე მიზეზისა გამო, გადადებული ჰქონდათ ჯარში გაწვევის ვადა, რომელიც უკვე გაუთავდათ.

საბჭ. სოც. რესპ. კავშირის სახალხო—სამხედრო-საზღვაო კომისარიატის ამიერ - კავკ. ს. ფ. ს. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსთან მყოფ რწმუნებულის და კავ. წითელ დროშოვან არმიის ჯარების მიმართ ა.-წ. № 193-39 საიდ. ბრძანების თანახმად,

ცხადდება:

1. ჯარში გაწვევაზე გამოცხადება ეხებათ:

ა) 1904 წ. დაბადებულ ყველა მოქალაქეთ, მათ რიცხვში ამავე წელში დაბადებულ მოსწავლეთ და მასწავლებელთაც, რომელნიც მიწერილნი არიან თბილისის გასაწვევ უბანზე, ან, რაიმე მიზეზისა გამო, სრულიად არ არიან მიწერილნი რომელიმე გასაწვევ უბნებზე და ამჟამად სცხოვრობენ ქ. თბილისში და თბილისის მაზრაში;

ბ) 1901, 1902 და 1903 წ. წ. დაბადებულ მოქალაქეთ, რომელთაც განათლების, ფიზიკურ განუვითარებლობის ან სხვა რაიმე მიზეზისა გამო წინანდელ გაწვევების დროს გადადებული ჰქონდათ ჯარში გაწვევის ვადა და ეს ვადა უკვე გაუთავდათ ან უთავდებათ ა.-წ. შემოდგომაზედ;

გ) 1901, 1902 და 1903 წ. წ. დაბადებულ მოსწავლეთ და მასწავლებელთ, რომელთაც თუმცა მიცემული ვადა არ გასთავებიათ, მაგრამ ამჟამად რაიმე მიზეზით აღარ იმყოფებიან სასწავლებლებში;

დ) 1903 წ. დაბადებულ მოქალაქეთ, რომელნიც მოერიდნენ გაწვევას ან სხვა რაიმე მიზეზისა გამო არ გამოცხადებულან წინანდელ გაწვევაზე თავის ტოლებთან ერთად.

2. ჯარში გაწვევაზედ გამოცხადებისაგან თავისუფლდებიან 1904 წ. დაბადებული ის მოქალაქენი, რომელნიც ამჟამად იმყოფებიან მუშურ-გლეხურ წითელ არმიის ნამდვილ სამხედრო სამსახურში, სახელმწიფო გაერთიანებულ პოლიტიკურ სამმართველოს ჯარებში და ს. ს. რ. კ. მხედრობის რაზმებში.

3. ყველა გასაწვევი მოქალაქენი ვალდებულნი არიან გამოცხადდენ შესაკრებ პუნქტებზე, თანახმად ქვემოაღნიშნულისა:

დასახელება რაიონისა	დრო გამოცხად.	რომელ გამწვევ კომისიაში ცხადდება და სად
ქ. თბილის. 1-ლი სამილიც. რაიონ.	ა.-წ. 1, 2, და 4 ოქტ.	ტფილისის ძირითად გამწვევ კომისიაში. ტფილისის მაზრის სამხედრო კომისარიატის შესაკრებ პუნქტზე (სადგურის ქ. № 24).
„ მე-2 „ „	„ 5, 6, და 7 „	
„ მე-3 „ „	„ 8, 9, და 11 „	
„ მე-4 „ „	„ 12 „	
„ მე-5 „ „	„ 13 „	
„ მე-6-7 „ „	„ 14 და 15 „	
თბილისის მაზრის ერწოს რაიონი	„ 16 „	
„ „ თიონეთის „	„ 16 „	
ქ. თბილ. მე-8 სამილიც. რაიონ.	ა.-წ. 1 და 2 ოქტომ.	ტფილისის მე-2 დამატებითი გამწვევ კომისიაში. ტფილისის მაზრის სამხედრო კომისარიატის შესაკრებ პუნქტზე (სადგურის ქ. № 24).
„ მე-9 „ „	„ 4, 5 და 6 „	
„ მე-10 „ „	„ 7, 8 და 9 „	
„ მე-11 „ „	„ 11 და 12 „	
„ მე-12 „ „	„ 13 „	
თბილ. მაზრ. მცხეთის რაიონი	„ 14 „	
„ „ ყარაიაზის „	„ 15 „	
„ „ ასურეთის „	„ 16 „	
თბილ. მაზ. გარე-კახეთ. რაიონი (სართიჭალის, მარტყოფის, გომბორის და საგარეჯოს თემები).	ა.-წ. 4, 5 და 6 ოქტ.	მე-3-ე დამატებითი გამწვევ კომისიაში. სართიჭალის თემ-აღმასკომის შესაკრებ პუნქტზე.
ტფილ. მაზრ. მანგლისის რაიონი	ა.-წ. 11 ოქტ.	მე-3-ე დამატებითი გამწვევ კომისიაში. მანგლისის თემაღმასკომის შესაკ. პუნქტზე.
„ „ ალგეთის „	„ 12 და 13 „	
„ „ წალკის „	„ 14, 15 და 16 „	

შენიშვნა: მოქალაქენი იკრიბებიან თავიანთ სამილიციო რაიონებში ან თემაღმასკომებში დილის 7 საათისათვის და სამხედრო-სააღრიცხვო მაგიდის გამგეებთან ერთად მიემგზავრებიან შესაკრებ პუნქტებზე.

4. შესაკრებ პუნქტებზე გამოცხადებისას მოქალაქეებმა უნდა წარადგინონ:

ა) გასაწვევ უბნებზე მიწერილებმა—პირადი წიგნაკი ფორ. № 4;

ბ) გასაწვევ უბნებზე მიუწერელებმა—მეტრიკული ამონაწერები წლოვანობის შესახებ;

გარდა ამისა:

გ) პროფ. კავშირის წევრებმა—საწევრო წიგნაკები;

დ) კომპარტიის წევრებმა, კანდიდატებმა და ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის წევრებმა—საწევრო ბილეთები;

ე) 1904 წ. დაბადებულ მოსწავლეებმა-სასწავლებლების ადმინისტრაციის მიერ გაცემული მოწმობები, აღნიშვნით: სახელი, მამის სახელი, გვარი, დაბადების წელი, რომელ დროიდან იმყოფება სასწავლებელში (რიცხვი, თვე და წელი), რამდენი წლისათვის არის განსაზღვრული სასწავლებლის თეორეტიული კურსის პროგრამა და ცალკე—სავალდებულო პრაქტიკული სამუშევარი.

ვ) სასოფლო 1-ლ საფეხურის სკოლების, შვიდწლედების და გლეხთა ახალგაზრდობის სკოლების მასწავლებლებმა—მოწმობები სამაზრო განათლების განყოფილებიდან სახელის, მამის სახელის და გვარის აღნიშვნით და აგრეთვე რომელ დროიდან (რიცხვი, თვე და წელი) და რა თანამდებობა უკავია.

5. 1904 წ. დაბადებულ მოქალაქენი, რომელთაც ვერ მოასწრეს ოჯახურ-ქონებრივ მდგომარეობის გამო თავიანთ შეღავათის უფლებების გამომჟღავნება, ვალდებულნი არიან წარადგინონ სათანადო საბუთები გამწვევ კომისიაში გამოცხადებისას. ჯარში გაწვევის დამთავრების შემდეგ საბუთები შეღავათის შესახებ არ გაირჩევა და შეღავათიც აღარავის მიეცემა.

6. ვინაიდან სამხედრო სამსახურში ჩარიცხვამდის, ჯარში გასაწვევთ არავითარი კმაყოფა არ მიეცემათ შესაკრებ პუნქტებზე, მოქალაქენი ვალდებულნი არიან თან იქონიონ სამი დღის საგზალი.

7. ყველა სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებანი და წარმოებანი ვალდებულნი არიან ამ განცხადების მე-3 მუხ. აღნიშნულ ვადისათვის დროებით განთავისუფლონ მათთან სამსახურში მყოფი ჯარში გასაწვევი მოქალაქენი შესაკრებ პუნქტზე გამოსაცხადებლად.

8. „ჯარში გაწვევის სახელმძღვანელოს“ სათანადო §§-ის თანახმად, თემაღმასკომების თავმჯდომარენი და სამილიციო რაიონების უფროსები ვალდებულნი არიან:

ა) სამხედრო-სააღრიცხვო მაგიდების გამგეებთან ერთად შეკრიბონ ჯარში გასაწვევი მოქალაქენი თვითეულ რაიონში და შეამოწმონ, რომ ყველა მათგანს აქვს ამ განცხადების მე-4 მუხ. აღნიშნული საბუთები.

ბ) ჯარში გასაწვევთა და სამხედრო-სააღრიცხვო მაგიდების გამგეებთან ერთად გამოცხადდენ შესაკრებ პუნქტზე ამ განცხადების მე-3 მუხ. აღნიშნულ ვადისათვის. სადაც თემაღმასკომის თავმჯდომარე და სამილიციო რაიონის უფროსის შეიძლება გამწვევ კომისიის შემადგენლობაში სათათბირო ხმის უფლებით.

9. სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებანი და წარმოებანი და აგრეთვე სამოქალაქო ხელისუფლების პირნი ვალდებულნი არიან:

ა) მიიღონ მათგან დამოკიდებული ყოველგვარი ზომები, რათა ჯარში გასაწვევი ყველა მოქალაქენი თავის დროზე გამოცხადდენ შესაკრებ პუნქტზე, ხოლო ჯარში გაწვევის დამთავრების შემდეგ შეამოწმონ, რომ ყველა მათგანს აქვს სათანადო საბუთები ჯარში გაწვევაზე გამოცხადების შესახებ;

ბ) არ მიიღონ სამუშაოზე ან სამსახურში და არც რეგისტრაციაში გაატარონ 1904 წელში დაბადებული ის მოქალაქენი, რომელთაც არ ექნებათ სათანადო საბუთები გამწვევ კომისიის მიერ აღნიშნული გამოცხადების შესახებ; ასეთი მოქალაქენი უნდა გაიგზავნონ თბილისის სამაზრო სამხედრო კომისარიატში.

10. მოქალაქენი, რომელთაც მძიმე ავადმყოფობისა გამო, არ შეუძლიათ შესაკრებ პუნქტზე გამოცხადება, ვალდებულნი არიან წარმოადგინონ გამწვევ კომისიაში სათანადო მოწმობები, დადასტურებული სამკურნალო დაწესებულებებს ან საჩაიონო ექიმის მიერ.

11. 1904 წელში დაბადებული მოქალაქენი, რომელნიც მოერიდებიან შესაკრებ პუნქტებზე გამოცხადებას, გაიქცევიან გზიდან ან არ დაბრუნდებიან შვებულებიდან მიცემულ ვადაში, პასუხის გებაში მიეცემიან ს. ს. რ. სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლების თანახმად.

12. ყველა კერძო და თანამდებობის პირნი, რომელნიც ამ განცხადების თანახმად, არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, და აგრეთვე ყველა ის პირები, რომელნიც შემჩნეულ იქნებიან ჯარში გაწვევისადმი მორიდებულ ან დეზერტირ მოქალაქეთა ხელის შეწყობაში ან დაფარვაში, მიცემულ იქნებიან სათანადო პასუხის გებაში.

თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე სუხიშვილი.

თბილისის მაზრის სამხედრო კომისარი საყვარელიძე.

სამხედრო კომისართა თანაშემწე ფანჯავიძე.

14 სექტემბერი 1926 წ. № 21. ქ. თბილისი.

გულდამწვარნი მეუღლე სონია, და ლიზა, ბიძაშვილი მარუსია, ცოლის ძმა არმენაკი ატყობინებენ მშობლებს ნაცნობებს და ნათესავებს, რომ 24 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე, ტრაღიკულად გარდაიცვალა

ანტონ იოსების-ძე ზატიაშვილი

ცხედარს გამოასვენებენ ბინიდან, პლეხანოვის პრ. 46. დასაფლავება მოხდება ვერის ახალ სასაფლაოზე, შუადღის 12 საათზე, დღეს, 26 სექტემბერს. 3841

გერმანე იოსების-ძე გოგიტიძე შვილებით აუწყებს ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ კვირას 26 სექტემბერს, დღის 1 საათზე ნიკოლოზის სასაფლაოზე გადახდილი იქნება ნახევარი წლის პანაშვიდი მისთვის მუდამ ჟამს დაუვიწყარ, უდროოთ დაკარგული მეგობრის და მეუღლის

ნადია იესეს ასულის გოგიტიძის

სულის მოსახსენებლად. 3834 2—2

ოზურგეთის განათლების მუშაკთა კავშირის სამაზრო განყოფილება დიდ მწუხარებას გამოსთქვამს დამსახურებული სახალხო მასწავლებელი

იასონ კონსტანტინეს-ძე მენაბდის

მოულოდნელ გარდაცვალების გამო. დაკრძალვა მოხდება კვირას, 26 სექტემბერს, სოფელ ბოხვაურში. ბ. 1817

მწუხარებაში მყოფნი შვილები: გიორგი, ანდრია, ალექსანდრე ქაიხოსროს-ძენი, რძლები ბარბარე იაკობის ასული, იადვიგა კაზიმირის ასული, სილვი ავგუსტის ასული; შვილიშვილები: თამარი, რუსუდანი, შალვა და ეთერი კალანდარიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ორშაბათს, 27 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება პანაშვიდი გარდაცვალებიდან მეცხრედღის

ეკატერინე ვასილის ასულის დოლიძე-კალანდარიშვილის

სულის მოსახსენებლად. 3844

ს. ს. რ.

სახელმწიფო გამომცემლობა

ახალი წიგნები

პოლიტიკურ საკითხებზე

იყიდება:

მ. კახიანი—ქართული ემიგრაცია ფასი 15 კ.
ნ. ბუხარინი—პარტია და ოპოზიცია „ 20 „
ფილიპე მახარაძე—პარტია და ოპოზიცია.
კომინტერნის ტეზისები „ 20 „
საკავ. კ. პ. ყრილობის რეზოლიუციები „ 20 „
ტომას—პოლსკაია—საბჭოთა კავშირის ქალი „ 20 „
ბოიარსკაია—მუშა ქალთა საერთაშორისო მოძრაობა „ 20 „
„მემარჯვენეობის საშიშროება ჩვენს პარტიაში“ ფ. 15 კ.

იბეჭდება:

ნ. ბუხარინი—„ოპოზიციის ეკონომიური პლატფორმის კრიტიკა“.
ი. სტალინი—„ლენინიზმის საკითხები“.
ელენე კრავჩენკო—„გლეხი ქალი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში“.
კომკავშირების ჯგუფების პოლიტკითხვა (სახელმძღ.)

მოითხოვეთ სახელგამის ყველა მაღაზიებში
იქვე
ყოველგვარი ქართული წიგნები

1-ელ ოქტომბრიდან გაიხსნება
ზამთრის სეზონი
კინო-თეატრში
[illegible]

ზანუმა

(ჯოიმ & ჯოიჯე)

რეჟისორი ა. რ. წუწუნავა
ოპერატორი ს. პ. ზაბოზლაევი

უმთავრეს როლებში :საქართველოს სახალხო მსახიობი—ელისაბედ ჩერქეზიშვილი, დამსახურებული მსახიობი—ტასო აბაშიძე, თამარა ბოლქვაძე, ცეცილია წუწუნავა, სოფიო ღოღუფი, ინა ნაზარიშვილი, კეთ. ჩეჩელაშვილი, ი. კორსუნსკისა. დამსახურებული მსახიობი—ვალერიან გუნია, კოტე მიქაბერიძე, მიხ. ჭიაურელი. ლადო კავსაძე, ის. ტრაპაიძე.

აპოლო
არფასტო
ზოლეი

დღეს გაიხსნება საზამთრო შენობა აპოლო
ეკრანზე საუკეთესო სურათი 1926 წ. გამოშვება
„მსწავლული უცხოელი"
2 სერიად, 12 ნა. ილად. უმთავრეს როლში გარრი პილი. ორთავე სერია ერთ სეანსად სიმებიანი ორკესტრი ცეიტლინის ხელმძ.

სეზონის საუკეთესო სურათი
„ჯვარი და მაუზერი"
მხატვრული დრამა 8 ნაწილ.
დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი მ. ბელსკის ხელმძღვანელობით

სახკინოს საუკეთესო სურათი
„აბრეკ ზაური"
უმთავრეს როლებში: გ. გუნია, ვ. ბესტაევი, ა. თაყაიშვილი, გ. ჩეჩელაშვილი და სხვ.
სიმებიანი ორკესტრი გ. რეიზნერის ხელმძღვანელობით

სახელმწიფო ოპერის თეატრი

კვირას, 26 სექტემბერს
მხოლოდ ერთი კონცერტი
ბოშურ რომანსების მოსკოვის ცნობილი ამსრულებელ
თამარა წერეთლის
როიალთან ცნობილი პიანისტი—კომპოზიტორი ბ. ა. პროზოროვსკი.
ბილეთები იყიდება დასაწყისი საღ. 9 ს. 1803 3—2

გამოცემითი საქმის საპ. ამხან.
„ქართული წიგნი"-ს
გამგეობა აცხადებს ილია ჭავჭავაძის თხზულებებზე

ტიბილისის ხელისმომწერთა საყურადღებოდ, რომ, ვისაც ჯერ არ მიუღია ხსენებული ავტორის 1 და მე-2 ტომი, შეუძლია მიიღოს ამხანაგობის კანტორიდან (ჯორჯაძის ქ- № 1) ოქტომბრის 15-დე. ამ ვადის გასვლის შემდეგ ხელისმომწერთ დაეგზავნება წიგნები ფასდადებით მათი ხარჯით, კანტორიდან კი აღ. დღიდან წიგნები აღარ გაიცემა.

მესამე (3) ტომი იბეჭდება და მალე გამოვა
3850 3—1

თბილისის სააქციო სავაჭრო საზოგადოება
„თბილისის ვაჭრობა"
გადავიდა ახალ შენობაში
შუა ბაზარი № 6. ნ. 1816

სახელმწ. სახალ. მუსიკ. სასწავლებლები

როიალის, სკრიპკის, ვიოლონჩელის, სიმღერის, მუსიკის თეორიის, გარმონიის, სოლფეჯიოს და აღმოსავლეთ ინსტრუმენტის კლასით

განცხადებების მიღება გრძელდება.

მისამართები:

1-ლი სასწავლ.—კეცხოველის ქ. (ყოფ. ლორის-მელიქოვის) № 6.
2-რე სასწავლ.—ალექსანდროვის (ყოფ. ნიკოლოზის) № 5.
3-მე სასწავლ.—კალინინის (ყ. ნიკოლოზის, მილიუტინის კუთხე) № 83.
4-ხე სასწავლ.—კურსანტების (ყოფ. კადეტის) № 6.
5-თე სასწავლ.—მოსკოვის ქ. № 16 კურსკის ქ. კუთხე. 3847

გაზ. „კომუნისტი"-ს ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა დაბეჯითებით სთხოვს, ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, პროვინციის ხელისმომწერლებმა გამოგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ, ხოლო თბილისელებმა აუცილებლად წარმოადგინონ ის ქვითარი (ან ქვითარის №-რი). რომელიც მიღებული აქვთ „კომუნისტი"-ს კანტორიდან ხელის მოწერის დროს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი კორესპონდენცია, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

ხარჯების დასაფარავად, მისამართების შეცვლის მსურველები მოვალენი არიან წარმოადგინონ კანტორაში 25 კაპ.
0—1 უფ. მთავარი კანტორა

სააქციო საზოგადოების „საქართველოს ჩაი"-ს გამგეობა

ამით აცხადებს, რომ

ამავე საზოგადოების წესდების § 28 თანახმად, 1926 წლის 15 ოქტომბერს, პარასკევს, შუადღის 12 საათზე ქალაქ თბილისში რუსთაველის პროსპექტზე № 23, მესამე სართულში

მოწვეულია საზოგადოების აქციონერთა მორიგი

ჩვეულებრივი საერთო კრება

განხილული იქნება შემდეგი საკითხები:

1. გამგეობის მოხსენება საზოგადოების მუშაობის შესახებ 1926 წლ. 1 იანვრიდან ვიდრე ა. წ. 1 ოქტომბრამდე.
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3. სააქციო საზოგადოების მომავალი ხუთწლიანი სამოქმედო პერსპექტიული გეგმა.
4. სააქციო საზოგადოების ძირითადი თანხის შევსება.
5. გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ინსტრუქციის დამტკიცება.
6. გამგეობის შემადგენლობის დამტკიცება.
7. მიმდინარე საკითხები.

საზოგადოების აქციონერთა წარმომადგენლები უნდა გამოცხადდენ სათანადო რწმუნებით აღჭურვილნი.
ნ. 1820. გამგეობა.

სახელმწიფო ბანკი, სამრეწველო ბანკი, სრ. რუსეთის კოოპერატიული ბანკი, ელექტრობანკი, თბილისის ქალაქის ბანკი, საგარეო ვაჭრობის ბანკი, ა.-კავკასიის სასოფლო ბანკი, საქართველოს სოც. საბ. რესპ. სასოფლო-სამეურნეო ბანკი, თბილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოება, მერკურბანკი და ამიერ-კავკ. მთავარი შემნახველი სალარო

აცხადებენ, რომ 1926 წ. 25 სექტემბრიდან 25 ოქტომბრამდე ისინი აწარმოებენ.

სახელმწიფო შინაური
1926 წ. მომგებიანი სესხის
ობლიგაციების გაყიდვას

ობლიგაციები გაიყიდება გამოშვებითი კურსით—96 მან. 100 მანეთიან ობლიგაციაში ან 24 მან. ობლიგაციისს ერთ მეოთხედ ნაწილში.

იმ პირებს, რომლებიც ობლიგაციას შეიძენენ ა. წ. 20 ოქტომბრამდე, უფლება აქვთ ობლიგაციის ღირებულება გადაიხადონ ორ ვადაში:

ობლიგაციის ყიდვის შესახებ განცხადების დროს შეიტანება ბე—არა ნაკლებ შესყიდული ობლიგაციების ნომინალური თანხის 40 პროც.-ისა, ე. ი. 40 მან. ყოველ 100 მანეთიან ობლიგაციაში და 10 მან, ობლიგაციის ყოველ ერთ მეოთხედ ნაწილისათვის.

შესყიდული ობლიგაციების დანარჩენი ღირებულება შეტანილ უნდა იქნას იმ დაწესებულებაში, რომელმაც პირველი შენატანი თანხა მიიღო, არა უგვიანეს ა. წ. 15 ნოემბრისა.

შესყიდული ობლიგაციებისათვის ფულის შეტანის დროს მყიდველებს ეძლევა წარმომდგენითი, ანუ, მათი სურვილის მიხედვით, სახელობითი ქვითარები, რომელნიც გადაცვლილ იქნებიან ობლიგაციებზე ა. წ. 30 ნოემბრამდე.

25 ოქტომბერს შესწყდება ობლიგაციების გამოშვებითი კურსით გაყიდვა.

მოგების პირველი ტირაჟი შესდგება 1926 წ. 1-ელ დეკემბერს.

ნ. 1822

საქართ. კოოპერატიულ მუშაკთა მოსამზადებელ კურსებზე

სწარმოებს მსმენელთა წინასწარი ჩაწერა 10 ოქტომბრამდის; სწავლა იწყება 20 ოქტ.

პირობების გაგება შეიძლება ცეკავშირის საორგანიზაციო განყოფილებაში შ. გოგებაშვილთან 10 ს.—2 საათამდე. 3809

მიიღება ხელისმოწერა გაზ. „კომუნისტზე" ოქტომბრისათვის

პროვინციაში ხელისმოწერა მიიღება შემდეგ გაერთიანებულ განყოფილებებში:

1. ხაშურში—განყ. გამგე მათე გოგუაძესთან—მთელი გორის მაზრისთვის.
2. ჭიათურაში—განყ. გამგე გ. გოგელიასთან—მთელი შორაპნის მაზრისთვის.
3. ქუთაისი—განყ. გამგე მ. ტყაბლაძესთან—ქუთაისის და ახლო მდებარე რაიონებ.
4. ხონში—განყ. გამგე ჩემიასთან—ქ. ხონი და ახლო მდებარე რაიონებისათვის.
5. სამტრედია—განყ. გამგე ლ. გოგელიასთან—სამტრედია და ახლო მდებ. რაიონ.
6. სენაკი—განყ. გამგე. ესებუასთან—ქ. სენაკი და ახლო მდებარე რაიონისთვის.
7. აბაშა—განყ. გამგე მიქაძესთან—დ. აბაშა და ახლო მდებარე რაიონისთვის.
8. ფოთი—განყ. გამგე მგალობლიშვილთან—ქ. ფოთი და ახლო მდებ. რაიონისთვის
9. ბათომი—„კომუნისტი"-ს კანტორაში—მთელი აჭარისტანისთვის.
10. ოზურგეთი—განყ. გამგე ეპიფ. ცეცხლაძესთან—მთელი ოზურგეთის მაზრისათ.
11. თელავი—განყ. გამგე რევაზოვთან—მთელი თელავის მაზრისათვის.
12. სიღნაღი—განყ. გამგე ა. მდივანოვთან—სიღნაღის მაზრ ისათვის.
13. ზუგდიდში—პოლიტგანის კიოსკში—კილასონიასთან.
14. სოხუმში—„კომუნისტი"-ს კანტორაში — მთელი აფხაზეთისათვის.
15. ველისციხის და გურჯაანის რაიონში—განყ. გამგე შაშნიაშვილი ესტატე
16. ოჩემჩირი—ვ. სოხელიას განყოფ. გამგეს
17. სად. ბორჯომი—ბორია ლავრინსკისთან—გამომცემლობა „შრომა" მაღაზიაში
18. ბორჯომ-ბალი—იაშა ტერტეროვთან

6—. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა

პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
დაბრუნდა თბილისში
და განაგრძობს შინაგან ავადმყოფების მიღებას საღამოს 5 საათიდან 8 ს-მდე, კვირა დღის გარდა. კლ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის ქ. № 7).
3755 13—1

ექიმი
ლ. ა. სარალიძე
დაბრუნდა და განაახლა შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფების მიღება დილის 9—12 ს. საღამოს 5—7 ს. საბჭოთა ქ. (ჩერქეზიშვილის) № 87.
25—

Deutsche Handlung
ხელსაქმის გერმანული ბაზარი
სოლოლაკის და მაჩაბლის (ყოფ: სერგიევის) ქუჩების კუთხეში № 2. ბლომათ იშოვება მატყლის და აბრეშუმისყველა ფერის გარუსი, პილცები საუკეთესო ხარისხის. სკოლებისათვის შეღავათი. 3842

სამემოსავლო გადასახადი

საქართველოს ფინსახკომი საყოველთაოდ აცხადებს, რომ სამემოსავლო გადასახადის მომქმედ დებულების მიხედვით მომავალ 1926—27 წ. საგადასახადო პერიოდში კამპანიის ჩასატარებლად უნდა დაცულ იქნეს შემდეგი ვადები:

ქალაქებში და დაბებში სახლის პატრონები ან სახლის მმართველობა მოვალენი არიან დაწესებული ფორმით წარუდგინონ სათანადო უბნის ფინინსპექტორს, არა უგვიანეს 1926 წლის 15 ოქტომბრისა, მათ სახლებში 1926 წ. 5 ოქტომბრამდე მცხოვრებ პირთა და სახლებში მყოფ ყოველგვარ საზოგადოებათა და ამხანაგობათა, კანტორების, გამგეობათა და სააგენტოების სიები.

გადასახადით დასაბეგრ მოქალაქეთა სიების შედგენა სოფელ ადგილებში ევალებათ თემ-აღმასკომებს, რომლებიც ურდგენენ სიებს ფინინსპექტორს არა უგვიანეს 1926 წლის 20 ოქტომბრისა.

არა უგვიანეს 1926 წ. 10 ოქტომბრისა შემდეგი დაწესებულებანი მოვალენი არიან დაწესებულ ფორმით წარუდგინონ სიები:

1. სათანადო უბნის ფინინსპექტორს: ადგილობრივი სამაზრო და თემაღმასკომები—სიები იმ პირთა, რომლებსაც აქვთ შენობები გაქირავებული ან იჯარით აღებული, აგრეთვე სიები იმ პირთა, რომელთა სარგებლობაში იმყოფება ბაღები, ბოსტნები და სხვა მიწის ნაკვეთები, რომლებიც არ იბეგრება მთლიანი სასოფლო - სამეურნეო გადასახადით.

2. ადგილობრივ აღმასკომების საფინანსო განყოფილებებს: 1) ჯანმრთელობის განყოფილებები—სიები ექიმთა და დამცველთა კოლეგიის განყოფილებები—სიები კოლეგიის წევრთა, 2) სახელმწიფო დამზღვევი ორგანოები—სიები დამზღვევ აგენტების და აკვიზიტორებისა,

3) ყოველგვარ კერძო სავაჭრო-სამრეწველო საზოგადოებათა და ამხანაგობათა, აგრეთვე სახელმწიფო და კოოპერატიულ წარმოებათა და შერეულ საზოგადოებათა ადმინისტრაცია-ამხანაგობის, გამგეობის ან საბჭოს წევრების აქციონერების, პაის და ფულის მქონეთასია, მათი საცხოვრებელი ადგილის და 1925-26 წელში მიღებული ან გასაცემათ დანიშნულ დივიდენდის რაოდენობის ჩვენებით.

შენიშვნა: უსახელო პაიების ან აქციების მქონე პირთა შესახებ ცნობები წარედგინება აქციონერების და პაის მქონე პირთა უკანასკნელი საერთო კრებაზე დადგენილ ცნობების მიხედვით.

4. სახელმწიფო და კოოპერატიულ საწარმოოთა და შერეულ საზოგადოებათა ადმინისტრაცია—შუამავალთა და კომისიონერთა სიებს, 1925—26 წელში გაცემულ საკომისიო ჯილდოს თანხის და ხსენებულ პირთა საცხოვრებელი ადგილის ჩვენებით.

სახელმწიფო სამემოსავლო გადასახადის დებულების დამრღვევნი სათანადოთ იქნებიან დაჯარიმებულნი.

დაწესებული ბლანკები და მათი შევსების წესის ცნობები უნდა მიღებულ იქნეს ფინინსპექტორების კანცელარიაში.

საქართ. ფინანსთა სახალხო კომისარი მგალობლიშვილი.

გადასახადთა განყოფილების მმართველი ბეჟირგანიშვილი.

ნ. 1819

წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლი საზოგადოების—წერკუმს-ის ცენტრალური გამგეობის სავაჭრო განყოფილების
სალიკვიდაციო კომისია
პირველ კრებაზე ქვორუმის გამოუცხადებლობის გამო მეორეჯერ
იწვევს კრედიტორთა საერთო კრებას
ა-წ. 1 ოქტომბერს დღის 12 საათზე, რომელიც ჩაითვლება კანონიერად დამსწრეთა რიცხვის მიუხედავათ.
3847

ქ. თბილისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი გ. გ. ბარუტჩევი

ამით აცხადებს, რომ ის 28 სექტემბერს 1926 წ. დღის 1 ს.სახლში № 60, გუნიბის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის ანდრეი მხეიძის მოძრავ ქონებას: საწერ მაგიდას, სასადილო მაგიდას, ხალიჩას, ტახტს, ორ საწოლს, წიგნის შკაფს, კამოდს და სკამს, შეფასებულს 158 მანეთად, საამშენებლო კანტორის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად აღმოსავლეთ საქართ: ოლქის სასამართლოსაგან 5' ოქტომბერს 1925 წ. თარიღით, № 23044 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.
3851

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი არღუთინსკი

ამით აცხადებს, რომ ის 2 ოქტომბერს 1926 წ. დღის 1 საათზე სახლში № 93, პლეხანოვის ქუჩაზე საჯარო ვაჭრობით გაყიდის არსენ კალაშვილის სასადილო „ლეონდორი"-ს მოძრავ ქონებას; 14 მაგიდა, 11 სკამი ვენური, ბუფეტის შკაფი, სანოვაგეს საყინულე, საინები, სხვადასხვა სასმელი და სხვ. შეფასებულს 506 მანეთად, სახალხო კვების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 23 აგვისტოს 1926 წ. თარიღით, № 3378 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.
3838

გორის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი გ. ტლაშაძე

ამით აცხადებს, რომ 26 სექტემბერს 1926 წელს დღის 10 საათზე ადგილობრივ ქ. გორში ცხაკაიას ქუჩაზე დანიშნულია მოქ. მიხეილ ბესარიონისძე მერებაშვილის ქონების საჯარო ვაჭრობა ქონება შეიცავს ქვიტკირის შენობის ხილის საწყობს, სხვადასხვა ზომის ხილის ყუთებს, ყუთების დაჭრილ მასალას, ფიცრებს, სახლის ავეჯეულობას და სხვას სულ შეფასებული 2907 მან. 50 კ, სააქციონერო საზოგ. „ტრანსპორტისა" და სხვ. ვალის სანაზღაურად. თანახმად გორის უბნის სახ. სასამ. აღმასრ. ფურც. და სასამ: ბრძანებისა. ყველას ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს შენობის საჯარო ვაჭრობაში უნდა წარუდგინოს სასამართლოს აღმასრულებელს აღმოსავლეთ საქ. ოლქის სანოტარო თანა-განყოფილების ცნობა, რომ არც თვითონ ძას, არც მის მეუღლეს და არც მის არა სრულ წლოვან შვილს არა აქვთ იმ ადგილას რაიმე შენობა, და აგრეთვე უნდა მისცეს ხელწერილი, რომ არც თვითონ მას და არც ოჯახის ზემო-აღნიშნულ წევრს არა აქვთ შენობა რომელსამე სხვა ადგილას (სამოქ. კოდექსის 82 მუხ.).
3806

დადგენილება

ამიერ-კავკასიის რკინისგზების სამმართველოსთან არსებულ საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირისა

1926 წლის 2 ივლისის თარიღით

ავტომობილებით მგზავრების გადაყვანისა და სამგზავრო ტვირთის გადატანის შესახებ იმ რეისებით, რომლებსაც ექსპლოატაციას უწევება „ზაკავტოპრომტორგი" ამიერ-კავკ. სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

დამტკიცებულია ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს პლენარულ სხდომაზე 1926 წ. 15 ივლისს (ოქმი № 11 § 1)

ავტომობილით მგზავრების გადაყვანისათვის იმ რეისებზე, რომელთაც ექსპლოატაციას უწევება „ზაკავტოპრომტორგი" ამ.-კავკ. სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე,

დაწესებულია შემდეგი ტარიფი:

1.	თბილისი—კავკავი ან უკან.	17 მან.
2.	„ კოჯორი	2 მ. 50 კ.
3.	„ მანგლისი (იქით)	8 მან.
4.	„ „ (უკან).	7 მან.
5.	„ ბელიკლუჩი (იქით)	8 მან.
6.	„ „ (უკან)	7 მან.
7.	ბათომი—მწვანე კონცხი ან უკან	— 75 კაპ.
8.	„ ხულო	8 მან.
9.	ბორჯომ—ახალციხე	5 მან.
10.	„ ახალქალაქში	11 მან.
11.	„ აბასთუმან—არაზინდო	8 მან.
12.	ლაგოდეხი - ზაქათალა	4 მან.
13.	„ წნორის წყალი	4 მან.
14.	სოხუმი—გაგრა	10 მან.
15.	„ გუდაუთი	4 მან.
16.	„ ათონი	2 მან.
17.	„ წებელდა	2 მ. 50 კ.
18.	„ ოჩემჩირე	5 მან.
19.	ახალ-სენაკი—ზუგდიდი	3 მან.
20.	ქუთაისი - ბაღდადი	2 მან.
21.	„ ონი.	12 მან.
22.	ხაჩმას - კუბა	2 მ. 75 კ.
23.	ხაჩმას—კუბა—კუსარი ან უკან	4 მან.
24.	ევლახი—აღდამი	6 მ. 50 კ.
25.	„ ნუხა	7 მ. 50 კ.
26.	„ შუშა.	10 მ. 50 კ.
27.	„ ბარდა	2 მან.
28.	ლიაკი—აღდაში	1 მ. 30 კ.
29.	ერევანი—ეჩმიაძინი	1 მ. 20 კ.
30.	ეჩმიაძინი—აშტარაკი	1 მ. 20 კ.
31.	ერევანი - კამარლიუ	2 მ. 50 კ.
32.	„ დელიჟანი	8 მ. 50 კ.
33.	„ დარაჩიჩაგი	5 მან.
34.	„ კარაკლისი—დელიჟანი	4 მან.
35.	„ კალაგერან—სტეპანოვან	3 მან.
36.	„ დელიჟან - აქტაფა	7 მ. 50 კ.

პროფკავშირის ავადმყოფ წევრების გადაყვანისათვის, რომელთაც აქვთ სოცდაზღვევის მთავარ სამმართველოს სათანადო მოწმობა, დაწესებულია შემდეგი ტარიფი:

1.	ბორჯომ—აბასთუმანი	6 მ. 50 კ.
2.	„ არაზინდო	7 მ. 50 კ.
3.	ერევან—დელიჟანი	7 მან.

ყოველი ფუთი ბარგის გადატანისათვის დაწესებული უფასო ნორმის ზევით—12 გირვ. ყოველ ბილეთზე, გადასხდებათ ფასი სამგზავრო ბილეთის ღირებულების ერთი მეხუთედის რაოდენობით.

ეს ტარიფი სავალდებულოა ყველასათვის და შეიძლება იქნეს შეცვლილი როგორც მთლიანად, ისე ცალკე მის ნაწილებში მხოლოდ საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის ყოველ შემთხვევისათვის განსაკუთრებულ დადგენილებით, რომელიც გამოქვეყნებული იქნება მიღებული წესით.

ეს ტარიფი დაწესებულია 1927 წ. 1 აპრილამდე.

ამ.-კავკ. რკინის გზების სამმართველოსთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის თავმჯდომარის მაგიერ მამე ჭეიკოვი.

სატარიფო თათბირის საქმეთა მმართველი ზ. შ. ხუციშვილი.

ნ. 1821. ეკონომისტი მერდერევსკი.

გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა

განმეორებით აძლევს წინადადებას განცხადებების შემკრებ აგენტ

დავით ლუარსაბისძე მგალობლიშვილს

ერთი კვირის განმავლობაში გამოცხადდეს კანტორაში ანგარიშების გასასწორებლად; წინააღმდეგ შემთხვევაში მიღებული იქნება სათანადო ზომები.

მოქ. დ. მგალობლიშვილი აღარ ითვლება გაზ. „კომუნისტი"-ს კანტორის აგენტათ და მასზე გაცემული მანდატები გაუქმებულია, რაიც ცხადდება დაწესებულებების და ორგანიზაციების საყურადღებოდ.

უ. გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა.

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი"
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის"-ს მთავარი კანტორა, რუსთველის პროსპექტი № 34
0—1

თბილისის ქალაქის ბანკის ბალანსი

1 სექტემბრისა

სალარო და სახელდახელო ანგ.	474.590—97	თანხები ა) ძირითადი	2.000.000—00
საფასენი	219.031—52	„ ბ) სათადარიგო	126.783—19
თამასუქ. განაღ. და სპეც. სახ. ანგ. თამას.	2.896.111—35	სპეციალური თანხა მთავარ საგანგებო დანიშნული	835.240—00
საქონლის სესხის ოპერაცია	1.779.622—94	სპეც. თანხა მთავარ. საგან. დანიშ. საამშენებლო	320.590—62
მიზნობრივი სესხი მოკლევადიანი	1.010.282—92	სპეც. სახელდახელო ანგ. უზრ. თამას.	1.278.646—94
„ „ გრძელვადიანი	2.766.491—93	ანაბარი და სახელდახელო ანგ.	3.128.517—07
კორესპონდენტები	153.573—07	ფულის ბარათები	7.390—68
შემოსაწორებელი ანგარიშები	276.507—91	კორესპონდენტები	1.879.348—50
სხვადასხვა დებიტორები	13.920—30	შემასწორებ. ანგარ.	276.761—55
ქონება და წამოწყ. მონაწილ.	739.720—32	სხვადასხვა კრედიტები	25.090—00
საურთიერთო ანგარიშები	1.323.021—97	საურთიერთო ანგ.	1.337.063—79
გაპროტესტებული თამასუქ. და სიეჭვო ვალები	90.516—54	შემოსავალი მომავალ წლის ანგ.	79.018—98
გაცემ %%-ბი კომისია და სხვა	240.404—19	სარგებელი კომისია და სხვა შემოსავ.	1.037.664—10
მიმდინარე და სხვა ხარჯები	348.319—49		
ბალანსი	12.332.115—42	ბალანსი	12.332.115—42

ნის. 1818 გამგეობა.

ფინსახკომთან არსებული საფინანსო კურსები
განცხადების მიღება გრძელდება 30 სექტემბრამდე მეცადინეობა დაიწყება 1-ლ ოქტომბერს.
მისამართი წულუკიძის ქ. № 10.
2—1 3849 საფინანსო კურსების ადმინისტრაცია.

ექიმი
ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 12—2 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების და ბავშვების 5—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი წულუკიძეს ქუჩიდან ყოფ. კრუზენშტერნის ქ.) 25—1

კბილის ექიმი
ა. გ. სოლოღაშვილი
დაბრუნდა და იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 4—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 121

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო
საწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორანოვის ქ., № 20 548ც5 —1

ექიმი
შუხმანი
სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები.
მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. ქ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ.№ 89 25—

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულობანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
განყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3.
25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 9—11 დილ. 6—8 საღამ.
პლეხანოვის პრ. № 116.
სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ
348 25—1

ექიმი
ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიიღება დილ. 6 ნახ.—7 ნახ. საათ., საღამოს 5-დან—8 საათამდე. ქალების მიღება 12—2 საათ. ისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16

ექიმი
ნ. პ. ფალიაშვილი
დაბრუნდა და განაახლა მიღებაყოველგვარ მედიკურ გამო. კვლევების ანალიზები მიიღება მთელი დღე. პირადათ დილის 9 საათამდის და 5—7 საათამდე ბელინსკის ქ. ბაქრაძეს შესახვ. (ყოფ. აგურის) № 10. 25—1

ექიმი
მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე-საპორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—9

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნ ელაძის ქუჩა (ყოფ. საპორის) 19 მიღება დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან 25—1

ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
დაბრუნდა და განაახლა მიღება შინაგან და ნერვიულ ავადმყოფობის, ელექტრონით და სხივებით მკურნალობა ავადმყ. მიღება საღ. 6—7 საათამდე ლენინის ქ. (ოლღის) № 49.
3574 ტელეფ. № 4—82.

ექიმი
ა. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი").
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.
13—2

ექიმი
ზ. ა. ტარუმოვი
დაბრუნდა და განაახლა შინაგან და ბავშვთა სნეულების ავადმყოფთა მიღება საღ. 5—7 საათამდე. ტრიბუნალის ქ. (ყოფ. სასამართლოს) 12 ტელ 22—59, ნ. ღ.

ექიმი
არსენ ვადაჭკორია
დაბრუნდა აგარაკიდან და ღებულობს ქალთა ავადმყოფთ. და უწევს აგრეთვე სამეანო დახმარებას დღის 9—12 ს. საღამოს 4—6 საათამდე ლენინის ქ. № 35 3824 13—1

ექიმი
ი. ვ. ახმეტელი
იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს ერთი თვის განმავლობაში (20 სექტემბრიდან 20 ოქტ-დე) ქ. სიღნაღში. 3768 25—1

ექიმი
ნ. მელიქიშვილი
დაბრუნდა და განაგრძობს ავადმყოფების მიღებას ქალების სნეულება და სამშობიარო ამოს (ყოფილი ქსენიევის) ქუჩა № 7 თვალის საავადმყოფოს ზემოთა სართულში დღისით 1—2. საღამოზე 4—6 საათამდე.
3896 25—1

დაიკარგა პარტ-ბილეთი № 14,215 სარეგისტრაციო ბარათი დიმო მოდოსძე ბითარაშვილის სახელზე, ჩ. გ.
3837

დაიკარგა პირადი წიგნაკი სამხედრო ბეგარის შესახებ № 102, ფორმა № 4 პავლე როსტომისძე სულუხის სახელზე, ჩ. გ. 3839

დაიკარგა ამა წლის 21 სექტემბერს გაცემული გრიგოლ ათანასისძე დუნდუას სახელზე, შემდეგი საბუთები პროფ-კავშირის წიგნაკი № 6669, სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწმობა № 7. ჩ. გ. 3840

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა და შვიდწლედის დამთავრების ატესტატი № 42 თ. მეგრელიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3843

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი კომუნალური ქ. № 49 (ყოფ. ვორონცოვის) იბრაგიმვის სახელზე, ჩ. გ. 3829

დაიკარგა საწევრო წიგნაკი № 25455 გაცემული ამიერ-კავკასიის სამომხმარებლო საზოგადოების სამართველოსაგან დავით ალექსისძე პატარაქალიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3345

სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. 68